პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
6 ივნისი ხუთშაბათი 2013
№131 (14 047) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიცავი გარემო!
5 ივნისი გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეა!



# ნავაგეთ, ფეოლა...

| დანია | საქართველო |
|---|---|
| 2:1 | |

| | |
|---|---|
| 0:1 ძარია | (52) |
| 1:1 პედერსენი | (77) |
| 2:1 ერიქსენი | (89) |



2




## რა არის ჩვენი სენი?

მხოლოდ პედერსენი და ერიქსენი

# ბოიკოტი?



# 2000000 ყველას თანაბრად!

2-3



13

## ოთხი ერი თბილისში:

ირლანდია, საქართველო, ურუგვაი, სამხრეთი აფრიკა

ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩი



# უსაჩუქროდ არც დანია დავტოვეთ

5.06. ოლბორგი. ნორდიისა არენა. 5 000 მაყურებელი

დანია **2**

საქართველო **1**

0:1 ძარია (52), 1:1 პედერსენი (77), 2:1 ერიქსენი (89)

| დანია 4-2-3-1 | საქართველო 4-2-3-1 |
|---|---|
| ანდერსენი | ლორია |
| იაკობსენი | კაშია |
| ბილანდი | ხიზანიშვილი |
| ოკორე | ხუბუტია |
| პოულსენი | ფოფხაძე |
| სტოკჰოლმი | დაუშვილი |
| ზიმლინგი | კანკავა |
| რომედალი | კობახიძე |
| ერიქსენი | ძარია |
| ბრეითვაითი | ანანიძე |
| კორნელიუსი | დვალიშვილი |
| მწვრთნელი მ. ოლსენი | მწვრთნელი თ. ქეცბაია |

**დანია**

12. ზიმლინგი – **შიონე**
46. რომედალი – **კრონ-დელი**
61. სტოკჰოლმი – **კვისტი**
62. ბრეითვაითი – **პედერსენი**
75. პოულსენი – **მაკიენოკო**
79. შიონე – **კუსკი**

სათადარიგოები: შმეიხელი, ანკერგენი, ვასი, ი. ჰანსენი, კ. ჰანსენი, ფიშერი

**საქართველო**

46. დვალიშვილი – **სირბილაძე**
63. ძარია – **თარგამაძე**
63. ანანიძე – **ლობჟანიძე**
73. დაუშვილი – **გიგაური**
87. ა. კობახიძე – **გელაშვილი**

სათადარიგოები: მიგინეიშვილი, თომაშვილი, კვირკველია, მ. კობახიძე, მაისურაძე

გაფრთხილება: დაუშვილი (57), გიგაური (86)

არბიტრი: ფ. ბრიხი (გერმანია)

საქართველოს ნაკრებმა გუშინ შესაძლებლობების ზღვარზე ითამაშა და მოკრძალებული შემტევი პოტენციალის მიუხედავად, დაწინაურებაც შეძლო. ამის შემდეგ კი მოხდა ის, რაც მოხდა – ტრადიციულად, **თემურ ქეცბაიას** გუნდმა მატჩის სერიოზული შეცდომის გარეშე ჩამთავრება მაინც ვერ შეძლო და მორიგი მარცხი იწვნია.

ირლანდიისგან განსხვავებით, ამჯერად ჩვენი ნაკრები არ შერცხვა და ამბიციურ დანიელებს დიდი წინააღმდეგობა გაუწია. ქართველებს შეეძლოთ, ოლბორგში არათუ ფრედ ეთამაშათ, არამედ გაემარჯვათ და ამით ფიფას სანაკრებო რეიტინგში პოზიციები გაეუმჯობესებინათ, მაგრამ საქართველოს ნაკრები კვლავ არ აღმოჩნდა ის გუნდი, რომელიც კლასით მასზე მაღლა მდგომ მეტოქეს აჯობებდა. საუბედუროდ, ჩვენს გუნდს უკვე დიდი ხანია, ისიც აღარ შეუძლია, აქა-იქ გაიბრწყინოს და ქართველი გულშემატკივრები იშვიათი წონადი გამარჯვებებით გაახაროს. ევროპაში კი ჩვენს მიერ დასაჯაბნი გუნდების სია თვალსა და ხელს შუა მცირდება.

გადამწყვეტი, რა თქმა უნდა, **გიორგი ლორიას** უხეში შეცდომა აღმოჩნდა. საქართველოს ნაკრების კარის დარაჯმა ბურთი ხეირიანად ვერ ამოიტანა, შეცვლაზე შესულ **ნიკლას პედერსენს** ჩააბარა და მანაც ერთი შეხებით დაუცველ კარში კურიოზული გოლი გაიტანა.

ამის შემდეგ ქართველებს საქმე უკვე გაძლებაზე ჰქონდათ, მაგრამ ვერ გაძლეს, რაც სრულიად ლოგიკური იყო. მატჩის 89-ე წუთზე **კრისტიან ერიქსენმა** ჯარიმა უზადოდ შეასრულა და სომხეთთან მოახლოებული ოფიციალური შეხვედრის წინ თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა.

დუბლინური მატჩის შემდეგ, ქეცბაიამ სასტარტო შემადგენლობაში სამი ცვლილება განახორციელა – დაცვის მარცხენა ფლანგზე **დავით კვირკველია გიორგი ფოფხაძემ** ჩაანაცვლა, **უჩა ლობჟანიძე** ძირითადიდან ამოვარდა და მისი ადგილი მარჯვენა მცველის პოზიციაზე **გურამ კაშიამ** დაიკავა, რომელიც ირლანდიაში ნახევარდაცვაში ირჯებოდა; ცენტრფორვარდობა კი **ნიკოლოზ გელაშვილის** მაგივრად, **ლადო დვალიშვილს** დაეკისრა.

ქეცბაიამ მოედნის ცენტრში სამი ტიპური ჩამშლელი გაამწესა, ფლანგები კი **ალექსანდრე კობახიძესა და ჯანო ანანიძეს** ჩააბარა. ჯანო მარცხნივ მოქმედებდა, სანდრო კი, რომელსაც მარცხენაფლანგელად უფრო ვიცნობთ, მარჯვნივ თამაშობდა.

მატჩის საწყისი 20 წუთი დანიელთა მიერ ჩატარებული დროის საუკეთესო მონაკვეთი იყო. **მორტენ ოლსენის** გუნდი ტემპიანად და კომბინაციურად უტევდა და სწრაფი გოლის გატანაც შეეძლო – მე-3 წუთზე მრავალსვლიან შეტევას **სიმონ პოულსენის** არაზუსტი დარტყმა მოჰყვა; მე-16 წუთზე მასპინძელთა დაწინაურება უკვე **ანდრეას კორნელიუსს** შეეძლო, თუმცა მიზანმა მასაც უმტყუნა.

ამას კობახიძის არაზუსტი გასროლა მოჰყვა, რის შემდეგაც მეორე ნომრად მოთამაშე სტუმრები უფრო თამამად გადავიდნენ მოწინააღმდეგის ნახევარზე. ბურთის ფლობის უკეთესი მაჩვენებლები კვლავ დანიელებს ჰქონდათ, მაგრამ მათ დროთა განმავლობაში უფრო და უფრო უჭირდათ ქართველთა საჯარიმოში შეღწევა.

რა თქმა უნდა, სტუმრები მეტოქეს ხშირად ვერ აწუხებდნენ, მაგრამ მაინც ახერხებდნენ თამაშის გამწვავებას. მეტიც, 35-ე წუთზე საქართველოს ნაკრებმა დაწინაურების რეალური შანსი გაუშვა ხელიდან – ჯარიმის შემდეგ **ზურაბ ხიზანიშვილი** ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა და მისი დარტყმა დანიელთა მეკარე **სტეფან ანდერსენმა** მოიგერია, მახვილი კუთხიდან კი დამატებას კაშია ცდილობდა, რომელმაც მიზანს ააცილა.

მეორე ტაიმში დანიელები კიდევ უფრო უინიციატივონი ჩანდნენ. ქართველებმა მათი თამაშის მანერას ალღო საბოლოოდ აუღეს და მასპინძელთა იერიშებს დამაჯერებლად უმკლავდებოდნენ. მოედანზე უკვე აღარ ჩანდა ის რესურსი, რითაც დანიის ნაკრებს ქეცბაიას გუნდის გატეხვა შეეძლო, მოგვიანებით ქართველები დაწინაურდნენ კიდეც და გამარჯვების რეალური იმედი გაგვიჩნდა, მაგრამ...

ჩვენი ნაკრების კარში გასული გოლები უკვე გავიხსენეთ, დაწინაურებით კი 52-ე წუთზე დავწინაურდით, როცა შეცვლაზე შესულმა **ირაკლი სირბილაძემ** საჰაერო დუელი მოიგო და ბურთი კობახიძეს გადასცა, ამ უკანასკნელმა კი მეკარესთან პირისპირ ირაკლი ძარია გაიყვანა, რომელმაც ახლო მანძილიდან უნაკლოდ დაარტყა.

ამის შემდეგ უკვე სრულიად ლოგიკური იყო, საქართველოს ნაკრები მთლიანად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე რომ გადაერთო. ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი სამწვრთნელო შტაბის მიერ განხორციელებულმა ყველა ცვლილებამ გაამართლა, მაგრამ სენსაციასთან მაინც ძალიან ახლოს ვიყავით.

საამისოდ ამჯერად ჩვენი გუნდი შემართულად იბრძოდა, მაგრამ კვლავ არ ეყო ერთი რამ – კლასი.

მოკლედ, საქართველოს ნაკრების აქტივში ვერც გუშინდელი შეხვედრა ჩაიწერა. მარცხის შემდეგ რაიმე პოზიტივის დანახვა ძნელია და მხოლოდ იმას თუ გავუსვამთ ხაზს, რომ დუბლინში განცდილი კატასტროფის შემდეგ გუნდმა დროულად რომ შეძლო შოკიდან გამოსვლა.

გლობალურად კი ვითარება უცვლელია – საქართველოს ნაკრებს ბრძოლა არ დავიწყებია, მაგრამ საკუთარ თავზე მაღლა ვერ ხტება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი

# რვა გუნდი ჩემპიონატზე უარს იტყვის, თუ...

## აკა ქავთარაძე: ბოიკოტს არავის ვუცხადებთ ყიფიანი კლუბებს: ნუ გექნებათ ილუზიები!

გუშინ, ფეხბურთის ფედერაციაში უმაღლესი ლიგის "12-თა საბჭოსა" და პირველი ლიგის კლუბების ხელმძღვანელები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს **ზვიად სიჭინავას**, გენერალურ მდივანს **რევაზ არველაძესა** და საპატიო ვიცე-პრეზიდენტს **მურთაზ ხურცილავას** შეხვდნენ. მათ კერძო და სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი კლუბებისთვის თანაბარი დაფინანსება კატეგორიულად მოითხოვეს.

კლუბების უკმაყოფილების მიზეზი ცნობილია, მაგრამ წინა ისტორიას მაინც შეგახსენებთ: "ზესტაფონის" პრეზიდენტმა **ილია კოკაიამ** კლუბი მუნიციპალიტეტს გადააბარა იქამდე, სანამ სახელმწიფო ყველა გუნდს თანაბრად არ დააფინანსებდა. იმერული კლუბის პრეზიდენტის მოთხოვნამ კატალიზატორის როლი ითამაშა და ის უმაღლესი ლიგის კერძო კლუბების მფლობელებმაც გაიზიარეს. მერე დაიწყო მსჯელობა - შეეძლო თუ არა სახელმწიფოს ყველას თანაბრად დახმარება. დადებითი კონტურებიც გამოიკვეთა, მაგრამ ცოტა ხნის წინათ, დავალიანების მქონე გორის "დილას" სახელმწიფომ 2 მილიონი ლარი დაურიცხა.

ამ ფაქტის გამო, სხვა კლუბებმაც იგივე თანხა მოითხოვეს, უარის შემთხვევაში კი რვა მათგანი (თბილისის „დინამო", „ზესტაფონი", თბილისის „ვიტ ჯორჯია", რუსთავის „მეტალურგი", ბოლნისის „სიონი", „ზუგდიდი", მარტვილის „მერანი" და ქუთაისის „ტორპედო") ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარს აცხადებს - კერძო კლუბებს მხარი მუნიციპალურებმაც დაუჭირეს და ამის შესახებ სახელმწიფოს წერილით მიმართეს.

ცხადია, სახელმწიფოსგან მეტი ფულის გამოყოფითა და ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარებით ფედერაციაც არის დაინტერესებული და მისმა თავკაცებმაც ამ რვა გუნდის მხარე დაიჭირეს – თუ ეს გუნდები უარს ამბობენ, ჩემპიონატს როგორ ჩავატარებთო.

■ ■ ■

შეხვედრის დასრულების შემდეგ, „ლელო" რუსთავის „მეტალურგის" სპორტულ დირექტორს **აკა ქავთარაძეს** ელაპარაკა, რომელიც ამბობს, რომ სახელმწიფოს ფეხბურთის განვითარების სხვა გზას სთავაზობენ და კატეგორიულად უარყოფს, რომ კლუბები სახელმწიფოს აუჯანყდნენ:

- ვერ ვიტყვი, რომ ეს რვა გუნდი ჩემპიონატში მონაწილეობაზე კატეგორიულ უარს ამბობს. მაგრამ პრინციპული პოზიცია გვაქვს. გაუგებარია, როდესაც სახელმწიფო "დილას" 2 მილიონს ურიცხავს, "სიონს" – მილიონს, "კოლხეთს" – 300 ათასს, კერძო კლუბებს კი... არაფერს.

ახლა ბევრ კლუბს გაუჭირდა, ამ დროს კი ვიგებთ, რომ "დილას" 2 მილიონი ლარი დაურიცხეს. რა დააშავეს არც ისე დალხენილმა "ვიტ ჯორჯიამ", "ზუგდიდმა", "სიონმა" და იმავე "ზესტაფონმა", რომელიც მუნიციპალიტეტს გადასცეს და ორი თვეა ხელფასებს ვერ გასცემენ? ან ვინმე იტყვის, რომ კერძო კლუბებს დახმარება არ სჭირდებათ?

ყველა ერთ პირობებში უნდა ჩაგვაყენონ, შედგეს სახელმწიფო პროგრამა, რომელიც კლუბების, ინფრასტრუქტურის, ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას მოხმარდება. ამის შემდეგ, კერძო სპონსორებიც გამოჩნდებიან, თორემ გაღლეტილი, წარუმატებელი და ინფრასტრუქტურის არმქონე კლუბით რომელ ბიზნესს დავაინტერესებთ?

აქვე, ყველა ეჭვი რომ გავფანტო, გეტყვით, ჩვენ "დილას" დაფინანსება არ გვწყინს, პირიქით, გვახარებს, მაგრამ ყველა დანარჩენზეც ასე უნდა ზრუნავდნენ და ამ პოზიციას გორელებიც იზიარებენ. წერილი უკვე გაეგზავნ სპორტის სამინისტროს და სურვილი გვაქვს, რომ ლევან ყიფიანს შევხვდეთ.

**- აქვს სახელმწიფოს უმაღლესი ლიგისთვის გამოსაყოფი 24 მილიონი?**

- ფეხბურთში მეტიც იხარჯებოდა, მაგრამ გაუაზრებლად. მე ლევან ყიფიანის პოზიციას არ ვიცნობ, მაგრამ სალად მოაზროვნე კაცია და მჯერა, მას ჩვენი ძალიან კარგად ესმის.

**- კერძო კლუბების მეპატრონეთა პრობლემები გასაგებია, მაგრამ ბევრისგან მსმენია - სად იყო აქამდე ეს ხალხი, ქვეყნის ახალ მმართველებს საბოტაჟს ხომ არ უწყობენო.**

- ეს კითხვა მეც გამიგია და მერწმუნეთ, აბსურდია. ადრე სახელმწიფო თავს გვახვევდა ფეხბურთის დაფინანსების მიუღებელ გზას, ახლა კი საჭირბოროტო საკითხებზე ხელისუფლების წარმომადგენლებთან ღიად და გულწრფელად ვლაპარაკობთ, გვისმენენ და გვეკითხებიან. საერთოდ, ჩვენი მიმართვა არის არა საბოტაჟი ან ბოიკოტი, არამედ სახელმწიფოსთვის კლუბების შეთავაზება.

ჩვენ ყველას გვახარებს 19-წლამდელების წარმატება. მაგრამ არავის დაავიწყდეს - ფეხბურთი პირამიდაა, რომლის საფუძვლის სიმყარე ეროვნული ნაკრებით იზომება. სახელმწიფოს მართლაც სურს, რომ ფეხბურთი პრიორიტეტული სახეობა გახდეს და დაეხმაროს მას. ამიტომ, გააზრებული დახმარების პროექტი გვჭირდება, სადაც ყველაზე თანაბრად იზრუნებენ - ჩვენ სწორედ ამას ვთავაზობთ. თორემ, ადრინდელი გზით სიარული რომ არას გვარგებს, ეს ეროვნული ნაკრების დღევანდელი მდგომარეობიდანაც ჩანს.

■ ■ ■

კლუბების პროტესტს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი გამოეხმაურა: *„არ შეიძლება ვინმეს ჰქონდეს ილუზია, რომ კლუბებს ბიუჯეტიდან წელსვე დავაფინანსებთ. ასეთი რამ მე არც მითქვამს და ვერც ვიტყოდი, რადგან საამისო რესურსი არ არსებობს. ჯერჯერობით მაინც. ეს შეიძლება განხორციელდეს დროთა განმავლობაში, სპორტული ინტერესების დაცვით. რაც შეეხება გორის „დილას" საკითხს, სპორტის სამინისტროსგან დაფინანსება არ ყოფილა და ვერც იქნებოდა. როგორც ადრე, კლუბს მუნიციპალიტეტი აფინანსებს. იქედან გამომდინარე, რომ გუნდი ევროპის ლიგაზე გადის, სახელმწიფოსგან მისი დაფინანსება გამართლებულია. ქვეყნისთვის უფრო მეტი სირცხვილი იქნება ევროსარბიელზე უარის თქმა, ვიდრე მისი დაფინანსება. ამიტომ არ ვეთანხმები იმ ადამიანებს, რომლებიც აცხადებენ, რომ გორის „დილა" თუ ფინანსდება, იგივე თანხა სხვა კლუბებსაც უნდა დაერიცხოთ".*

**მერაბ მამულაშვილი**






# ვნებათაღელვა შეთანხმებით დამთავრდა: ყველას ერთნაირი სასტარტო პირობები!

2012/13 წლების საფეხბურთო სეზონი დასრულდა, წესითა და რიგით ახალი სეზონისთვის მზადება გუნდებმა მალე უნდა დაიწყონ, თუმცა უმეტეს ქართულ კლუბებში გაურკვევლობაა, არ იციან, რა ბიუჯეტი ექნებათ 2013/14 წლების სეზონისთვის და საერთოდ ექნებათ კი დაფინანსება.

სპორტის მინისტრი საფეხბურთო მილეთს დაჰპირდა - სახელმწიფო კლუბებს კონცეფციის მიხედვით დაეხმარებაო, თუმცა დრო გადის და ჯერ არც კონცეფცია ჩანს და არც ფული.

კლუბების მესვეურები, მწვრთნელები და ფეხბურთელებიც შესაბამისად გაურკვევლობაში არიან. არის იმედი, მაგრამ იმედიან მოლოდინსაც თავისი ზღვარი აქვს.

ამ ყველაფრის გამო, გუშინ, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში მუნიციპალური და კერძო კლუბების წარმომადგენლები შეიკრიბნენ. შეხვედრას დაესწრნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცის ხელმძღვანელებიც: პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა,** გენერალური მდივანი **რევაზ არველაძე** და საპატიო ვიცე-პრეზიდენტი **მურთაზ ხურცილავა.**

ვინ იყო თავყრილობის ინიციატორი და მასპინძელი? როგორც გავიგეთ, ეს არ ყოფილა ოფიციალური შეხვედრა მოსაწვევებითა და რაგინდარა ფორმალობებით, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი შეხვედრის აუცილებლობა შექმნილმა ვითარებამ მოიტანა.

გავიგეთ, რომ გუშინდელ შეკრებაზე არ ყოფილან ქუთაისის „ტორპედოს" და საჩხერის „ჩიხურას" წარმომადგენლები.

შეხვედრაზე მწვავე საუბრებიც ყოფილა. ვნებათაღელვა კერძო და მუნიციპალური კლუბების თანაარსებობის ფორმებს გამოუწვევია. ერთ-ერთი კერძო კლუბის მეპატრონე და ერთ-ერთი მინიციპალური კლუბის წარმომადგენელი ისე შელაპარაკებულან, კინაღამ ერთმანეთისკენ გაუწევიათო - ასეთი ინფორმაციაც კი მოგვაწოდეს.

კონფლიქტის მიზეზი რა თქმა უნდა, ფულია, რომელსაც აქამდე იღებდნენ მუნიციპალური კლუბები, თუმცა რა პრინციპით, ცნობილი არ იყო, რადგან ფულის გადანაწილების პრინციპი არ არსებობდა.

კერძო კლუბებს კი გაუჭირდათ, რადგან საქართველოში ადგილობრივი ბიზნესსაქმიანობით, ალბათ, არავის არ აქვს იმდენი ფული, რომ წლობით მაღალ დონეზე შეინახოს საფეხბურთო კლუბი.

კონფლიქტს, როგორც წესი, ფინანსური პრობლემები იწვევს.

გუშინდელი შეხვედრა მაინც დადებითად დასრულდა, კერძო თუ მუნიციპალური კლუბები სიტყვიერად შეთანხმდნენ იმაზე, რომ თუ სახელმწიფო კონცეპტუალურად გამოყოფს თანხებს საკლუბო ფეხბურთისთვის, ეს თანხა ყველა კლუბზე თანაბრად უნდა გადანაწილდეს - კერძოზეც და მუნიციპალურზეც.

სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში კამათი გამოუწვევია იმას, რომ თუ მუნიციპალური კლუბი მიიღებს დაფინანსებას სახელმწიფოსგან, მაშინ ადგილობრივმა, მინიციპალურმა ბიუჯეტმა ეს კლუბი დამატებით აღარ უნდა დააფინანსოს. მუნიციპალურმა კლუბებმა არგუმენტად ის მოიშველიეს, რომ თუ სახელმწიფოს მიერ კლუბების დაფინანსება სამონაწილეო თანხის თანაბრად გადანაწილების პრინციპით მოხდება, დამატებით როგორ მოიზიდავს ფინანსებს ესა თუ ის მუნიციპალური კლუბი, უკვე არავის საქმე აღარ იქნება, ისე როგორც ის, თუ რა დამატებითი სახსრები აღმოაჩნდებათ კერძო კლუბებს.

კითხვები გაისმა გორის „დილას" მისამართით, ალბათ, იმიტომ, რომ ამ კლუბმა უკვე მიიღო დაფინანსება ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან.

*„ქართულ ფეხბურთში განხორციელებულ ნებისმიერ ინვესტიციას მივესალმებით, მადლობელი ვართ, რომ სახელმწიფო გვერდში გვიდგას და ვფიქრობ, არ შეიძლება იმაზე კამათი, რომ მეტი დაფინანსება ამა თუ იმ კლუბში არ უნდა მოხდეს"* - გვითრა გორის „დილას" მენეჯერმა **გია ისიანმა.**

ქართული კლუბები ადრეც შეიკრიბნენ, თუმცა მაშინ ეს ცალ-ცალკე მოხდა - აქეთ საბიუჯეტო-მუნიციპალურები, იქით კერძო კლუბები.

როგორ შევიტყვეთ, მაშინ ფეხბურთის ფედერაციამ კლუბების წარმომადგენლების ხელმოწერით დამშვენებული დოკუმენტი გაგზავნა სახელმწიფო კანცელარიაში დაფინანსების თხოვნით, რის მერეც პრემიერმინისტრის აპარატს ეს წერილი სპორტის სამინისტროსთვის გადაუმისამართებია - ასე ამბობენ კულუარებში და კლუბებიც ამ სამინისტროს შეჰყურებენ.

ერთ-ერთი კერძო კლუბი გუშინ ინიციატივით გამოვიდა, სახელმწიფოსგან თუ არ იქნება ყველა უმაღლესლიგელზე გამოყოფილი 2 მილიონი ლარი, ჩემპიონატში მონაწილეობას აზრი არ ექნებაო. ამ მოსაზრებას მხარი დაუჭირეს სხვა კერძო კლუბებმაც, სოლიდარული პოზიცია გამოუხატავთ „სიონსა" და „ზუგდიდსაც", რომლებიც არ არიან კერძო კლუბები.

ერთი სიტყვით, არის კამათი, აზრთა სხვადასხვაობა და შეთანხმებაც. გასარკვევი ისღა დარჩა, იქნება კი საერთოდ სისტემურ- კონცეპტუალური დაფინანსება მაშინ, როცა ქვეყანაში ათასი სხვა პრობლემაა და ყველაფრის მოგვარებას ფული სჭირდება.

როგორც უნდა იყოს, გუშინდელი შეხვედრა კლუბების სოლიდარობის მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა იყოს, სოლიდარობა ხომ ის ძალაა, რომელსაც წინ ვერაფერი ვერ დაუდგება...

**დავით თავართქილაძე**



ინტერვიუ

24 წლის მათე ვაწაძემ 22 მარტს, საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ რომ ითამაშა, მერე დანიაში დაბრუნდა, იქაური ჩემპიონატის ტურში მძიმე ტრავმა მიიღო და მას შემდეგ მოედანზე არ გასულა.

ვაწაძეს კოჭის მოტეხილობა დაუდგინეს და ზუსტად ჯერ არავინ იცის, როდის დაუბრუნდება მოედანს.

ვაწაძემ „დინამო თბილისში" შექმნა საკუთარი თავი, საგოლე ალღოთი ყველას თავი მოაწონა, კლასიკურ მეცხრე ნომრად წარმოგვიდგა და მეტოქეთა რისხვაც გახდა.

ვაწაძე ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეს, მერე კი რუსეთში, ნიჟნი ნივგოროდის „ვოლგაში" ჩაირიცხა. საქართველოში მათე შარშან დაბრუნდა, გორის „დილას" ფეხბურთელი გახდა, გოლები შინაურ სარბიელზეც გაიტანა და ევროპულზეც.

ვაწაძე „დილას" ერთ-ერთი ლიდერი გახდა, რის შემდეგ მისთვის, ალბათ, აუცილებელიც კი იყო, რომ ისევ უცხოეთში წასულიყო და ასეც მოხდა - დანიურ „ორჰუსში" გადავიდა.

ვაწაძეს ეროვნულ ნაკრებში ექვსჯერ უთამაშია და ერთი ბურთი გაუტანია. ასეთი მეგოლე, საჯარიმოს ფორვარდი, სხვა ძნელად თუ მოეძებნება ჩვენს ეროვნულ გუნდს. ამიტომაც ის ერთობ მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, სტრატეგიული ფეხბურთელიც კი არის საქართველოს ნაკრებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ამ გუნდის სათამაშო სტილს შემტევს ნამდვილად ვერ დავარქმევთ...

ვაწაძე ახლა თბილისშია და ინტერვიუც ჩამოვართვით...

## მათე ვაწაძე:

# რაც უფრო მეტი თანაგუნდელი გეყოლება ახლოს, მით უკეთესი

**- რა მდგომარეობაა ჯანმრთელობის მხრივ, როგორ მიდის სარეაბილიტაციო პროცესი?**

- ყველაფერი ნორმალურად მიდის, თუ გავითვალისწინებთ იმას, ტრავმის მიღებიდან რა დრო არის გასული, გამოჯანმრთელების პროცესი სახეზეა. 20 ივნისს დანიაში ჩავდივარ და შესაძლოა, რომ 28 ივნისიდან ძუნძულის დაწყების ნება დამრთონ.

**- ანუ ნაოპერაციებ კოჭზე გართულებები არ გქონია?**

- ოპერაცია ტრავმის მიღებიდან მეორე დღესვე გამიკეთეს, ლითონის ორი დეტალი ჩამიდგეს, მოგვიანებით ერთი ამომიღეს, მეორეზე კი მითხრეს - უნდა დარჩეს და ეს არანაირ პრობლემას არ შეგიქმნისო.

**- არის შესაძლებელი პროგნოზის გაკეთება - როდის განაახლებს თამაშს მათე ვაწაძე?**

- კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, კიდევ სამი თვე მოედანს არ უნდა გავეკარო, გარისკვა არც ღირს, სიჩქარემ შესაძლოა ცუდი შედეგი მოიტანოს. ვფიქრობ, აგვისტოს ბოლოსთვის, ალბათ, შემეძლება რამდენიმე წუთით მოედანზე გასვლა და თამაში.

**- ანუ სექტემბერში საფრანგეთთან და ფინეთთან შესარჩევი მატჩების წინ, სავარაუდოდ, ოპტიმალურ ფორმაში იქნები?**

- ძალიან მინდა, რომ ამ მატჩებისთვის მზად ვიყო, ყველაფერი ჩემზე და „ორჰუსის" მწვრთნელზე იქნება დამოკიდებული - რამდენად მალე მოვახერხებ ფორმაში შესვლას.

**- ალბათ უყურე საქართველოს ნაკრების თამაშს ირლანდიასთან. როგორ ფიქრობ, რამ გამოიწვია ჩვენი გუდნის ასეთი მარცხი?**

- ეს ისეთი დროა, როცა ყველა ფეხბურთელს სეზონი დაუმთავრდა და ისვენებს, მიმაჩნია, რომ ამ ფაქტორმა დიდი გავლენა მოახდინა ყველაფერზე. გასაგებია, რომ ირლანდიის ნაკრების ფეხბურთელებიც იმავე მდგომარეობაში იყვნენ, მაგრამ გიორგი ლორიას გაძევებამ თავისი გაიტანა - კაცნაკლული ძალიან ძნელია იმაზე კონცენტრირება, რომ გაიმარჯვებ. რაც მოხდა, ამით ძალიან გულდაწყვეტილი ვარ.

**- საქართველოს ნაკრები ბოლო დროს ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელით თამაშობს. შენ უფრო რომელი განლაგება გირჩევნია - ერთი ფორვარდი და ორი გარემარბი თუ ორი ცენტრფორვარდი, ან ცენტრფორვარდი და ერთი შემტევი მის უკან?**

- რა თქმა უნდა, თავდამსხმელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ახლოს ჰყავდეს პარტნიორი, ასე უფრო იოლია თამაში. როცა ერთი თავდამსხმელი ხარ, ძალიან ძნელია, თუნდაც რამდენიმე წამით შეიმაგრო ბურთი და გუნდმა წინ ამოწევა შეძლოს. უკეთესია, თუ ასეთ დროს გყავს ცენტრფორვარდის უკან მოქმედი შემტევიც. რაც უფრო მეტი თანაგუნდელი გეყოლება ახლოს, მით უკეთესი იქნება.

**- არაერთი ქართველი თავდამსხმელისთვის დაგვისვამს ეს კითხვა - რატომ ერიდებიან ჩვენი ფორვარდები წინა ძელთან თამაშს? რატომ არიან ისინი უფრო იმაზე ორიენტირებულნი, რომ ცენტრალურ მცველებს გაუძვრეთ ბურთი და მერე მოხერხონ გოლის გატანა?**

- არ ვიცი, ყველას საკუთარი სტილი აქვს. მე ვფიქრობ, აბა, სად უნდა ცდილობდეს თავდამსხმელი გასვლას, თუ არა წინა ძელთან? ფორვარდი დასწრებაზე უნდა იყოს ორიენტირებული, კარგ მცველებს ბურთი იშვიათად თუ გაუძვრებათ ფლანგური ჩაწოდების შემდეგ.

**- ცენტრფორვარდისთვის დამახასათებელი თვისებები უფრო სპეციალური ვარჯიშებით გაქვს გამომუშავებული თუ ამას ნიჭის ხარჯზე აკეთებ?**

- ვარჯიშებით გამომუშავებული ეს არ არის, უბრალოდ ბავშვობიდან კარგ მწვრთნელებთან მომიწია ყოფნამ, რომლებიც მასწავლიდნენ და მავალებდნენ თავდამსხმელობას. როცა მოედანზე გადიხარ, უკვე ვეღარავინ გიკარნახებს, როგორ უნდა გააკეთო შენი საქმე. სიტუაციის მიხედვით უნდა იმოქმედო, ან წინა ძელთან წახვალ, ან სხვა გადაწყვეტილებას მიიღებ...

**- წინა ძელთან თამაში - როგორ ფიქრობ, ყველაზე კარგად ეს ვის გამოსდის?**

- ჩემი აზრით, ამ კომპონენტში საუკეთესო ჯაბა დვალია, სხვა ქართველ თავდამსხმელებსაც შეუძლიათ წინა ძელთან კარგად თამაში, ევროპაში მოთამაშე ფორვარდებიდან კი გამოვარჩევდი ბენზემას, იგუაინს, ფალკაოს...

**- საჯარიმოს ფორვარდისთვის მაინც რა არის ყველაზე მთავარი?**

- ბოლო, გადამწყვეტი მომენტი რომ დგება, ყველაფერი იქ უნდა ჩადო.

**- ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა სამუშაოს შესრულებაზე ცენტრფორვარდი დიდად კონცენტრირებული არ უნდა იყოს? გადამწყვეტ, საგოლე დარტყმას ხომ ის ჯანიც სჭირდება, რაც საამისოდ უნდა გქონდეს შემორჩენილი და თუ ამავე დროს, გუნდის ამოყვანასაც ცდილობს ცენტრალური თავდამსხმელი, მაშინ როგორ უნდა გაანაწილოს ენერგია?**

- საჯარიმო მოედანში თამაშს დიდი ჯანი მიაქვს, მაგრამ ერთმა მეორეს ხელი არ უნდა შეუშალოს, ყველაფერი უკვე ფიზიკურ მზადყოფნაზეა დამოკიდებული.

**დავით თავართქილაძე**



მეტალურგი

# რუსთავში ახალი დირექტორია

რუსთავის „მეტალურგში" ამ დროისთვის ახალი ამბავი მხოლოდ ის არის, რომ კლუბს დირექტორი შეეცვალა - ამ თანამდებობას **ზაზა დოლიძე** ჩაიბარებს, რომელმაც **გიორგი საძაძე** შეცვალა.

„მეტალურგის" მთავარი მწვრთნელი **გიორგი ყიფიანი** უცხოეთში გახლდათ წასული და მალევე დაბრუნდება სამშობლოში, რის შემდეგაც გაირკვევა, თუ რომელი ფეხბურთელები დარჩებიან გუნდში და როგორ გაძლიერდება „მეტალურგი".

რუსთაველები ახალი სეზონისთვის მზადებას 24 ივნისიდან დაიწყებენ. შეგახსენებთ, რომ წინა სეზონში ამ გუნდმა ჩემპიონატში მეშვიდე ადგილი დაიკავა, თასის გათამაშებაში კი ნახევარფინალამდე მივიდა.

**დავით თავართქილაძე**

● წარმოგიდგენთ 19-წლამდელებს

# ბუდუ ზივზივაძე: შიშს უკვე ვძლიეთ!

გია ცეცაძის 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე კონტინენტის 8 საუკეთესო გუნდს შორის ითამაშებს.

გულშემატკივარი ნაკრების წევრებს კარგად არ იცნობს. ამიტომ, "ლელომ" გადაწყვიტა იმ მოთამაშეებისა და მწვრთნელების წარდგენა, რომლებმაც უზომო სიხარული მოგვანიჭეს.

ახალ რუბრიკას ვიწყებთ გუნდის ერთ-ერთი წარმატებული მოთამაშით, თბილისის "დინამოს" დუბლშემადგენლობის ფორვარდით ბუდუ ზივზივაძით.

19 წლის თავდამსხმელს შესარჩევ ციკლში არ უთამაშია. მაგრამ გია ცეცაძემ ზუსტად მიაგნო მოთამაშეს, რომელმაც გუნდი გააძლიერა - ბუდუმ ელიტ რაუნდში სამივე შეხვედრა ძირითადში ითამაშა, 1 გოლი და 1 საგოლე გადაცემა მიითვალა და ამ სტატისტიკის მიღმა, გუნდს ბევრი სასარგებლო საქმე გაუკეთა.

ბუდუ ზივზივაძეს "ლელომ" ინტერვიუ ჩამოართვა.

**- ევროპის ჩემპიონატზე გასვლით განებივრებულები არ ვართ. რამ განაპირობა ბელგიაში წარმატება?**

- ძალიან მოკლედ გეტყვით – ერთსულოვნებამ და რწმენამ. მწვრთნელმა მაგრად დაგვმუხტა და ის დავალებები მოგვცა, რამაც ეს შედეგი მოგვიტანა.

**- დეტალებია საინტერესო - ამას როგორ ახერხებდა?**

- გია ცეცაძე გვეუბნებოდა, რომ ჩვენ უნდა მოგვეხსნა მეორეხარისხოვანი ადამიანების სინდრომი და შეგვეტია - თქვენ ეს შეგიძლიათ, ნუ გეშინიათო. დამიჯერეთ, ეს ჩვენთვის ბევრს ნიშნავდა.

**- თუმცა, რეალურად ძალიან ძნელია ბევრად უკეთეს პირობებში მომზადებულ ინგლისელ, შოტლანდიელ, ბელგიელ ახალგაზრდებს შეუტიო და დაამარცხო.**

- გეთანხმებით, მაგრამ გააჩნია, სიტყვებს ვინ ამბობს. გია სულ გვარწმუნებდა, რომ "პირველ ნომრად" უნდა გვეთამაშა და მისმა თავდაჯერებულობამ წნეხი მოგვიხსნა.

**- პირადად შენ თამაშზე რას იტყვი?**

- ცეცაძეს ნდობამ გამახარა და მინდოდა, მადლობა კარგი თამაშით გადამეხადა. განსაკუთრებით ბედნიერი შოტლანდიელებთან ვიყავი: როდესაც 1:0-ზე მსაჯმა არაბული გაგვიგდო და 9 კაცით დავრჩით, მეორე გოლი გავიტანე. მაშინ მივხვდი, რომ ჩვენი მომგები არც შოტლანდია იყო და არც ბელგია, რომელსაც ბოლო ტურში უნდა შევხვედროდით.

**- ევროპის ჩემპიონატზე რა იმედით მიემგზავრებით?**

- გია ცეცაძემ თქვა ის, რაზეც თითოეული ჩვენგანი ოცნებობს – ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასვლა ან მინიმუმ სამეულში მოხვედრა მაინც გვსურს. რაც უნდა წარმოუდგენლად გეჩვენოთ, ეს არ არის მხოლოდ ხმამაღალი სიტყვები. ელიტ რაუნდზე ბიჭების თამაშმა დამაჯერა, რომ ძლიერ გუნდებთან კარგად თამაში და მოგება შეგვიძლია.

**- დიდი ხანია, მსგავსი ფრაზები არ გვსმენია და ყურს უცნაურად ხვდება, თუმცა სასიამოვნოა.**

- იცით, ბელგიაში მთავარი რა მოხდა? მივხვდით, ჩვენ თუ მეორეხარისხოვანი ერის ფსიქოლოგიას არ მოვიცილებდით, არაფერი გამოგვივიდოდა. როდესაც მოედანზე გადიხარ, ასეთი სულისკვეთებით თამაში ძალიან ბევრს ნიშნავს. ამიტომაა, ლიტვაში გასამართ თამაშებს დიდი იმედით რომ ველით - ჩვენ შიშს უკვე ვძლიეთ.

**- ეს შიში მეტოქეების ძალით იყო გამოწვეული თუ საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვითა და შიშით?**

- ალბათ, მეორე. ქართველს შიში მაშინ ეწყება, როდესაც მეტოქე ინგლისი, ესპანეთი, გერმანია ან სხვა გრანდია. თამაშს ხშირად თავად ვაგებთ ხოლმე.

ჩვენც ქართველები ვართ, სხვებისგან არაფრით განვსხვავდებით და კარგად გვესმოდა, რომ ძლიერი მეტოქეები გვყავდა. მაგრამ იმდენად მონდომებულები ვიყავით და მწვრთნელებმა ისე „დაგვქოქეს", ინგლისსაც ვაჯობეთ, შოტლანდია-ბელგიასაც და მართლა გამართული ფეხბურთი ვაჩვენეთ. ეს თავდაჯერებულობა სერბეთთან გასვლაზე მოგებით დაიწყო.

სხვათა შორის, ბელგიაში მეტოქეებზე არანაკლებ, ამინდს ვუფრთხოდით. სერბეთში სიცხეში ვითამაშეთ, ბელგიაში კი ბრიტანული ამინდი დაგვხვდა, ცივი და ნესტიანი. ვფიქრობდით, ასეთ პირობებში ინგლისსა და შოტლანდიას როგორ მოვუგებდით. მაგრამ ამინდსაც ვაჯობეთ.

**- პირადად შენზეც ვილაპარაკოთ: სად ვარჯიშობდი, ვისთან და როგორ მოხვდი ნაკრების მწვრთნელთა ყურადღების ცენტრში?**

- ქუთაისელი ვარ. 8 წლიდან "იმედის" საფეხბურთო სკოლაში "ტორპედოს" ყოფილი ფეხბურთელი მამუკა ხუნდაძე მავარჯიშებდა. მან შემაყვარა ფეხბურთი და მისი ანბანი მასწავლა. 15 წლისა ნაკრების შერჩევებზე მომიწვიეს, სადაც გოჩა ავსაჯანიშვილმა შემნიშნა და 35-ე სკოლაში თემურ ლორთქიფანიძესთან მიმიყვანა. მისგან ასევე ბევრი ვისწავლე. 17 წლის ასაკში თბილისის "დინამოს" საფეხბურთო აკადემიის სელექციონერმა თემურ უგრეხელიძემ დუბლებში მიმიწვია და მას შემდეგ ვარ კლუბში, რომელიც ძალიან მიყვარს. პირველად თამაშები გიორგი დევდარიანმა მომცა, დასრულებულ სეზონში კი რამაზ მუმლაძე მენდობოდა, პირველ ლიგაში მათამაშებდა და კარგი პრაქტიკაც მივიღე.

**- სანაკრებო კარიერა როდის დაიწყე?**

- კობა ჟორჟიკაშვილმა 17-წლამდელთა ნაკრებში გამომიძახა. მაშინ გუნდი ელიტ რაუნდში მოხვდა და ევროფინალში გასასვლელად ვიბრძოდით.

**- ელიტ რაუნდის შემდეგ შენით რომელიმე ევროპული კლუბი დაინტერესდა?**

- კონკრეტული წინადადება ჯერ არ მქონია. თანაც, "დინამოს" ვეკუთვნი და ჯერ აქ დამკვიდრებაზე ვფიქრობ.

**მერაბ მამულაშვილი**



## დოსიე
## ბუდუ ზივზივაძე



**დაიბადა:** 1994 წლის 10 მარტს, ქუთაისში

**პოზიცია:** თავდამსხმელი

თბილისის "დინამოშია" 2011 წლიდან

2012-2013 „დინამო 2" – 19 მატჩი, 14 გოლი

სანაკრებო კარიერა

**დებიუტი:** 2011 წლის 27 მარტი - ბელარუსი-საქართველო 1:0 (ევროპის ჩემპიონატის (U17) შესარჩევი)

საქართველო U17 (3 მატჩი, 0 გოლი)

საქართველო U19 (3 მატჩი, 1 გოლი)

● ფუტსალი

# უბანში გუნდი შეიქმნა

ადრეც დავწერეთ, რომ საქართველოს მომავალ ეროვნულ ჩემპიონატში, შესაძლოა, ათმა გუნდმა ითამაშოს. ორიოდე დღის წინ კი ფუტსალის ასოციაციის გენერალური მდივანი **ბექა კვიციანი** ჩემპიონატში გამოსვლაზე ელაპარაკა თბილისის "გრანდის" ხელმძღვანელობას, რომელთაც რამდენიმე ასაკობრივი ჯგუფი ჰყავს.

სხვა დეტალები გუნდის დაარსების ინიციატორმა, 19 წლის ფეხბურთელმა **გიორგი შანიძემ** გაგვანდო.

"ბევრი ნიჭიერი მოთამაშე მეგულება, რომლებიც ფეხბურთს ნაადრევად ჩამოშორდნენ და შეუძლია, სიტყვა ფუტსალში თქვან. ამიტომ მეგობრებმა ვარკეთილში, ისანსა და სამგორში ასეთი ბიჭების შეკრება და უბნის გუნდის ჩამოყალიბება გადავწყვიტეთ. ეს უბნები ხომ ლამის თბილისის ნახევარს შეადგენს, მაგრამ დღემდე ერთი გუნდიც არ არსებობდა.

დავინტერესდით, რეალური იყო თუ არა ფუტსალის ჩემპიონატში ჩართვა. აღმოჩნდა, რომ ასოციაციის გენერალური დირექტორი ბექა კვიციანი გუნდების დამატებას თავად აპირებდა და საქმეს სერიოზულად მოვეკიდეთ. ასე ჩამოყალიბდა გუნდი, რომელიც მომავალ სეზონში "გრანდის" ან "თბილისის" სახელით ითამაშებს. მწვრთნელი გიორგი გოგიჩაშვილი არის დამაარსებელიც და მთავარი მწვრთნელიც, მე კაპიტანი და მოთამაშე-მწვრთნელი ვიქნები, ხოლო დაფინანსებას მუნიციპალიტეტიდან ველოდებით. თავად დიდ ფეხბურთს ვთამაშობ და შესაძლოა, მალე უმაღლესი ლიგის გუნდში გადავიდე. მანამდე კი ბიჭებს გვერდში დავუდექი. აგვისტოს ბოლოს, ჩემპიონატის დაწყებამდე სინჯებსაც ჩავატარებთ, რათა სხვა ნიჭიერი ახალგაზრდებიც მოვძებნოთ. ცნობილი ფეხბურთელის დამატებით ვერ დავიკვეხნით, მაგრამ ახალგაზრდული, მოტივირებული გუნდი გვეყოლება, თავს არ შევირცხვენთ და სამეულისთვის ვიბრძოლებთ. გუნდის დამაარსებლებს მიგვაჩნია, რომ ჩემპიონატში თბილისის ყველა უბანი უნდა იყოს წარმოდგენილი, რაც ფუტსალის მიმართ ხალხის ინტერესს გაზრდის და ბევრ საინტერესო მოთამაშეს მოვძებნით" – გვითხრა შანიძემ.

ამასობაში, "თელასი" გურიაში გაემგზავრა, სადაც მოსკოვის საერთაშორისო ტურნირამდე შეკრებას გაივლის. შეგახსენებთ, რომ ეს გუნდი გასულ წელს, ამავე ტურნირის ვიცე-ჩემპიონი გახდა. წელს, რუსეთის დედაქალაქში შეჯიბრება 16 ივნისს დაიწყება.

ფუტსალის საპატიო პრეზიდენტი **კახა დევდარიანი** კი გორის "ქართლის" ხელმძღვანელობას შეხვდა. იქ დაადასტურეს, რომ ჩემპიონატში გამოსასვლელად ფინანსურად მზად არიან და მომავალ ჩემპიონატში პრობლემა არ შეექმნებათ.

**მერაბ მამულაშვილი**

### დასავლეთი ზონა. ბოლო ტური

| | |
|---|---|
| შუქურა-2 – გურია-2 | 3:3 |
| ეგრისი – ენგური | 4:3 |
| მარგვეთი-2006 – სამეგრელო | 4:0 |
| მაჭახელა – კოლხეთი-2 | 6:0 |
| საპოვნელა – ლაზიკა | 0:0 |
| ტორპედო-2011 – ბახმარო | 0:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაჭახელა | 24 | 20 | 2 | 2 | 74-11 | 62 |
| 2. ლაზიკა | 24 | 18 | 3 | 3 | 71-16 | 57 |
| 3. საპოვნელა | 24 | 17 | 4 | 3 | 66-18 | 55 |
| 4. ბახმარო | 24 | 14 | 6 | 4 | 52-31 | 48 |
| 5. მარგვეთი | 24 | 14 | 1 | 9 | 70-37 | 43 |
| 6. საირმე | 24 | 14 | 1 | 9 | 48-30 | 43 |
| 7. გურია-2 | 24 | 14 | 1 | 11 | 46-41 | 37 |
| 8. კოლხეთი-2 | 24 | 5 | 7 | 12 | 32-46 | 22 |
| 9. შუქურა-2 | 24 | 6 | 3 | 15 | 36-60 | 21 |
| 10. სამეგრელო | 24 | 5 | 5 | 14 | 25-77 | 20 |
| 11. ენგური | 24 | 4 | 4 | 16 | 34-67 | 16 |
| 12. ტორპედო | 24 | 3 | 3 | 18 | 29-84 | 12 |
| 13. ეგრისი | 24 | 2 | 4 | 18 | 22-77 | 10 |

### აღმოსავლეთი ზონა. ბოლო ტური

| | |
|---|---|
| ლაგოდეხი – საქართ. უნივერ. | 1:5 |
| აბული – ივერია | 3:0 |
| ფარავანი – აფხაზ./ნ. დინამო | 0:3 |
| სპარტაკი-2 – დუშეთი | 3:0 |
| ქართლი-2011 – ალგეთი-XXI | 3:0 |
| იბერია-გაგრა 2 | 0:2 |
| ლიახვი-US ბესტი | 2:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქართლი 2011 | 26 | 22 | 3 | 1 | 92-15 | 69 |
| 2. ივერია | 26 | 19 | 1 | 6 | 81-44 | 58 |
| 3. USბესტი | 26 | 16 | 7 | 3 | 69-24 | 55 |
| 4. საქ. უნივ. | 26 | 17 | 3 | 6 | 69-37 | [illegible] |
| 5. სპარტაკი | 26 | 15 | 2 | 9 | 59-39 | 47 |
| 6. აბული | 26 | 11 | 7 | 8 | 44-40 | 40 |
| 7. გაგრა 2 | 26 | 12 | 2 | 12 | 71-56 | 38 |
| 8. ლიახვი 2 | 26 | 10 | 3 | 13 | 45-52 | 33 |
| 9. დუშეთი | 26 | 9 | 3 | 14 | 39-51 | 30 |
| 10. იბერია | 26 | 8 | 4 | 14 | 47-71 | 28 |
| 11. ალგეთი XXI | 26 | 7 | 1 | 18 | 39-61 | 22 |
| 12. ლაგოდეხი | 26 | 6 | 3 | 17 | 40-71 | 21 |
| 13. სოხუმი | 26 | 7 | 0 | 19 | 34-99 | 21 |
| 14. ფარავანი | 26 | 3 | 1 | 22 | 18-87 | 10 |

### ჭაბუკთა ლიგა. XXIX ტური

#### 1995/96 წლებში დაბადებულნი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია – ბაია | 3:0 |
| დინამო (ბთ) – მეტალურგი | 0:2 |
| მერანი – სიონი | 3:2 |
| კოლხეთი (ფ) – ზესტაფონი | 1:0 |
| ლოკომოტივი – დინამო (თბ) | 2:0 |
| ზუგდიდი – დილა | 0:2 |
| ტორპედო – ჩიხურა | 4:2 |
| საბურთალო – 35-ე ს.ს | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალურგი | 29 | 22 | 3 | 4 | 74-25 | 69 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 29 | 21 | 5 | 3 | 65-20 | 68 |
| 3. დილა | 29 | 21 | 4 | 4 | 57-22 | 67 |
| 4. ლოკომოტივი | 29 | 18 | 4 | 7 | 75-30 | 58 |
| 5. საბურთალო | 28 | 17 | 2 | 9 | 60-38 | 53 |
| 6. დინამო (თბ) | 29 | 15 | 3 | 11 | 71-42 | 48 |
| 7. ტორპედო | 29 | 12 | 8 | 9 | 60-42 | 44 |
| 8. ზუგდიდი | 29 | 12 | 4 | 13 | 41-59 | 40 |
| 9. ზესტაფონი | 29 | 10 | 6 | 13 | 38-44 | 36 |
| 10. სიონი | 29 | 8 | 7 | 14 | 36-42 | 31 |
| 11. დინამო (ბთ) | 29 | 8 | 7 | 14 | 26-40 | 31 |
| 12. კოლხეთი | 29 | 7 | 8 | 14 | 24-57 | 29 |
| 13. 35-ე ს.ს. | 28 | 8 | 3 | 17 | 32-55 | 27 |
| 14. ბაია | 29 | 5 | 7 | 17 | 37-76 | 22 |
| 15. ჩიხურა | 29 | 4 | 4 | 21 | 29-86 | 16 |
| 16. მერანი | 29 | 3 | 5 | 21 | 33-80 | 14 |

#### 1997/98 წლებში დაბადებულნი

| | |
|---|---|
| ტორპედო – ჩიხურა | 1:0 |
| ვიტ ჯორჯია – ბაია | 3:0 |
| დინამო (ბთ) – მეტალურგი | 0:5 |
| მერანი – სიონი | 2:3 |
| ზუგდიდი – დილა | 1:0 |
| კოლხეთი (ფ) – ზესტაფონი | 1:0 |
| ლოკომოტივი – დინამო (თბ) | 1:1 |
| საბურთალო – 35-ე ს.ს. | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბურთალო | 28 | 24 | 4 | 0 | 136-8 | 76 |
| 2. დინამო (თბ) | 29 | 24 | 3 | 2 | 113-19 | 75 |
| 3. ლოკომოტივი | 29 | 23 | 3 | 3 | 106-25 | 72 |
| 4. დილა | 29 | 17 | 3 | 9 | 41-27 | 54 |
| 5. მეტალურგი | 29 | 16 | 2 | 11 | 50-34 | 50 |
| 6. ტორპედო | 29 | 15 | 4 | 10 | 58-41 | 49 |
| 7. 35-ე ს.ს. | 28 | 14 | 5 | 9 | 49-22 | 47 |
| 8. ვიტ ჯორჯია | 29 | 13 | 4 | 12 | 42-38 | 43 |
| 9. ბაია | 29 | 12 | 6 | 11 | 46-45 | 42 |
| 10. ზესტაფონი | 29 | 10 | 4 | 15 | 33-67 | 34 |
| 11. კოლხეთი | 29 | 9 | 4 | 16 | 27-43 | 31 |
| 12. ზუგდიდი | 29 | 7 | 6 | 16 | 17-57 | 27 |
| 13. მერანი | 29 | 5 | 8 | 16 | 28-51 | 23 |
| 14. დინამო (ბთ) | 29 | 5 | 4 | 20 | 17-86 | 19 |
| 15. ჩიხურა | 29 | 1 | 6 | 22 | 12-96 | 9 |
| 16. სიონი | 29 | 2 | 2 | 25 | 18-134 | 8 |

ინტერვიუ

# ხუან მატა: როცა ბრაზილიაში მიდიხარ სათამაშოდ, თავში ერთი რამ გიტრიალებს – მარაკანა



ინგლისში გატარებულმა ორმა წელმა ხუან მატას სერიოზული გამოცდილება შესძინა

**კონფედერაციათა** თასის დაწყებამდე ესპანეთის ნაკრებისა და „ჩელსის“ 25 წლის ნახევარმცველმა ხუან მატამ ფიფას ოფიციალურ ვებგვერდს ინტერვიუ მისცა, სადაც მან ესპანეთის ნაკრების გარდა თავის ლონდონურ ცხოვრებაზეც ილაპარაკა.

**- კონფედერაციათა თასზე ურუგვაისთან შეხვედრამდე (16.06. რედ.) დიდი დრო აღარ დარჩა. რას გრძნობთ?**

- ვნერვიულობ. ძალიან მინდა, კიდევ ერთხელ შევიგრძნო, თუ რას ნიშნავს კონფედერაციათა თასი. მთელი სეზონი ბევრს ვვარჯიშობდი, რათა ამ ეტაპზე ყველაფერი რიგზე ყოფილიყო.

**- ის, რომ თამაშები სამხრეთ ამერიკაში ჩატარდება, რეგიონში, სადაც ევროპელებს ასპარეზობა იშვიათად უწევთ, ტურნირს განსაკუთრებულ ელფერს აძლევს?**

- ბრაზილიაში პირველად ვარ და ცხადია, ფეხბურთი აქ ჯერ არასოდეს მითამაშია. თუმცა კარგია, რომ იმ ქვეყნის გაცნობის შანსი გვეძლევა, სადაც მომავალ წელს მსოფლიოს ჩემპიონატი უნდა გაიმართოს. სტადიონებს ვნახავთ, ატმოსფეროს გავეცნობით, რომელიც ისედაც დარწმუნებული ვარ, მშვენიერი იქნება და რაც მთავარია, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოვემზადებით.

**- არის რამე განსაკუთრებული, რასაც ელოდებით?**

- როცა ბრაზილიაში სათამაშოდ მიდიხარ, გონებაში ერთადერთი რამ გიტრიალებს - „მარაკანა“. მშვენიერი იქნება, თუკი ფინალში გავალთ და ამ სტადიონზე მოგვიწევს ტიტულისთვის ბრძოლა.

**- ესპანეთის ნაკრებმა ზედიზედ ორჯერ მოიგო ევროპის პირველობა და ამასთან მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია. მეტოქეებს თუ ეტყობათ „ფურია როხას“ წინაშე მოწიწება?**

- ყველაზე მნიშვნელოვანია კომენტარები, რომელსაც ხალხი თამაშამდე და ხანდახან თამაშის მიმდინარეობისას აკეთებს. ესპანეთის ნაკრები ამჟამად თავის ისტორიაში საუკეთესო ეტაპზე. ცხადია, მეტოქეები მის დამარცხებაზე ოცნებობენ. ვამაყობთ, რომ ჩვენ წინააღმდეგ ყველა განსაკუთრებით ემზადება.

**- თქვენი აზრით, რატომ ხდება, რომ „ჩელსის“ ძირითადის მოთამაშე ხართ, ნაკრების - არა?**

- ვფიქრობ, იმიტომ, რომ ნაკრებში ბევრია ისეთი ფეხბურთელი, რომელიც თავის კლუბში არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ძირითადში სულ 11 ადგილია და კონკურენცია ძალიან სერიოზულია. თუმცა უკვე სამ დიდ ტურნირზე მაქვს ნათამაშები და მინდა, რომ სამომავლოდაც ამ გუნდის ნაწილი ვიყო.

**- „ჩელსის“ გასახდელში ჯერ კიდევ გიწოდებენ მეტსახელებს?**

- არც ისე ხშირად, რადგან დენიელ სტარიჯი „ლივერპულში“ გადავიდა სათამაშოდ. სხვები კი მე ჩვეულებრივ ხუანს მეძახიან. თუმცა სახელის ზუსტად წარმოთქმა ბევრს უჭირს. თითქმის ყველას ისე გამოსდის, როგორც სიტყვა „ერთი“ ინგლისურად. ბევრი საერთოდ ვერ ახერხებს ხ-ს წარმოთქმას.

**- პოპულარული ფეხბურთელი ხართ. ჯერ კიდევ შეგიძლიათ ლონდონში მშვიდად სეირნობა?**

- ამ მხრივ პრობლემა არ მაქვს, თუმცა იმის თქმა კი შემიძლია, რომ ხალხი სულ უფრო ხშირად მცნობს ქუჩაში. შეიძლება იმიტომაც, რომ უკვე მეორე წელი ხდება, რაც აქ ვარ. ამ ქალაქში ბევრად უფრო მშვიდად შეიძლება ცხოვრება, ვიდრე, ვთქვათ, ესპანეთში.

**- ფეხბურთელები ქალაქგარეთ ცხოვრებას ანიჭებენ უპირატესობას. თქვენ კი შუაგულ ლონდონში ხართ. რატომ?**

- ქალაქისგან მოშორებულად ისინი ცხოვრობენ, ვისაც პატარა ბავშვები ჰყავთ, რადგან იქ გარემო ბევრად უფრო მშვიდია. მე კი ჯერ ახალგაზრდა ვარ და მიყვარს სეირნობა, კაფეებში შესვლა და ჭიქა ყავის დალევა და კიდევ ამის მსგავსი რამეები.

**- „ჩელსი“ იმიტომ აირჩიეთ, რომ ლონდონში გეცხოვრათ?**

- ეს ნაბიჯი იმიტომ გადავდგი, რომ ტოპკლუბში მეთამაშა, ისეთში, რომელიც ტიტულებისთვის ბრძოლას მოახერხებდა, თუმცა ისიც მართალია, რომ ლონდონში ცხოვრების პერსპექტივამ გადაწყვეტილების მიღება გამიიოლა.

**- ესპანეთი არ გენატრებათ?**

- თუ რამე მენატრება, ეს არის სახლი, ოჯახი, ვალენსიური ცხოვრების სტილი, სახლთან ახლოს პლაჟი, თუმცა ამის მიუხედავად, ინგლისში მაინც ბედნიერად ვგრძნობ თავს. ამ ყველაფერმა, ანუ ახალ ქვეყანაში გადასვლამ, იქამდე უცნობ ხალხთან ურთიერთობამ, ახალ წესებთან შეგუებამ, სერიოზულად შემიწყო ხელი განსხვავებულად შემეხედა ცხოვრებისთვის.

**- ინგლისში ცხოვრებამ საუკეთესო რა გასწავლათ?**

- იყავი სათანადოდ მამაცი, რომ გადაწყვეტილების მიღება მოახერხო. ჩემთვის ბევრად უფრო მარტივი იყო ორი წლის წინ, რომ ესპანეთში დავრჩენილიყავი, მაგრამ ახალი სტიმული და გარკვეული ცვლილებები მჭირდებოდა.

ამბები


ალექსანდარ მიტროვიჩი

## ვენგერი ისევ პერსპექტივაზე ფიქრობს

SKY ITALIA-ს ცნობით, ლონდონის „არსენალმა“ ბელგრადის „პარტიზანთან“ 18 წლის **ალექსანდარ მიტროვიჩის** ტრანსფერზე მოლაპარაკებები წამოიწყო. სოციალურ ქსელებში „მეთოფეთა“ ფანებში ამ ამბავმა გაღიზიანება გამოიწვია, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ მიტროვიჩი არ არის იმ გაქანების ფეხბურთელი, რომ გუნდს პრემიერლიგაში ამბიციური მიზნების გადაწყვეტაში დაეხმაროს. ისინი აღნიშნავენ, რომ თინეიჯერი სერბი თამაშის მანერით **ოლივიე ჟირუს** ჰგავს და მხოლოდ ფრანგის შემცვლელად თუ გამოდგება. იმავე წყაროს ცნობით, მიტროვიჩის შეძენას იტალიური კლუბები „ნაპოლი“ და „ფიორენტინაც“ გეგმავენ. ალექსანდარს ბელგრადელებთან ხელშეკრულება 2016 წლის ივნისის ბოლომდე აკავშირებს.

ბოლო სეზონში მიტროვიჩმა საკლუბო დონეზე სულ 37 შეხვედრა ჩაატარა, გაიტანა 15 გოლი და 4 საგოლე გადაცემა გააკეთა. მან „პარტიზანის“ ჩემპიონობაში სერიოზული წვლილი შეიტანა. ასაკის გათვალისწინებით, სერბის შეძენა შეიძლება მხოლოდ ერთს ნიშნავდეს: **არსენ ვენგერი** აქცენტს ისევ სამომავლო პერსპექტივაზე აკეთებს.

## რუნი: თავდამსხმელი ვარ

**უეინ რუნის** მიაჩნია, რომ ის „მანჩესტერ იუნაიტედს“ ბევრად უფრო მეტ სარგებელს მოუტანს, თუკი მწვრთნელი თავდასხმაში ათამაშებს და არა ნახევარმცველად, როგორც ეს 2012/13 წლების სეზონში ხდებოდა: *„სამომავლოდ ნამდვილად არ ვიქნები წინააღმდეგი, თუკი განსხვავებულ პოზიციაზე მოვსინჯავ ჩემს შესაძლებლობებს, მაგრამ ამჟამად ჩემი თავი მხოლოდ ცენტრალურ თავდამსხმელად წარმომიდგენია, პოზიციაზე, სადაც უმთავრესად გოლების გატანა დამევალება. უკანასკნელ სეზონში მხოლოდ ერთხელ მომეცა საშუალება, რომ გამოკვეთილ ფორვარდად მეთამაშა და თავი ძალიან კომფორტულად ვიგრძენი. სწორედ ეს პოზიცია შემეფერება ყველაზე მეტად და იმედი მაქვს, რომ მომავალში ჩემს საქმეს მანდობენ“.*

## კიუელი სამშობლოში დაბრუნდა

**ჰარი კიუელმა** კარიერის საუკეთესო ხანა ინგლისურ პრემიერლიგაში გაატარა, სადაც ის ჯერ „ლიდს იუნაიტედის“, შემდეგ კი „ლივერპულის“ ღირსებას იცავდა. ბრიტანეთში მან საერთო ჯამში 12 წელიწადი გაატარა, რის შემდეგაც ძირითადად ტრავმების გამო, იძულებული გახდა, ბედი სხვა ქვეყნებში ეცადა. 2011 წელს ის „მელბურ ვიქტორიაში“ ჩაირიცხა, თუმცა მიმდინარე წლის იანვარში ცოტა ხნით ყატარულ „ალ ღარაფაშიც“ სცადა ბედი. გუშინ კი „გარდიანის“ ცნობით, მან „მელბურნ ჰარტთან“ გააფორმა 1-წლიანი კონტრაქტი. 34 წლის გარემარბის თქმით, ის ყველაფერს გააკეთებს, რომ 2014 წელს ავსტრალიის ნაკრებში მოხვდეს და ბრაზილიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის შანსი მიეცეს.

## კეროლი ხელფასის მომატებას ითხოვს

რამდენიმე დღის წინ „ლივერპულმა“ და „ვესტ ჰემმა“ **ენდი კეროლის** ტრანსფერი შეათანხმეს. „ჩაქუჩებს“ 24 წლის თავდამსხმელის შეძენა 15 მილიონი ფუნტი დაუჯდებათ. ფეხბურთელი ლონდონელებისგან კონტრაქტზე ხელმოწერის სანაცვლოდ ხელფასის 25%-ით მომატებას ითხოვს. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ამჟამად ენდის კვირაში 80 ათასს უხდიან, გამოდის, რომ კეროლი, ვინც მთელი სეზონის განმავლობაში ჩემპიონატში 7 გოლი გაიტანა, საკუთარ სამსახურს მეტისმეტად ძვირად აფასებს. „ვესტ ჰემის“ წარმომადგენლებმა ფეხბურთელს უკვე აცნობეს, რომ ამხელა ხელფასის გადახდას ისინი ვერ შეძლებენ და ჯობია, მხარეები კიდევ ერთხელ მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას, რათა გარკვეული კომპრომისი მოინახოს.

## სელტიკი ირლანდიელს იწვევს

„სელტიკის“ მთავარმა მწვრთნელმა **ნილ ლენონმა** დაადასტურა, რომ „ასტონ ვილას“ 33 წლის ცენტრალური მცველის **რიჩარდ დანის** სამსახურით არის დაინტერესებული. ვეტერან ირლანდიელს ბირმინგემულ კლუბთან ხელშეკრულება უმთავრდება და შოტლანდიაში გადაბარგება თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუძლია. დანმა ტრავმის გამო 2012/13 წლების სეზონი მთლიანად გამოტოვა, თუმცა უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს. *„რიჩარდს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები ჰქონდა და წარმოდგენა არ მაქვს ამჟამად როგორ კონდიციებშია. მიუხედავად ამისა, დანი ის ფეხბურთელია, ვისაც დიდი ხანია ვიცნობ და ვისი თამაშის სტილიც ყოველთვის მომწონდა,“* – განაცხადა ნილ ლენონმა. ჩრდილოირლანდიელმა სპეციალისტმა ისიც დაამატა, რომ მოლაპარაკებები ფეხბურთელთან ჯერ არ დაწყებულა.

## პირსი ევროს შემდეგ დაფიქრდება

ისრაელში წუხელ 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყო, სადაც ინგლისის ნაკრები ერთ-ერთი ფავორიტის რანგში ჩავიდა. ახალგაზრდა კუნძულელებს 51 წლის **სტიუარტ პირსი** წვრთნის, ვისაც ინგლისის საფეხბურთო ასოციაციასთან კონტრაქტი თვის ბოლოს უმთავრდება. ფეხბურთის მმართველ ორგანოში მასთან თანამშრომლობის გაგრძელება სურთ და ახალი კონტრაქტი უკვე შესთავაზეს. *„ასოციაციასთან მოლაპარაკებებისთვის მხოლოდ ორი კვირის შემდეგ მეცლება, იქამდე კი მხოლოდ ერთი საფიქრალი მაქვს: ჩემპიონატი უნდა მოვიგოთ,“* – განაცხადა სტიუარტ პირსმა.

## ფაბიანსკი არსენალიდან მიდის

თურქული მედიის ცნობით, „არსენალის“ 28 წლის გოლკიპერმა **ლუკაშ ფაბიანსკიმ** შესაძლოა ახალი სეზონი „ბეშიქთაშში“ დაიწყოს. სტამბულელები პოლონელს 4-წლიან თანამშრომლობას სთავაზობენ. ლუკაშს „მეთოფეებთან“ კონტრაქტი თვის ბოლოს უმთავრდება, კლუბს კი მისთვის დარჩენა ჯერ არ შეუთავაზებია. რომც შეეთავაზებინათ, ეჭვი გვაქვს, რომ ფაბიანსკი უარს იტყოდა, რადგან „ემირეიტსზე“ მასში ყოველთვის სათადარიგო მეკარეს ხედავდნენ, რაც ამბიციურ ფეხბურთელს არ აკმაყოფილებს.

## სიტი კავანის პირობებზე შეუთანხმდა


ედინსონ კავანი

GOAL.COM-ის ცნობით, „ნაპოლის“ 26 წლის ურუგვაელი თავდამსხმელი **ედინსონ კავანი** კარიერას „მანჩესტერ სიტიში“ განაგრძობს, თუკი იტალიურმა კლუბმა ინგლისელთა შეთავაზება მიიღო. „ქალაქელები“ მზად არიან, სამხრეთამერიკელში 25,5 მილიონი ფუნტი გადაიხადონ და პლუს, **ედინ ჯეკო** დათმონ, კავანის კი კვირაში 150 ათასი ფუნტი გადაუხადონ. პირადი კონტრაქტის დეტალები „ქალაქელებმა“ ფეხბურთელთან უკვე შეათანხმეს. შეთავაზება ერთია და „აძურის“ ამ შემთხვევაში სერიოზული პრობლემა შეექმნება, რადგან ინგლისის ექსჩემპიონი ჯეკოს კვირაში 110 ათას ფუნტს უხდის. ნაკლებ ხელფასზე მისი დათანხმება კი **რაფაელ ბენიტესს** ძალიან გაუჭირდება.

გეტყვით იმასაც, რომ კავანი „სან პაოლოზე“ 2010 წლის ზაფხულიდან თამაშობს და ყველა ტურნირში ერთად 124 შეხვედრაში 102 გოლის გატანა მოასწრო.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირა ციფრებში

# სიჩქარე, შოკი და ექვსი გოლი



**დღევანდელ მიმოხილვაში საკმაოდ ბევრ საინტერესო და განსხვავებულ თემაზე ვისაუბრებთ. დაწყებით კი „პაშინგის“ მართლაც უნიკალური გამარჯვებით დავიწყებთ...**

**94** - წლიან ისტორიაში, ავსტრიის თასი მესამე ლიგის გუნდს არასდროს მოეგო, სანამ ხუთშაბათს ეს „პაშინგმა“ არ გააკეთა. წინა ეტაპებზე „რაპიდის“ და „ზალცბურგის“ დამარცხების შემდეგ, მესამე ლიგის წარმომადგენელმა ფინალში ჩემპიონ „აუსტრიას“ სძლია, რომელიც ისტორიაში 28-ე თასის მოსაპოვებლად იბრძოდა. „პაშინგი“ გახდა პირველი ევროპული კლუბი პოლონური გდანსკის „ლეხიას“ შემდეგ, ვინც ქვეყნის თასი მესამე დივიზიონის ბინადრის რანგში მოიგო. „ლეხიამ“ პოლონეთის თასზე 1983 წელს იმარჯვა. შეხვედრის შემდეგ, გამარჯვების მომტანი გოლის ავტორმა **დანიელ სობკოვამ** განაცხადა: *„ეს ყველაფერი დაუჯერებელია. გაოგნებული ვარ. დღევანდელი დღე საუკეთესოა ჩემს კარიერაში“.*

**57** - მილიონი ევრო დაუჯდა „ბარსელონას“ **ნეიმარის** შეძენა. ამ გარიგების წყალობით, 21 წლის ფეხბურთელი ისტორიაში მეორე ყველაზე ძვირადღირებული ბრაზილიელი გახდა. პირველ ადგილზეა **კაკა**, რომელიც 2009 წელს „რეალში“ 65 მილიონ ევროდ გადავიდა. სულ კი ნეიმარი ყველაზე ძვირფას ფეხბურთელებს შორის მერვე ადგილზე აღმოჩნდა **კრიშტიანო რონალდოს, ზინედინ ზიდანის, ზლატან იბრაჰიმოვიჩის, ლუიშ ფიგუს, ჰალკის, ფერნანდო ტორესის** და კაკას შემდეგ.

**პელეს** ეპოქის შემდეგ, ნეიმარი „სანტოსის“ საუკეთესო ბომბარდირია - მან, 229 შეხვედრაში 138 გოლი გაიტანა.

ეს კვირა „ბარსელონასთვის“ ორმაგად წარმატებული გამოდგა. კატალონიურმა გუნდმა ბოლო ტურშიც იმარჯვა, 100 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილზე გასულ „რეალს“ 15 ქულით გაასწრო. ლა ლიგის ისტორიაში, ჩემპიონს და ვიცე-ჩემპიონს შორის ამხელა უპირატესობა არასდროს დაფიქსირებულა.

**9** - წამი იყო გასული მატჩის დაწყებიდან, როდესაც **ლუკას პოდოლსკიმ** ბურთი გაიტანა და გერმანიის ნაკრების რეკორდსმენი გახდა. ეს გოლი გერმანიის ნაკრების ისტორიაში 1955-ე იყო, მაგრამ სანაკრებო დონეზე რეკორდსმენად მაინც სან მარინოს ნაკრების ფეხბურთელი **დავიდე გოტიე** რჩება, რომელმაც 1993 წლის ნოემბერში, ინგლისის ნაკრების კარში გოლი 8,3 წამის შემდეგ გაიტანა.

გერმანიამ ეკვადორს 4:2 მოუგო, პოდოლსკიმ კი დუბლი შეასრულა. ახლა, „არსენალის“ ფორვარდის ანგარიშზე 46 სანაკრებო გოლია და ის ბუნდესნაკრების ყველა დროის ბომბარდირთა სიაში მეოთხე ადგილს იკავებს და მხოლოდ ერთი ბურთით ჩამორჩება მესამეზე მყოფ **რუდი ფიოლერს** და **იურგენ კლინსმანს** (47-47 გოლი).

ოთხი დღის შემდეგ, აშშ-ის ნაკრების წინააღმდეგ, **ლარს ბენდერმა** და **სვენ ბენდერმა** ერთად ითამაშეს და ბოლო 39 წლის განმავლობაში გახდნენ პირველი ტყუპები, ვინც გერმანიის ნაკრების ღირსება ერთად დაიცვეს. 39 წლის წინათ ეს **ერვინ კრემერსმა** და **ჰელმუტ კრემერსმა** გააკეთეს. ეს შეხვედრა გერმანიამ 3:4 წააგო. აშშ-ის ნაკრების მხრიდან დუბლი **კლინტ დემპსიმ** შეასრულა, 35 სანაკრებო გოლი დააგროვა და **ერიკ ვინალდას** გადაასწრო. ამჟამად ლონდონის „ტოტენჰემის“ ნახევარმცველი ნაკრების ყველა დროის ბომბარდირთა სიაში მეორე ადგილს იკავებს და მხოლოდ **ლენდონ დონოვანს** ჩამორჩება, რომლის ანგარიშზეც 49 ბურთია.

**6** - გოლი 53 წუთში - ეკვადორის ჩემპიონატის მეორე დივიზიონში მოთამაშე არგენტინელმა ფორვარდმა **დანიელ ნეკულმანმა** „მუნისიპალი“ ორმაგი ჰეთთრიქით დაამწუხრა, მისმა „დეპორტივო ოლმედომ“ კი 7:1 მოიგო. თავდამსხმელის ანგარიშზე უკვე 16 გოლია და ის უახლოეს მდევარს 9 ბურთით უსწრებს.

*„ეს დღე მუდამ მემახსოვრება. ერთ შეხვედრაში ექვსი ბურთი არასდროს გამეტანა. აქამდე, ჩემი ყველაზე დიდი მიღწევა პოკერი იყო,“* - განაცხადა მატჩის შემდეგ ბედნიერმა ნეკულმანმა.

საინტერესოა, რომ 28 წლის ფეხბურთელი არ იყო ერთადერთი, ვინც წინა კვირაში ერთ შეხვედრაში 6 გოლი გაიტანა. კამბოჯის ჩემპიონატში მოთამაშე **ჩოუნ ჩუმმა**, რომელიც „ნაგა კორპის“ ღირსებას იცავს, ასევე 6 ბურთი შეაგდო, მისმა გუნდმა კი ბოლო ადგილზე მყოფ „სენატ გენერალ სეკრეტარიატს“ 12:0 მოუგო.

**4** - საჩემპიონო ტიტული ზედიზედ - „ბაზელი“ გახდა მეორე კლუბი შვეიცარიის ისტორიაში, ვინც ასეთი რამ გააკეთა. მანამდე, ზედიზედ 4-ჯერ შვეიცარიის ჩემპიონი მხოლოდ ბერნის „იანგ ბოიზი“ გახდა (1957, 1958, 1959, 1960).

„ბაზელმა“ ისტორიში მე-16 ტიტული მოიგო და ის ქვეყნის ყველაზე წარმატებულ კლუბთა შორის მესამე ადგილზეა, გავარდნილი „სერვეტის“ (17-გზის ჩემპიონი) და „გრასჰოპერის“ (26-გზის ჩემპიონი) შემდეგ.

**ტატო ბაციკაძე**

კონფედერაციათა თასი

# ოსკარ ტაბარესმა შემადგენლობა დაასახელა

მოგეხსენებათ, რამდენიმე დღეში ბრაზილიაში სტარტს კონფედერაციის თასი აიღებს. ტურნირის მონაწილე რვა ქვეყნიდან ერთ-ერთის მწვრთნელმა **ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესმა** 23-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. ურუგვაის ნაკრები ბრაზილიაში პრაქტიკულად უძლიერესი გუნდით მიემგზავრება.

პირველ შეხვედრას ურუგვაელები 16 ივნისს ესპანეთთან გამართავენ, ოთხ დღეში მათი მეტოქე ნიგერიის ნაკრები იქნება, ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში კი „სელესტა“ ტაიტის შეხვდება. ამის გარდა, ურუგვაის ნაკრებს კიდევ ერთი მატჩი აქვს - 11 ივნისს, მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო შეხვედრაში, ტაბარესის გუნდი ვენესუელას შეხვდება.

**ურუგვაის ნაკრების განაცხადი:**

**მეკარეები:** ფერნანდო მუსლერა (გალათასარაი), მარტინ სილვა (ოლიმპია, პარაგვაი), ხუან კასტილიო (დანუბიო)

**მცველები:** ანდრეს სკოტი (ნასიონალი), მაქსი პერეირა (ბენფიკა), დიეგო ლუგანო (მალაგა), დიეგო გოდინი (ატლეტიკო), სებასტიან კოატესი (ლივერპული), მარტინ კასერესი (იუვენტუსი), მარტინ აგირეგარაი (პენიაროლი)

**ნახევარმცველები:** ალვარო გონსალესი (ლაციო), ალვარო პერეირა (ინტერი), ეგიდიო არევალო რიოსი (პალერმო), დიეგო პერესი (ბოლონია), ვალტერ გარგანო (ინტერი), კრისტიან როდრიგესი (ატლეტიკო), გასტონ რამირესი (საუთჰემპტონი), ნიკოლას ლოდეირო (ბოტაფოგო), სებასტიან ეგურენი (ლიბერტადი)

**თავდამსხმელები:** ლუის სუარესი (ლივერპული), ედინსონი კავანი (ნაპოლი), დიეგო ფორლანი (ინტერნასიონალი), აბელ ერნანდესი (პალერმო)

**ტატო ბაციკაძე**



ურუგვაის ნაკრები კონფედრაციათა თასისთვის ემზადება

ამბები



ფერნანდო ტორესი (მარცხნივ) და ვისენტე დელ ბოსკე

## ესპანეთის ნაკრებს კარგი ცენტრფორვარდი არ ჰყავს

ესპანეთის ეროვნული ნაკრები მაიამიშია და კონფედერაციათა თასისთვის ემზადება. **ვისენტე დელ ბოსკე** აცხადებს, რომ გუნდის ყველაზე დიდი პრობლემა ცენტრფორვარდი პოზიციაა. მარკიზ დელ ბოსკეს მტკიცებით, ნაკრებში უბრალოდ არ არის ისეთი ცენტრფორვარდი, რომელიც ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს.

*„ჩვენ ვერ ვიპოვეთ ასეთი თავდამსხმელი, რომელიც ყველას აკმაყოფილებდა. შეიძლება, ეს ჩვენი ბრალიცაა. ჩვენ გამოვცადეთ ნეგრედო, სოლდადო, ტორესი და ვილია. აი, ესპანეთში რომ იყოს უმაღლესი კლასის ცენტრფორვარდი, სულ სხვანაირად იქნებოდა საქმე“,* - ამბობს დელ ბოსკე.

## ჟოზე ტორესის და მატას ტრანსფერზე დაყენებას ითხოვს

ესპანური პრესის ინფორმაციით, ლონდონის „ჩელსიში“ **ჟოზე მოურინიოს** გადასვლით პირველ რიგში კლუბის ესპანურ ფეხბურთელებს შეექმნებათ პრობლემა.

„ჩელსიში“ მისვლის შემდეგ ჟოზე მოურინიომ **ხუან მატას** და **ფერნანდო ტორესის** ტრანსფერზე დაყენება მოითხოვა. „განსაკუთრებულს“ ისინი არ სჭირდება.

მოურინიომ უკვე დაიწყო „ჩელსის“ მომავალ შემადგენლობაზე ზრუნვა. ამბობენ, რომ პორტუგალიელი **სტევან იოვეტიჩით** არის დაინტერესებული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## კევინ ანენი კომაში

„ნიცას“ ნახევარმცველი **კევინ ანენი**, რომელმაც ავარიის შედეგად მძიმე დაზიანებები მიიღო, ექიმებმა ხელოვნურ კომაში გადაიყვანეს. ავტოსაგზაო შემთხვევა სამშაბათს დილით მოხდა - ავტომობილი, რომელშიც ანენი იმყოფებოდა, რუენის მიმავალ გზატკეცილზე მოძრაობდა და გზიდან მაშინ გადავიდა, როდესაც მისი სიჩქარე 60 კმ/სთ იყო. არსებობს მოსაზრება, რომ ავტომობილის მძღოლს ჩაეძინა, თუმცა ეს ინფორმაცია არ დადასტურებულა. ანენმა, რომელიც რუენის საავადმყოფოში მოათავსეს, ინციდენტის შედეგად ხელის და ზურგის დაზიანებები მიიღო. ასევე დაშავდა ავტომობილში მყოფი სხვა სამი ადამიანიც.

*„იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ამჟამად გაგვაჩნია, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქმე სერიოზულადაა. ყველანი ვნუხვართ და ვნერვიულობთ. კევინის ოჯახთან მუდმივი კონტაქტი მაქვს. ახლა, ჩვენ ყველანი ვერდიქტს ველით. დღის ბოლოს უკვე ბევრი რამ გვეცოდინება,“* - განაცხადა „ნიცას“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ჟულიენ ფურნიემ.**

26 წლის ანენი „ნიცაში“ შარშანდელი სეზონის შუაში გადავიდა, თუმცა ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება ვერ შეძლო. წინა სეზონში კევინმა 13 მატჩი ჩაატარა (0 გოლი), ამ სეზონშიც 13 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ერთი ბურთის გატანა შეძლო, თანაც ეს გოლი ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა - 31-ე ტურში, „ტულუზთან“ შეხვედრის ბოლო წამებზე, როდესაც ანგარიში 3:3 იყო, ანენმა გამარჯვების მომტანი ბურთი გაიტანა.

## მონტანიეს ალესანდრინის შენარჩუნება სურს

„რეალ სოსიედადიდან“ წამოსულმა **ფილიპ მონტანიემ**, რომელიც მუშაობას „რენში“ გააგრძელებს, გუნდის ერთ-ერთი ლიდერის, **რომენ ალესანდრინის** გაყიდვის ალბათობაზე ისაუბრა და ახალგაზრდა ფეხბურთელის შენარჩუნების სურვილი გამოთქვა.

*„ჩვენ ვაჭრები არ ვართ, ჩვენ ვართ კლუბი, რომელსაც პროგრესირება სურს და განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება წამყვანი ფეხბურთელების შენარჩუნებაა,“* - განაცხადა მონტანიემ სამშაბათს გამართულ პრეზენტაციაზე.

24 წლის ალესანდრინიმ „რენში“ თავისი პირველი სეზონი ჩაატარა და იმდენად კარგად ითამაშა, რომ **დიდიე დეშამმა** ის ნაკრებშიც კი გამოიძახა. 22 შეხვედრაში რომენმა 10 გოლი გაიტანა, მაგრამ თებერვლის დასაწყისში მიღებულმა უმძიმესმა ტრავმამ (ჯვარედინი მყესების გაწყვეტა) მისთვის სეზონი ნაადრევად დაასრულა. ალესანდრინის დაზიანებამდე „რენი“ ევროთასების საგზურისთვის იბრძოდა, ტრავმის შემდეგ კი გუნდმა 9-მატჩიანი მოუგებელი სერია გამოაცხო. მის გარეშე ჩატარებულ 14 შეხვედრაში გუნდმა მხოლოდ 1 მოიგო, 3 ფრედ ითამაშა და 10 წააგო. შედეგად „რენი“ მე-13 ადგილზე გავიდა და გარდა ამისა, ლიგის თასის ფინალში „სენტ ეტიენთან“ დამარცხდა.

## ველინგტონ ნემი შახტარში

ბრაზილიური პრესის ცნობით, „ფლუმინენსეს“ შემტევი ნახევარმცველი **ველინგტონ ნემი** კარიერას დონეცკის „შახტარში“ გააგრძელებს, ხოლო ბრაზილიის ჩემპიონი 9 მილიონ ევროს მიიღებს. ფეხბურთელმა უკრაინულ კლუბთან პირადი კონტრაქტიც შეათანხმა და ამ დღეებში 5-წლიან ხელშეკრულებასაც გააფორმებს.

ბრაზილიელი ჟურნალისტების აზრით, თავად ფეხბურთელს წასვლა არ სურდა, მაგრამ „ფლუს“ ხელმძღვანელებმა, იმის შიშით, რომ ცუდი თამაშის შემთხვევაში მისი საბაზრო ფასი დაიწევდა, დაარწმუნეს 21 წლის ფეხბურთელი, რომ სათამაშოდ ევროპაში წასულიყო.

„ფლუს“ დამრიგებელ **აბელ ბრაგას** იმედი აქვს, რომ ველინგტონ ნემს **რაინერი** და **მარკოს ჟუნიორი** შეცვლიან, გარდა ამისა, მან ახალგაზრდული გუნდიდან 17 წლის **კენედი** დააწინაურა.

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ვალენსია

# მიროსლავ ჯუკიჩი: ვნახოთ, რა მოხდება, თუ ესპანეთის ჩემპიონები ვერ გავხდებით

## კიდევ ერთი შინ დაბრუნებული

**გუშინ,** „პალკო VIP მესტალიას“ დარბაზში „ვალენსიას“ ახალი მწვრთნელის მიროსლავ ჯუკიჩის პრეზენტაცია გაიმართა. იქ, სადაც ერთი წლის წინათ არგენტინელი მაურისიო პელეგრინო ირწმუნებოდა, რომ შინ დაბრუნდა, იგივეს სერბი სპეციალისტი იმეორებს...




მიროსლავ ჯუკიჩი „სახლში“ დაბრუნდა

### ენთუზიაზმი და ოპტიმიზმი

„ვალენსიამ“ სეზონი მე-5 ადგილზე დაასრულა და ჩემპიონთა ლიგის საგზური ვერ მოიგო. **პელეგრინოს** გაფუჭებული საქმის გამოსწორებამ **ერნესტო ვალვერდეს** მოუწია, თუმცა ევროპალიგის საგზური „ლოს ჩეს“ მაქსიმუმი გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ კლუბს სურდა, ვალვერდემ კონტრაქტის გაგრძელება აღარ ინება. ასე გამოჩნდა, ყოფილი ვალენსიელის, **მიროსლავ ჯუკიჩის** კანდიდატურა, რომლის „ვალიადოლიდმაც“ მე-14 ადგილი დაიკავა. უნდა ითქვას, რომ დებიუტანტს სერიოზულად გავარდნის საფრთხე არც დამუქრებია, რაც უთუოდ სერბი სპეციალისტის დამსახურებაა.

მაშ ასე, 5 ივნისს საზეიმოდ მოეწერა ხელი ხელშეკრულებას, რომელიც ჯუკიჩთან 2015 წლის ზაფხულამდე თანამშრომლობას გულისხმობს. ჯუკიჩი დიდი ენთუზიაზმით უდგება საქმეს და... იუმორით - *„მოდი, ვნახოთ, რა მოხდება, თუკი ჩემი გაწვრთნილი „ვალენსია“ პირველივე სეზონში ვერ გახდება ესპანეთის ჩემპიონი“*, - აცხადებს სერბი სპეციალისტი. „ბარსელონას“ და „რეალის“ გამო ასეთი რამ წარმოუდგენლად ჩანს, ასე რომ, ირგვლივ მყოფთა ხარხარი გამოიწვია ჯუკიჩის ამ სიტყვებმა. თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ „ლამურებმა“ დაარღვიეს ბოლოს ამ ორი გრანდის ჰეგემონია.

*„ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ სახლში დავბრუნდი. აქ ყველაფერი ნაცნობი და ძვირფასია ჩემთვის. აქ მე დამხვდა დიდებული გუნდი, რომელსაც დიდი მიზნების მიღწევა შეუძლია. „ვალენსიას“ მწვრთნელობა ჩემთვის ახდენილი ოცნებაა“*, - განაცხადა 47 წლის სერბმა, რომელმაც ფეხბურთელობის ჟამს თითქმის 7 წელი გაატარა „ვალენსიაში“.

### ჯუკიჩი ფეხბურთელი

მოდი, ჩვენც უფრო ახლოს გავიცნოთ „ლამურების“ ახალი თავკაცი. მიროსლავ ჯუკიჩი სერბულ შაბაცში დაიბადა. კარიერის საწყისი ეტაპი მცველმა ადგილობრივ „მაჩვაში“ და „რადში“ გაატარა. ის სასურველი ფეხბურთელი იყო, როგორც „ცრვენა ზვეზდასთვის“, ისე „პარტიზანისთვის“, მაგრამ 1990 წლის ზაფხულში მათ ლა კორუნიის „დეპორტივომ“ აჯობა, რომელმაც იმხანად 40 მილიონი პესეტა გაიმეტა ჯუკიჩის სანაცვლოდ. „სუპერ დეპორის“ აყვავების ხანის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი სწორედ სერბი იყო.

1994 წლის მაისში მას პერსონალური ტრაგედია დაემართა, სწორედ ჯუკიჩის გამო ვერ გახდა იმ წელს „დეპორტივო“ ჩემპიონი: ბედის ირონიით, სწორედ „ვალენსიას“ წინააღმდეგ ჯუკიჩმა ვერ გაიტანა პენალტი, თამაში 0:0 დასრულდა და „ბარსა“ ჩემპიონი გახდა. იმ მომენტში „დეპორის“ შტატიანი პენალტისტი **დონატო** შეცვლილი იყო, ხოლო **ბებეტოს** ფეხები აუკანკალდა და დარტყმაზე უარი განაცხადა, სიმამაცე ჯუკიჩს ეყო, მაგრამ...

როცა მიროსლავი 31 წლის გახდა, მას კონტრაქტი აღარ გაუგრძელეს, ასე აღმოჩნდა სერბი „ლოს ჩეს“ შემადგენლობაში. „დეპორში“ შეცდნენ, „ჩამოწერილმა“ სერბმა ზედიზედ 3 სეზონში ლა ლიგის ყველა მატჩი სასტარტოში გაატარა და გუნდთან ერთად ჩემპიონთა ლიგის ზედიზედ ორი ფინალი (ორივე წაგებული) ითამაშა.

2002 წელს 31-წლიანი პაუზის შემდეგ „ვალენსია“ ესპანეთის ჩემპიონი გახდა - 35 წლის ჯუკიჩმა 16 მატჩი ჩაატარა მაშინ.

2003 წელს მიროსლავი კარიერის დასასრულებლად „ტენერიფეში“ წავიდა და ბუცები ლურსმანზე 38 წლის ასაკში ჩამოკიდა.

იუგოსლავიის ნაკრებში მან 48 მატჩი ითამაშა (2 გოლი), 1998 წლის მუნდიალზე ის განაცხადში იყო, მაგრამ ტრავმის გამო ვერ ითამაშა.

### ჯუკიჩი მწვრთნელი

მისი სამწვრთნელო კარიერა 2006 წელს სერბეთის ახალგაზრდული გუნდით დაიწყო (მე-2 ადგილი ევროპის ჩემპიონატზე), მერე იყო „პარტიზანი“ (წლის მწვრთნელად დაასახელეს სერბეთში). ჯუკიჩი სერბეთის ნაკრებში მიიწვიეს, ის 8 თვის განმავლობაში იყო ნაკრების მწვრთნელი, თუმცა მისი ხელმძღვანელობით გუნდს ერთი ოფიციალური მატჩიც არ უთამაშია - სერბული ფეხბურთის მამებთან უთანხოების გამო, მას წასვლამ მოუწია.

მიროსლავ ჯუკიჩის საზღვარგარეთული სამწვრთნელო კარიერა ცუდად დაიწყო - 2009 წელს მან „მუსკრონში“ **ენცო შიფო** შეცვალა, მაგრამ კლუბი საშინელ ფინანსურ კრიზისში აღმოჩნდა. და აი, 2011 წელს, მარტში მას ესპანეთში დაუძახეს და „ერკულესი“ ჩააბარეს. ვალენსიურმა კლუბმა მისი ხელმძღვანელობით ლა ლიგაში ადგილის შენარჩუნება ვერ შეძლო. ზაფხულში ჯუკიჩმა სეგუნდა დივიზიონში მყოფ „ვალიადოლიდთან“ 3-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა, უკვე მეორე სეზონში ლა ლიგაში აიყვანა და აქაც შეუნარჩუნა ადგილი.

### არის თუ არა ჯუკიჩი ხსნა

არის თუ არა ესპანეთის 6-გზის ჩემპიონისა და თასის 7-გზის მფლობელისთვის მიროსლავ ჯუკიჩი სწორი არჩევანი? ვნახოთ, დრო გვიჩვენებს. ყოველ შემთხვევაში, ერთი წლის წინათ პელეგრინოს შემთხვევაშიც ოპტიმისტური განწყობა იყო. სხვათა შორის, „ვალენსიაში“ პელეგრინო და ჯუკიჩი დაცვის ცენტრში მეწყვილეები იყვნენ.

### კაპიტნის გამოსათხოვარი

ამასობაში კაპიტანი **დავიდ ალბელდა** „ვალენსიას“ ემშვიდობება. 35 წლის ნახევარმცველს ხელშეკრულება გაუთავდა, ახალს კი მას არ სთავაზობენ. თუ ალბელდა ფეხბურთს თავს არ დაანებებს, ის უცხოეთში წავა.

*„ყველაზე კარგად მახსენდება ესპანეთის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება ეს იყო დიდებული დრო. ცუდად კი ხუან სოლერის პრეზიდენტობა მახსოვს, რომელმაც კლუბს საშინელი ფინანსური სიტუაცია და უამრავი ვალი დაუტოვა“*, - აცხადებს ალბელდა. საყრდენი ნახევარმცველი, თუ არ ჩავთვლით იჯარით ხანმოკლე თამაშს „ვილიარეალში“, მხოლოდ „ვალენსიას“ ერთგული იყო და ბოლო დეკადის განმავლობაში მისი კაპიტანიც გახლდათ. თუმცა ბევრი ამტკიცებს, რომ ბოლო წლებში ალბელდას გუნდში არა მისი საფეხბურთო თვისებების გამო ათამაშებდნენ, არამედ იმის გამო, რომ ის ბევრს ნიშნავდა „ვალენსიასთვის“ მინდორს გარეთ. ალბელდამ ესპანეთის ნაკრებში 51 მატჩი ითამაშა.



კაპიტანი დავიდ ალბელდა მიდის

● ვარსკვლავი



რონალდოსთვის სეზონი მორჩა და ახლა ფულს სარეკლამო კამპანიებით შოულობს

# ჟოზე: რონალდოს ერთი ნაკლი აქვს: ვერ იტანს კრიტიკას

**ლონდონში** ჩასულმა ჟოზე მოურინიომ „რეალის“ ფეხბურთელთაგან პირველი თანამემამულე კრიშტიანო რონალდო გააკრიტიკა: „ჩელსის“ ახალმა თავკაცმა თქვა, რომ რონალდოს ერთი ნაკლი აქვს - ვერ იტანს კრიტიკას.

*„კრიშტიანომ ჩემი ხელმძღვანელობით სამი ბრწყინვალე სეზონი გაატარა მადრიდის „რეალში“. მე მხოლოდ ერთი პრობლემა მქონდა მასთან: ის არ იღებდა კრიტიკას, რომელიც გუნდის სათამაშო ტაქტიკას ეხებოდა. მე მინდოდა მისი სრულყოფა ტაქტიკური თვალსაზრისით, რადგან ახლაც მგონია, რომ ამ კუთხით მომატება შეუძლია. შესაძლოა, კრიშტიანო ფიქრობს, რომ ყველაფერი იცის. ასეთ შემთხვევაში კი მწვრთნელის შეგონება უძლურია, მის პროგრესს ვერ შეძლებ“*.

### უცნობი კლუბი და 70 მილიონი ბონუსად

პორტუგალიური „ა ბოლა“ ამტკიცებს, რომ **ფლორენტინო პერესის** მონადინების მიუხედავად, კრიშტიანო რონალდო არ აპირებს მადრიდის „რეალთან“ ხელშეკრულების გაგრძელებას.

28 წლის პორტუგალიელს „სამეფო კლუბთან“ კონტრაქტი 2015 წლის ზაფხულამდე აქვს. პორტუგალიაში უფრო შორს მიდიან და ვერსიაც მოჰყავთ, რატომ არ სურს კრიშტიანოს გახდეს მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი.

მათი მტკიცებით, უცნობი ძალზე მდიდარი ევროპული კლუბი შეჰპირდა 70 მილიონ დოლარ ბონუსს რონალდოს იმ შემთხვევაში, თუ ის „რეალთან“ ხელშეკრულებას არ გააგრძელებს. ასეთ შემთხვევაში 2015 წელს ინკოგნიტო კლუბი უფასოდ ჩაიგდებს პორტუგალიელს ხელში.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

● ევროპის ჩემპიონატი. U 21

# ინსინიეს ჯადოსნური დარტყმით

| ისრაელი-ნორვეგია | 2:2 |
| --- | --- |

**გოლები:** 1:0 ბიტონი (16), 1:1 პედერსენი (24), 2:1 ტურგემანი (71), 2:2 სინგჰი (90)

**ისრაელი (4-4-2):** კლეიმანი - დასა, გოტლიბი, ბენ ჰარუში, ტავათა - კალებატი,კაბჰა (38. კრიაფი), ბიტონი (74. ცაგური), გოლასა - ბარუჩი (57. ტურგემანი), დაბური.

**ნორვეგია (4-3-3):** ნილანდი - ელაბდელაუი, ბერგე, სტრანდბერგი, ჰედენსტადი - ეიკრემი, იოჰანსენი, კონრადსენი (76. სინგჰი) - დე ლანლაი (46. ლინესი), პედერსენი, ბერგეტი (76. კალევიკი)

**გაძევება:** ჰედენსტადი (44)

| ინგლისი-იტალია | 0:1 |
| --- | --- |

**გოლი:** 0:1 ინსინიე (79)

**ინგლისი (4-2-3-1):** ბატლენდი - კლაინი, დოუსონი, კოულკერი, რობინსონი - ჰენდერსონი, ლოუ - რედმონდი, შელვი (75. მაკიხრენი), სორდელი (65. ჩალობა) - უიკჰემი (82. დელფუნესო).

**იტალია (4-4-2):** ბარდი - დონატი, ბიანკეტი, კალდიროლა, ბირაგი - ფლორენცი, მარონე (86. როსი), ვერატი, ინსინიე - ბორინი (78. დესტრო), იმობილე (60. გაბიადინი).

| B ჯგუფი | |
| --- | --- |
| 6 ივნისი | |
| ესპანეთი-რუსეთი | 20:00 |
| ჰოლანდია-გერმანია | 22:30 |

**გუშინ** ისრაელში სტარტი აიღო ევროპის ახალგაზრდულმა ჩემპიონატმა. გაიმართა ა ჯგუფის პირველი ტურის მატჩები. პირველ შეხვედრაში მასპინძელთა ნაკრები 2:2 დაუზავდა ნორვეგიას, რომელმაც ერთი ტაიმი 10 კაცით ითამაშა.

ჩემპიონატის პირველი გოლი ისრაელის კაპიტანმა **ნირ ბიტონმა** მე-16 წუთზე გაიტანა. მალე **მარკუს პედერსენმა** გაათანაბრა, მაგრამ ტაიმის მიწურულს **ვეგარ ჰედენსტადმა** წითელი ბარათი მიიღო.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულებმა იმარჯვეს, ჯერ **ალონ ტურგემანმა** დააწინაურა მასპინძლები, 90-ე წუთზე კი **ჰარმეეტ სინგჰმა** 10 კაცით მოთამაშე ნორვეგიას ქულა მოუტანა.

ზედიზედ 889 წუთი არ ჰქონდათ ბურთი გაშვებული **სტიუარტ პირსის** გაწვრთნილ ახალგაზრდა ინგლისელებს და ეს **ლორენცო ინსინიემ** მატჩის მიწურულს შეძლო, რის გამოც იტალია ჯგუფში ფავორიტად იქცა. ახლა მხოლოდ 3 ქულა აშორებს იტალიელებს ნახევარფინალამდე. ინსინიემ დიდებულად შეასრულა საჯარიმო დარტყმა და ინგლისელთა 9-მატჩიანი მოგებათა სერიაც შეწყვიტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვრთნელი

# იუპს იოგის პოსტი უნდა?

## როგორც ჩანს, ჰაინკესი გერმანიის ნაკრებზე ფიქრობს



რეალური პერსპექტივა: იოახიმ ლიოვს გაისად იუპ ჰაინკესი შეცვლის?

**იუპ ჰაინკესი** „რეალში" არ მიდის და არც პენსიაზე გადის - ამის შესახებ „ლელო" გუშინდელ ნომერში წერდა. „ახლა დასვენება მჭირდება, შვებულებაში გავდივარ და ფაქტია, რომ მომავალ სეზონში არც ერთი გუნდის მწვრთნელი არ ვიქნები. მივდივარ თუ არა ფეხბურთიდან სამუდამოდ? სიტყვა „სამუდამოდ" არ მიყვარს. გამორიცხული არაფერია," - განაცხადა გუშინწინდელ პრესკონფერენციაზე „დონ იუპმა", რაც იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთიდან კი წავიდა, მაგრამ არა სამუდამოდ და ასე ვთქვათ, „უკანა კარი" ღია დატოვა. ვისთვის? რისთვის? რომელი გუნდისთვის? საკითხავი, აი, ეს არის.

„ბილდის" ჟურნალისტმა „დონ იუპს" მოგვიანებით ჰკითხა, გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს ხომ არ უმიზნებთო, რაზეც ამ სეზონის ტრიუმფატორმა სპეციალისტმა ასეთი პასუხი გასცა: „ყველაფერი ვთქვი, რისი თქმაც მინდოდა." ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა კი ჩათვალეს, რომ ასეთი პასუხი „ჰო" უფროა, ვიდრე „არა"...

ფაქტია, რომ ბუნდესგუნდის ამჟამინდელ დამრიგებელ **იოახიმ ლიოვს** გერმანიის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტი მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის ჩათვლით აქვს გაფორმებული და მისი მომავალი გაურკვეველია. ცხადად იკვეთება ტენდენცია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატამდე არ გაირკვევა, გაუფორმებენ თუ არა 53 წლის იოგის ახალ ხელშეკრულებას. გერმანიის საფეხბურთო კავშირში კი ამბობენ, ლიოვზე უკეთესი მწვრთნელი ნაკრებისთვის არ გვეგულება და მასთან კონტრაქტის გახანგრძლივება ახლავე გვინდაო, მაგრამ სიტყვას საქმე არ მოჰყოლია და ისე ჩანს, თითქოს თავად ლიოვს უჭირს გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ სინამდვილეში, შესაძლოა, სხვა რამესთან გვქონდეს საქმე...

მიუხედავად იმისა, რომ ლიოვის ფორმაციის გერმანია ძალიან ძლიერია და დიდ ტურნირებზე ყოველთვის მინიმუმ ნახევარფინალში გადის, მაგრამ გერმანელებს მაქსიმუმი სურთ, ტიტულებს კი იოგის გუნდი ვერ იგებს! ამასთან, უკვე 7 წელია, რაც ლიოვი ბუნდესმწვრთნელია, გაისად კი 8 წელი შესრულდება, ეს კი საკმაოდ დიდი დროა. ასე რომ, ლიოვის წასვლა და მის ნაცვლად წარმატებული, ტიტულოვანი ჰაინკესის დანიშვნა საკმაოდ რეალურია. თუკი გერმანიის ნაკრები ვერც 2014 წელს მოიგებს მსოფლიოს თასს, დიდი შანსია, რომ ლიოვისთვის ეს უკანასკნელი დიდი ტურნირი იყოს ბუნდესმწვრთნელის რანგში.

...და მერე იუპი მივა? გაისად ჰაინკესი 69 წლის იქნება, მაგრამ ასაკი ხელს არ შეუშლის. ჯერ ერთი, ჰაინკესი ძალიან კარგ ფორმაშია და შედარებისთვის, **ჯოვანი ტრაპატონი** 74 წლისაა და ირლანდიის ეროვნულ გუნდს უდგას სათავეში. აღსანიშნავია, რომ ჰაინკესი ადრეც ახლოს იყო გერმანიის ნაკრებთან, ახლა კი „ბილდს" გაუმხილა, ბუნდესმწვრთნელის თანამდებობაზე უარი სამჯერ ვთქვიო. პირველად ეს ნაღდად 1998 წელს მოხდა: მუნდიალის შემდეგ **ბერტი ფოგტსი** გადადგა, რის შემდეგაც გერმანიის საფეხბურთო კავშირის იმჟამინდელი პრეზიდენტი **ეგიდიუს ბრაუნი** ჰაინკესს სახლში ესტუმრა და ნაკრების გაწვრთნა შესთავაზა, მაგრამ იუპმა უარი უთხრა. მიზეზიც ცნობილია: მაშინ ჰაინკესის მეუღლე ირისი ძალიან ავად იყო.

თუკი იოახიმ ლიოვის ერა გერმანიის ნაკრებში გაისად უნდა დასრულდეს, ფაქტია, რომ ჰაინკესი ბუნდესგუნდისთვის ზედგამოჭრილი იქნება. მართალია, გერმანიის ნაკრების ქომაგები „დორტმუნდის" თავკაც **იურგენ კლოპზე** ოცნებობენ, მაგრამ ამ უკანასკნელმა არაერთხელ თქვა, რომ უახლოეს წლებში „ბორუსიას" არ მიატოვებს. თანაც, კლოპი ჯერ ახალგაზრდაა და გერმანიის ნაკრების ჩაბარებას ნაღდად მოასწრებს. მანამდე კი ლიოვი, შესაძლოა, „დონ იუპმა" შეცვალოს.

ამბები

### ფრინგსი ვერდერში დაბრუნდა

გერმანიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **ტორსტენ ფრინგსი**, რომელმაც კარიერა თებერვალში დაასრულა, ბრემენის „ვერდერში" დაბრუნდა. 36 წლის ფრინგსმა მწვრთნელობა გადაწყვიტა და მუშაობას აგვისტოდან დაიწყებს. ტორსტენი თავიდან „ვერდერის" 23-წლამდელთა გუნდის თავკაცის, **ვიქტორ სკრიპნიკის** ასისტენტი იქნება. აღსანიშნავია, რომ სკრიპნიკი და ფრინგსი 1999-დან 2002 წლამდე ბრემენულ კლუბში თანაგუნდელები იყვნენ.

### შაფი ბეშიქთაშში?

გერმანულ და თურქულ პრესაში გავრცელებული ცნობების თანახმად, „ვერდერის" ყოფილი მწვრთნელი **თომას შააფი**, შესაძლოა, თურქულ „ბეშიქთაშში" დაინიშნოს. ჩვენი კოლეგების ცნობით, თურქეთის 13-გზის ჩემპიონი 52 წლის გერმანელს კარგ პირობებს სთავაზობს. შეგახსენებთ, რომ შააფმა „ვერდერის" მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე 14 წელი იმუშავა და ბრემენული კლუბი გერმანიის ჩემპიონიც გახადა და თასიც მოაგებინა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ „ბეშიქთაშს" უკვე ორი გერმანელი მწვრთნელი ჰყავდა - **კრისტოფ დაუმი** და **ბერნდ შუსტერი**.

ინტერვიუ. ფრანკ რიბერი

**ფრანკ რიბერი არა მარტო ბუნდესლიგის 50-ე სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი იყო, არამედ მთლიანად საფეხბურთო 2012/2013 წლების ერთ-ერთი უმთავრესი გმირია და ექსპერტები თამამად ფიქრობენ, რომ 30 წლის ფრანგი გარემარბი ოქროს ბურთის მოპოვების ფავორიტი იქნება. გარდა იმისა, რომ რიბერიმ ეს სეზონი მართლაც გრანდიოზულად ჩაატარა, „ბაიერნთან" ერთად ყველა ტიტული (!) მოიგო - გახდა გერმანიის ჩემპიონი, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული და აილო გერმანიის თასიც. ეს ყველაფერი კი უკვე საკმარისზე მეტი მიზეზია იმისათვის, რომ გაინტერესებდეთ რიბერის ინტერვიუ, რომელიც „ბილდში" გამოქვეყნდა.**



# ბაიერნში კონტრაქტიც კი არ მჭირდება!

## ასეთი ბედნიერი აქამდე არასდროს ვყოფილვარ და კლუბის შეცვლაზე რატომ უნდა ვფიქრობდე?

**- ფრანკ რიბერი, „ბაიერნის" ფანები მოუთმენლად ელიან იმ დღეს, როცა რეკორდმაისტერთან ახალ კონტრაქტს გააფორმებთ. მოქმედ ხელშეკრულებას ვადა კიდევ ორი წლით აქვს და კლუბის ხელმძღვანელები 2017 წლამდე გახანგრძლივებას გთავაზობენ. როდის მოხდება ეს?**

- რა მნიშვნელობა აქვს ზუსტ თარიღს? ჩვენ ყველაფერზე შევთანხმდით, მე თანახმა ვარ და წესით უკვე ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჩემი „ჰო" მართლა „ჰოს" ნიშნავს. მეტიც: „ბაიერნში" ისეთი სიტუაციაა და ისე ვგრძნობ თავს, რომ პირადად მე ეს ქაღალდებიც არ მჭირდება. თუმცა მესმის, რომ იურიდიული საკითხი მნიშვნელოვანია ყოველი შემთხვევისთვის და კონტრაქტს ხელის მოწერა სჭირდება. ეს მალე მოხდება, საჩქარო ნამდვილად არაფერია.

**- ახალი ხელშეკრულების გაფორმება ტრიუმფალური სეზონის ლოგიკური და სრულყოფილი დასასრულია?**

- რა თქმა უნდა! ასეთი ბედნიერი აქამდე არასდროს ვყოფილვარ და კლუბის შეცვლაზე რატომ უნდა ვფიქრობდე? როცა კარიერას დავამთავრებ, მინდა, რომ ფეხბურთიდან გასაცილებელი მატჩი სწორედ „ბაიერნის" ფორმით ჩავატარო. დაახლოებით ისეთი გასაცილებელი შეხვედრის გამართვა მინდა, როგორიც მეჰმეთ შოლს ჰქონდა.



ვაჟა სიმონიშვილის კარიკატურა

**- ისევე, როგორც შოლმა, თქვენც მოიგეთ ბუნდესლიგა, ჩემპიონთა ლიგა და გერმანიის თასი - განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ თქვენ ეს ერთ სეზონში მოახერხეთ...**

- გერმანიის ჩემპიონობა და თასი ამ სეზონამდეც მქონდა მოგებული და თანაც ორ-ორჯერ. შესაბამისად, ახლა ყველაზე მეტად ჩემპიონთა ლიგის მოგება მინდოდა და ბედნიერი ვარ, რომ ეს ოცნებაც ავისრულე. ფინალამდე ერიკ აბიდალს ვესაუბრე - მან ჩემპიონთა ლიგა 2009 და 2011 წლებში მოიგო. აბიდალმა მითხრა, ეგ თასი შენია და აუცილებლად აიღებო! ფინალის შემდეგ კი ზინედინ ზიდანმა დამირეკა და მომილოცა. ჩემპიონთა ლიგის თასის აღმართვა განუმეორებელი განცდაა და ამიტომაცაა, რომ ყველა ფეხბურთელი ამაზე ოცნებობს.

**- მაინც რას გრძნობდით საფინალო სასტვენის შემდეგ?**

- ყველაფერს ერთად! სიცილიც მინდოდა და ტირილიც - გრძნობები და განცდები ერთმანეთში აირია. ჩემი ცხოვრებისა და კარიერის კადრები თვალწინ ფილმივით მიტრიალებდა. დავინახე საკუთარი თავი იმ დროს, როცა საფრანგეთის მესამე ლიგაში ვთამაშობდი, დავინახე ჩემი თავი პატარაობისას, როცა მამას ქუჩის მშენებლობაზე მუშაობაში ვეხმარებოდი... ჩემს ოჯახს ბევრი ფული არასდროს ჰქონია - პატარა აპარტამენტში ვცხოვრობდით, ერთ ოთახში სამ ადამიანს გვეძინა. მამაჩემი მოყვარული ფეხბურთელი იყო და ძლივს გვარჩენდა... ლონდონში, ჩემპიონთა ლიგის თასი რომ დავაკავებინე, ორივემ ვიტირეთ...

**- იმ ღამეს ჩემპიონთა ლიგის თასთან ერთად გეძინათ. თქვენს მეუღლეს მოეწონა?**

- თავიდან ამ იდეით მოხიბლული არ იყო, ხომ არ გაგიჟდიო, მაგრამ მერე გახალისდა და თასთან ერთად ფოტოები გადავიღეთ. ამ ფოტოებს, რა თქმა უნდა, ვერავის ვაჩვენებთ, ფოტოსესიის შემდეგ კი თასი საწოლის წინ დავდგით. ამ თასის დასაკუთრება შესანიშნავი, განუმეორებელი განცდაა. ჩემპიონთა ლიგის თასი იმის დასტურია, რომ მართლა დიდი ფეხბურთელი ვარ და დიდ გუნდში ვთამაშობ. იცით, რით ვამაყობ ყველაზე მეტად?

**- გვითხარით...**

- ამ სეზონში სამჯერ ვიყავი „ბაიერნის" კაპიტანი, რამაც მოტივაცია გამიორმაგა. იუპ ჰაინკესმა ბარსელონაში შვაინშტაიგერი და ლამი რომ შეცვალა, ფილიპი ეგრევე ჩემთან მოვიდა და კაპიტნის სამკლავური გამიკეთა. ვითომ ხომ პატარა ჟესტია, მაგრამ ამას ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და ეს ლამს ვუთხარი კიდეც.

**- შარშან, „რეალთან" ნახევარფინალური მატჩის დროს რობენს წაეჩხუბეთ, ახლა კი „უემბლიზე" არიენს ორი უმნიშვნელოვანესი პასი მიეცით - ერთმანეთს რომ ვერ იტანდეთ, „ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგას ალბათ ვერ მოიგებდა... როგორი ურთიერთობა გაქვთ რობენთან?**

- ფინალამდე ბევრი ვისაუბრეთ. არიენს ვუთხარი, მნიშვნელობა არა აქვს, გოლს ვინ გაიტანს, ეს რობენისა და რიბერის დაპირისპირება კი არა, „ბაიერნის" თამაშია-მეთქი. ზოგადად, ამ სეზონში „ბაიერნის" უმთავრესი კოზირი ამაღლებული გუნდური სულისკვეთება იყო. სხვათა შორის, არიენმაც შეიცვალა თამაშის სტილი - ახლა გუნდისთვის ძალიან ბევრს აკეთებს.

**- ფინალში დაცვას თქვენც აქტიურად ეხმარებოდით, შავი სამუშაოს შესრულება არ ითაკილეთ და მიუხედავად ამისა, შეტევაში მაინც შეუდარებელი იყავით. ფრანკ რიბერიმ ეს სეზონი ზღაპრულად ჩაატარა და საინტერესოა, წარმატებებს რაიმე საიდუმლო ხომ არა აქვს?**

- არავითარი საიდუმლო არ არსებობს. ისევე, როგორც ყველა ბაიერნელი, შარშანდელი წარუმატებლობის შემდეგ მეც უფრო მეტად მოტივირებული ვიყავი და ტიტულების მოსაგებად უფრო დიდი მონდომებით ვიშრომე. მეც ვფიქრობ, რომ ეს ჩემს კარიერაში საუკეთესო სეზონი იყო და ახლაც ისეთ კარგ ფორმაში ვარ, როგორშიც მანამდე არასდროს ვყოფილვარ. ცხადია, ეს ყველაფერი იუპ ჰაინკესის ვარჯიშების დამსახურებაცაა, მაგრამ მე ხშირად თავისუფალ დღეებშიც ვვარჯიშობდი - ბაზაზე მარტო დავრბოდი და მერე საუნაშიც მარტო შევდიოდი. სხვათა შორის, ნაშუადღევს ხშირად ვიძინებდი ხოლმე და ესეც დამეხმარა.

**- მათიას ზამერთან შეთანხმდით, რომ ჩემპიონთა ლიგის მოგების შემთხვევაში მასთან აზიდვების დუელს გამართავდით. როდის შედგება ეს დაპირისპირება?**

- (იცინის) თარიღი თვითონ უნდა თქვას, მე ყოველთვის მზად ვარ და არც „ბაიერნიდან" მივდივარ.

> „მამაჩემი მოყვარული ფეხბურთელი იყო და ძლივს გვარჩენდა... ლონდონში, ჩემპიონთა ლიგის თასი რომ დავაკავებინე, ორივემ ვიტირეთ"

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

იტალიის ნაკრები


იტალიის ნაკრები კოვერჩიანოს საწვრთნელ ბაზაზე ემზადება

# პრანდელი ძველ გვარდიას ენდო

**ერთ-ერთ წინა ნომერში, იტალიის ეროვნული ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა გაგაცანით, საიდანაც ჩეზარე პრანდელის კონფედერაციათა თასისთვის 23 ფეხბურთელი უნდა შეერჩია. „სკუადრა აძურას" თავკაცმა გააკეთა არჩევანი და სანამ განაცხადს გაგაცნობდეთ, დავძინოთ, რომ ბრაზილიაში გამგზავრებამდე იტალიის ნაკრები ამავე შემადგენლობით ჩეხეთის ეროვნულ გუნდს გაეჯიბრება. პრაღაში „აძურა" მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ეგიდით ითამაშებს...**

**მეკარეები:** ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), ფედერიკო მარკეტი (ლაციო), სალვატორე სირიგუ (პსჟ, საფრანგეთი).

**მცველები:** ინაციო აბატე (მილანი), დავიდე ასტორი (კალიარი), ანდრეა ბარცალი (იუვენტუსი), ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი), კრისტიან მაჯო (ნაპოლი), ლეონარდო ბონუჩი (იუვენტუსი), მატია დე შილიო (მილანი).

**ნახევარმცველები:** ალბერტო აკვილანი (ფიორენტინა), ანტონიო კანდრევა (ლაციო), ალესიო ჩერჩი (ტორინო), დანიელე დე როსი (რომა), ალესანდრო დიამანტი (ბოლონია), ემანუელე ჯაკერინი (იუვენტუსი), ანდრეა პირლო (იუვენტუსი), კლაუდიო მარკიზიო (იუვენტუსი), რიკარდო მონტოლივო (მილანი).

**თავდამსხმელები:** სტეფან ელ შაარავი (მილანი), მარიო ბალოტელი (მილანი), ალბერტო ჯილარდინო (ბოლონია), სებასტიან ჯოვინკო (იუვენტუსი).

## მეკარეები

გაფართოებულ შემადგენლობაში ოთხი მეკარე იყო, რომელთაგან ზედმეტი **ანდრეა აგაცი** გამოდგა. „კალიარის" კარის დარაჯმა სეზონი მაღალ დონეზე ჩაატარა, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი ეროვნულ გუნდში თუნდაც სამეულში მოხვედრილიყო. **ჯანლუიჯი ბუფონი** ულაპარაკოდ პირველია, მეორის სტატუსზე კი **ფედერიკო მარკეტის** და **სალვატორე სირიგუს** თანაბარი შანსები აქვთ. სან მარინოსთან შეხვედრის 71-ე წუთზე ბუფონი სირიგუმ შეცვალა და ამ ლოგიკით, შეგვიძლია სალვატორეს მცირე უპირატესობა მივანიჭოთ. ერთი ცხადია, ამ რგოლში იტალიას ნამდვილად არ უჭირს...

## მცველები

**ლუკა ანტონელიმ** სან მარინოსთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო და მისი კონფედერაციათა თასზე ასპარეზობა გამოირიცხა. მოკლედ, ანტონელი თვითონვე გაიცხრილა, პრანდელიმ კი ოფსაიდში კიდევ ორი მცველი დატოვა: **ანჯელო ოგბონა და ანდრეა რანოკია.** როგორც ჩანს, მათი მომზადების დონით ჩეზარე უკმაყოფილო დარჩა.

იტალიელი ჟურნალისტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ პრანდელის შერჩეულ სიაში მხოლოდ ერთი ნომინალური მარცხენა მცველია; **მატია დე შილიოს** კონკურენტი სწორედ ანტონელი უნდა ყოფილიყო. ჩეზარემ ლუკას შემცვლელის გამოძახება არ ისურვა და დე შილიო ფაქტობრივად უკონკურენტოდ დატოვა... არადა, „სკუადრა აძურას" დამრიგებელს არაერთი ვარიანტი ჰქონდა: **ფედერიკო ბალცარეტი, დომენიკო კრიშიტო, დავიდე სანტონი, მანუელ პასკუალი** და კიდევ შეიძლება რამდენიმე გვარის ჩამოთვლა.

მარჯვნივ **კრისტიან მაჯოს** და **ინაციო აბატეს** კონკურენციას ვიხილ;ავთ - ამ შემთხვევაში, პრანდელის არჩევანი სრულიად გასაგები და ლოგიკურია. სიურპრიზები არც ცენტრში გვხვდება: **ანდრეა ბარცალის, ლეონარდო ბონუჩის** და **ჯორჯო კიელინის დავიდე ასტორი** დაემატა. აქვე ვთქვათ, რომ კიელინის მარცხნივაც შეუძლია თამაში და საჭიროების შემთხვევაში, დე შილიოს ალტერნატივად გამოდგება.

## ნახევარმცველები

**ჯაკომო ბონავენტურას** და **ანდრეა პოლის** ეროვნულ ნაკრებში თავის გამოჩენის შანსი კიდევ მიეცემათ, ამ ეტაპზე კი ადგილი უფრო გამოცდილებს უნდა დაუთმონ. ჩეზარე პრანდელიმ ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავა და იმ ფეხბურთელებს დაეყრდნო, რომლებსაც „აძურას" სტაჟიანი წევრები შეგვიძლია ვუწოდოთ. ძირითადი ოთხეული ასე მოიაზრება: **ანდრეა პირლო, დანიელე დე როსი, კლაუდიო მარკიზიო, რიკარდო მონტოლივო.** ყოველთვის მზად არიან თამაშში ჩასართავად **ანტონიო კანდრევა, ალესანდრო დიამანტი, ალესიო ჩერჩი** და **ემანუელე ჯაკერინი**, რომელსაც პრანდელი ყოველთვის ენდობა. ამ სიას აქამდე ოფსაიდში მყოფი **ალბერტო აკვილანი** დაემატა და სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო – ფლორენციელს საოცრად კარგი სეზონი ჰქონდა. სამომავლოდ, სადღაც აქ უნდა მოვიაზროთ **მარკო ვერატი**, რომელიც ამჟამად იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობს.

## თავდამსხმელები

„კალიარიში" წარმატებული ასპარეზობა **მარკო საუს** ეროვნულ ნაკრებში დებიუტით დაუფასდა, მაგრამ კონფედერაციათა თასზე გამგზავრებას ვეღარ შეწვდა... ჩეზარე პრანდელიმ განაცხადში ოთხი ფორვარდი დატოვა - მილანელები **მარიო ბალოტელი** და **სტეფან ელ შაარავი**, მეორე ტაიმის ფეხბურთელი **სებასტიან ჯოვინკო** და ჩეზარეს „ძველი სიყვარული" **ალბერტო ჯილარდო.**

ელ შაარავი და ბალოტელი ძირითად შემადგენლობაში მოიაზრებიან და განურჩევლად იმისა, რა ტაქტიკას დაეყრდნობა პრანდელი. 4-4-2-ის შემთხვევაში ყველაფერი ნათელია, სამი შემტევის პირობებში კი სუპერ-მარიო ცენტრფორვარდად დადგება, პატარა ფარაონი კი მისთვის ჩვეულ მარცხენა ფრთაზე გადაინევს... ასეთ შემთხვევაში, მარჯვენა გარემარბიც მოსაძებნი იქნება და ამ როლის შესრულება არაერთ „აძურელს" შეუძლია – თუნდაც ანტონიო კანდრევას, ალესიო ჩერჩის, ან სულაც სება ჯოვინკოს.

ერთი სიტყვით, პრანდელიმ ოთხი ნომინალური თავდამსხმელი შეარჩია და რამდენი დატოვა განაცხადს მიღმა? – **ანტონიო კასანო, პაბლო დანიელ ოსვალდო, ალესანდრო მატრი, ჯამპაოლო პაცინი, ფაბიო კვალიარელა** და თუნდაც **ანტონიო დი ნატალე**, რომელიც მუნდიალზე გამგზავრებას ეშურება...

რომა

# რომა ბლანს შეუთანხმდა

## ცნობილია თანაშემწეების ვინაობაც...


ლორან ბლანი

მას შემდეგ, რაც **მასიმილიანო ალეგრიმ სილვიო ბერლუსკონისთან** შეთანხმებას მიაღწია და „რომას" მესვეურებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, დედაქალაქური კლუბის წარმომადგენლებმა მოლაპარაკება **ლორან ბლანთან** წამოიწყეს. 47 წლის ფრანგი სპეციალისტი ბოლოს თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს ედგა სათავეში და ამჟამად, უმუშევარია. როგორც „გაძეტა დელო სპორტი" იუწყება, მოლაპარაკება აქტიურ ფაზაშია გადასული და შეთანხმების ალბათობა ძალიან მაღალია. ბლანის „რომაში" შესაძლო დანიშვნას საფრანგეთის ნაკრების ამჟამინდელი დამრიგებელი **დიდიე დეშამი** გამოეხმაურა:

*„ძალიან გამახარა ცნობამ იმასთან დაკავშირებით, რომ „რომას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ბლანის კანდიდატურა განიხილება. იმედია, შეთანხმება შედგება და ლორანი იტალიაში დაიწყებს მუშაობას. ბლანი ძალიან კარგი ტაქტიკოსია და ვფიქრობ, რომ კალჩოს იდეალურად მოერგება".*

გუშინ სალამოს, „რომას" მესვეურებმა დაადასტურეს ბლანთან მიმდინარე მოლაპარაკებები და ისიც ითქვა, რომ შეთანხმება პრაქტიკულად მიღწეულია. იტალიური სპორტული პრესა გვამცნობს, რომ ხელშეკრულება 2-წლიანი იქნება და ლორანს იტალიაში თანაშემწეებად მისი ძველი მეგობრები **ჟან-ლუი გასე** და **ალენ ბოგოსიანი** ჩაჰყვებიან. ერთი სიტყვით, ბლანი უკვე თამამად შეგვიძლია მოვიაზროთ „ჯალოროსის" თავკაცად.

ამბები

## პრეციოზის ნერვებმა უმტყუნა

ბოლო პერიოდში, აქტიურად ვრცელდება ცნობები „ჯენოას" შესაძლო გასხვისების შესახებ და ბუნებრივია, მთელ ამ ამბავში მთავარი მოქმედი პირი კლუბის პრეზიდენტი **ენრიკო პრეციოზია**. ამბობენ, რომ გენუური კლუბის ყიდვა „ვარეზეს" პრეზიდენტ **ანტონიო როზატის** სურს და პრეციოზის სარფიან წინადადებას სთავაზობს.

პრეციოზიმ არაერთხელ განაცხადა ჟურნალისტებთან, რომ ამ ეტაპზე კლუბის გაყიდვა არ დგას დღის წესრიგში, თუმცა მედიის წარმომადგენლებმა არ მოისვენეს და პრეზიდენტი წყობიდან გამოიყვანეს. გუშინ, სენიორ ენრიკოს ქუჩაში ჟურნალისტი აეკიდა და ისევ კლუბის შესაძლო გაყიდვაზე ჩამოუგდო სიტყვა – ამან სენიორ ენრიკო სულ მთლად გააგიჟა: ჯერ მიკროფონი გამოართვა და მოისროლა, შემდეგ კი ფოტოაპარატი გამოსტაცა, ძირს დაგდო და ნამსხვრევებად აქცია. ამ ინციდენტზე ფედერკალჩოს მესვეურებმა უკვე მოახდინეს რეაგირება და განაცხადეს, რომ პრეციოზის მიმართ გარკვეული სანქციები გატარდება. ბუნებრივია, „ჯენოას" პრეზიდენტს ჟურნალისტისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებაც მოუწევს.

## ფერი ფერსაო


ჯენარო გატუზო

„პალერმოს" პრეზიდენტმა **მაურიციო ძამპარინიმ** დაადასტურა, რომ მომდევნო სეზონიდან გუნდის მთავარი მწვრთნელი **ჯენარო გატუზო** იქნება. 35 წლის რინომ სამწვრთნელო კარიერა შვეიცარიულ „სიონში" დაიწყო, თუმცა განსაკუთრებული წარმატებისთვის არ მიუღწევია და მალევე დატოვა იქაურობა. გატუზო ერთი კვირის განმავლობაში აწარმოებდა მოლაპარაკებას სიცილიელებთან და საბოლოოდ, შეთანხმებასაც მიაღწია. ამ თემაზე კომენტარი ძამპარინიმ გააკეთა:

*„შემიძლია დავადასტურო, რომ მომდევნო სეზონიდან „პალერმოს" გატუზო გაწვრთნის. სულ მალე კონტრაქტს გავაფორმებთ და პირობებსაც გავასაჯაროებთ. ძალიან მიხარია, რომ ასეთ ბრწყინვალე ადამიანთან მომიწევს მუშაობა და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი თანამშრომლობა სასურველ შედეგს გამოიღებს. რინოს სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერა იტალიური ფეხბურთის ისტორიაში და მჯერა, რომ მისი განუზომელი გამოცდილება ელიტაში დასაბრუნებლად დაგვეხმარება".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**






ჩოგბურთი

# სოფიო შაფათავა მეოთხედფინალში

თბილისელი სპორტსმენი **სოფიო შაფათავა** წარმატებით ასპარეზობს იტალიურ ბრეშაში. ჩოგბურთელ ქალ-თა 25.000-იან საერთაშორისო ტურნი-რის ერთეულთა თანრიგში. მან გუშინ მეორე შეხვედრა მოიგო: პირველ სეტში დაძაბული ორთაბრძოლის შემდეგ 7:5 სძლია ჩერნოგორიელ დანკა კოვინიჩს, მეორე ხელში კი მეტოქე უფრო იოლად დანებდა ჩვენებურს - 1:6. შაფათავა მე-ოთხედფინალში გავიდა, სადაც ტურნი-რის რეიტინფავორიტ ალექსანდრა კრუნიჩსა (სერბეთი) და **მაკა ჩახნაშვი-ლის** მძლეველ ტერეზა მარტინცოვას (ჩეხეთი) შორის უძლიერესს დაუპირის-პირდება.

როგორც გაუწყეთ, შაფათავამ წინა დღესაც აჯობა კოვინიჩს, ოღონდ - წყვი-ლებში. გერმანელ ქრისტინა შაკოვეცთან ერთად თბილისელმა ჩოგბურთელმა ჩერნოგორიელისა და სტორმ სანდერსის (ავსტრალია) ტანდემს აჯობა. მეოთხედ-ფინალში შაფათავა და შაკოვეცი ტურნი-რის მე-4 ნომერ მასპინძლებს - ჯულია ჯატო-მოტიკონსა და ანასტასია გრი-მალსკას შეხვდებიან.

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

# ნაბიჯი ოქროსკენ

საქართველოს მრავალგზის ჩემპი-ონმა დიდოსტატმა **ნინო ხურციძემ** სა-ქართველოს მოჭადრაკე ქალთა 70-ე ეროვნულ ჩემპიონატში, რომელსაც თბილისის ჭადრაკის სასახლე მასპინძ-ლობს, გუშინ ოქროს მედლისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა - თეთრი ფიგუ-რებით ასპარეზობის დებიუტანტი **ლიკა კობეშავიძე** 59-ე სვლაზე დაამარცხა და 7 ქულით ლიდერობა განიმტკიცა.

74 სვლა დასჭირდა საქართველოს ხუთგზის ჩემპიონ **მაია ლომინეიშვილს** ეროვნული ოსტატის - **ანა კუჭავას** დასა-მარცხებლად. ამ გამარჯვებით ლომინე-იშვილმა ხურციძესთან ნახევარქულიანი სხვაობა შეინარჩუნა, ისევე, როგორც **ინ-გა ხურცილავას** მძლეველმა **ნინო ბაცი-აშვილმა**.

გუშინდელი მე-9 ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: **მერი არა-ბიძე - სოფიო ხუხაშვილი** 1:0, **სოფიო გურამიშვილი - მაკა ფურცელაძე** 1:0, **სალომე მელია - სოფიო გვეტაძე** 0,5:0,5.

ცხრა ტურის შემდეგ: ხურციძე - 7, ლომინეიშვილი, ბაციაშვილი - 6,5-6,5, მელია - 6, გურამიშვილი - 5,5, ხუხაშვი-ლი, ფურცელაძე, ხურცილავა, გვეტაძე - 4,5-4,5, არაბიძე - 3, კუჭავა - 1, კობეშა-ვიძე - 0,5 ქულა.

დღეს ბოლოსწინა მე-10 ტურში ითამა-შებენ: ბაციაშვილი - ლომინეიშვილი, გვეტაძე - კუჭავა, ხუხაშვილი - მელია, ფურცელაძე - არაბიძე, კობეშავიძე - გუ-რამიშვილი, ხურცილავა - ხურციძე.

ვაჟა დანელია

# პირველ სამეულში ორი ქართველია

ინდურ მუმბაიში დღეს დასრულდე-ბა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურ-ნირი, რომელშიც სამი ქართველი დიდოსტატი მონაწილეობს. გუშინ მე-10 ტურში ერთპიროვნული ლიდერი **ლევან ფანცულაია** შავი ფიგურებით ზავენ ან-დრიასიანს (სომხეთი) დაუზავდა. **მიხე-ილ მჭედლიშვილმა** თანამემამულე **მერაბ გაგუნაშვილს** აჯობა და 8 ქუ-ლით ფანცულაიას გაუთანაბრდა. ასევე, 8 ქულა მოაგროვა ფარუხ ამონატოვმა (ტაჯიკეთი), რომელმაც ლევონ ბაბუჯი-ანი (სომხეთი) დაამარცხა. ლიდერთა ჯგუფის დანარჩენი ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: მიშრა შვაიამსი (ინდოეთი) - გიორგი ტიმოშენკო (უკრაინა) 1:0, სილჰარდ რავიჩანდანი (ინდოეთი) - კო-რე აკშაირაჯი (ინდეოთი) 0:1.

დღეს ბოლო ტურში ერთმანეთს და-უპირისპირდებიან ფანცულაია (8) - ამო-ნატოვი (8), ანდრიასიანი (7,5) - მჭედლიშვილი (8), აკშაირაჯი (7,5) - შვა-იამსი (7,5). საპრიზო სამეულის ვინაობას სწორედ ამ ორთაბრძოლების შედეგები გამოავლენს.

ვაჟა დანელია

# ჯავახიშვილი – აუტსაიდერებში



ლელა ჯავახიშვილის ერთდროული სეანსი ჩინელ ბავშვებთან

ერთდღიანი შესვენების შემდეგ ჩი-ნეთში განახლდა მოჭადრაკე ქალთა წრიული ტურნირი, რომელშიც 8 მასპინ-ძელი და 2 უცხოელი თამაშობს. გუშინ მე-5 ტურში სწორედ ისინი დაუპირის-პირდნენ ერთმანეთს: **ლელა ჯავახიშ-ვილი** თეთრი ფიგურებით ევროპის ჩემპიონ ვალენტინა გუნინას (რუსეთი) დაუზავდა. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ: დინ ისინი - ჰუან ძიანი, დანარჩენი შეხ-ვედრები შედეგიანი გამოდგა: შენ იანი - თან ჟუნი 1:0, გო ძი - ვან იუი 0:1, ცზიუ ვენძიუნი - ჟან სიაოვენი 0:1.

ხუთი ტურის შემდეგ: თან ჟუნი - 3,5, გუნინა - 3, გო ძი, დინ ისინი, ჰუან იანი, ვან იუი, შენ იანი - 2.5-2.5, ჯავახიშვილი, ვენძიუნი, სიაოვენი - 2-2 ქულა.

მე-6 ტურში ერთმანეთს დაუპირის-პირდებიან: ჰუან ძიანი - სიაოვენი, ვან იუი - ვენძიუნი, თან ჟუნი - გო ძი, გუნი-ნა - შენ იანი, დინ ისინი - ჯავახიშვილი.

ვაჟა დანელია

თბილისის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი



# ლიბამ ლიბო მოგვიწონა

## სტუმრები ოლიმპიური სოფლის მშენებლობით აღფრთოვანდნენ

EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL
TBILISI 2015

გუშინ თბილისში ორდღიანი სამუ-შაო ვიზიტი დაამთავრა ევროპის 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საკოორდინაციო კომისი-ამ, რომელშიც ამჯერად **კატერინა ნი-ჩოვა, სტრატოს კარეტოსი** და წინა ანალოგიური ვიზიტიდან ნაცნობი **იო-ზეფ ლიბა** შედიოდნენ.

სტუმრებმა ამ ჩამოსვლისას დაათ-ვალიერეს თბილისის ზღვაზე მიმდინა-რე ოლიმპიური სოფლის მშენებლობა, საკალათბურთო სკოლა, სპორტკომპ-ლექსი „არენა“ და იმ სპორტული ობიექ-ტების უმრავლესობა, სადაც მომავალი ფესტივალის პროგრამაში შემავალი ას-პარეზობები უნდა გაიმართოს, შეხვდნენ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ **ლერი ხაბე-ლოვს**, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **ლე-ვან ყიფიანს**, დედაქალაქის მერ **გიგი უგულავას**; დაინტერესდნენ, როგორ მიმდინარეობს საორგანიზაციო სამუ-შაოები, ხომ არაა შეფერხებები და ხომ არ შესუსტდა მმართველი წრეების ყუ-რადღება ამ ფესტივალისადმი; მონაწი-ლეობა მიიღეს ოლიმპიური კედლის მოხატვაში. აღსანიშნავია, რომ მსგავსი მხატვრობა უკვე მეორედ ჩატარდა თბილისში - პირველი კედელი შარშან მოიხატა სულხან-საბას ქუჩაზე მდება-რე სტადიონთან, ამჟამად კი საბურთა-ლოს ქუჩაზე ახალ გზაზე არსებული გვირაბის ფასადი შეარჩიეს და ერთია-ნად მოხატეს.

გუშინ სტუმარ-მასპინძელმა ოლიმპი-ურ კომიტეტში შემაჯამებელი პრესკონ-ფერენცია გამართა, რომელიც შესავალი სიტყვით „თბილისი-2015“ საორგანიზა-ციო კომიტეტის თავმჯდომარე **არჩილ გეგენავამ** გახსნა და შემდეგი განაცხადა: *„ოლიმპიური ფესტივალისთვის მზადება გეგმით გაწერილ ვადებში მიმდინარეობს და ვფიქრობ, რომ შევძლებთ, 2015 წლის ზაფხულში ღირსეულად ვუმასპინძლოთ ამ თამაშებს, რომლის მსგავსი მასშტაბუ-რი ღონისძიება ჯერ საქართველოში არ გამართულა“.*

სტუმართაგან შთაბეჭდილებები ლიბამ გაგვიზიარა: *„ახლანდელი ვიზი-ტი ძალიან ნაყოფიერი იყო, შევხვდით ფესტივალის ორგანიზებაში ჩართულ ყველა მხარეს - ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, სპორტის სამინისტროს, დე-დაქალაქის ხელმძღვანელობას. აღფრ-თოვანებული ვართ ოლიმპიური სოფლის მშენებლობის მიმდინარეო-ბით, სადაც შარშან მხოლოდ საძირკვე-ლი იყო ჩაყრილი, ამ ერთ წელიწადში კი რამდენი რამე გაკეთებულა. ძალიან კმაყოფილები ვართ მიმდინარე პროცე-სებით“.*

ამ სტუმრობის შესახებ „თბილისი-2015“ პროექტის კოორდინატორ **გიორგი ხაჩიძესაც** გავესაუბრეთ: *„პრინციპული ხასიათის შენიშვნები არ გამოუთქვამთ არც ერთ საკითხზე, რეკომენდაციები კი მოგვცეს, რომ დრო არ დავკარგოთ არც ერთი წუთი. ვადებში კი ვეტევით და მშე-ნებლობა-რეკონსტრუქცია გეგმის მი-ხედვით კი მიდის, მაგრამ ფესტივალამდე არც ისე დიდი დრო დარჩა და დაყოვნება უკვე აღარ შეიძლება. რისი დაწყებაც ახ-ლა შეიძლება, არ დავიწყოთ 3 თვის შემ-დეგ. საორგანიზაციო საკითხებს რაც შეეხება, ინფრასტრუქტურა და სოფლის მშენებლობა წინსწრებითაც კი მიდის, სპორტული ობიექტების რეკონსტრუქ-ცია კი გეგმის მიხედვით ხორციელდება. თუმცა უკვე დაგვიანება არ შეიძლება. აქამდე გვქონდა საშუალება, 2-3-თვიანი პერიოდი დაგვეტოვებინა თადარიგში, ახლა კი ამის ფუფუნება აღარაა. უტრეხ-ტიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც ანა-ლოგიურ ფესტივალში ვიასპარეზებთ, დაახლოებით სექტემბრის ბოლოს კიდევ ერთხელ დაწვრილებით გავივლით ყვე-ლა საორგანიზაციო საკითხს. მაშინ კი-დევ უფრო ნათლად გამოჩნდება, ნოემბერში რომში გენერალურ ასამბ-ლეაზე როგორი პრეზენტაციით წარვდ-გეთ. იქ უკვე ოფიციალურად გადმოვიბარებთ ახალი თამაშების მას-პინძლობას. ობიექტური მიზეზებით, რა-ლაცების დაწყება გადაგვედო, მაგრამ ბაზების რეკონსტრუქცია მაინც დაგეგ-მილ ვადებში მიმდინარეობს“.*

ირაკლი თავაძე



კრივი

# ფიასკო

## საქართველოს მოკრივეებისთვის ევროპის ჩემპიონატი ნაადრევად დასრულდა

ბელარუსის დედაქალაქში გუშინ მოკ-რივეთა ევროპის ჩემპიონატზე მეოთხედ-ფინალური შეხვედრები გაიმართა. საქართველოს ნაკრებიდან 6 სპორტსმე-ნი ინარჩუნებდა ნახევარფინალში გასვ-ლისა და, სულ მცირე, ბრინჯაოს მედლების მოპოვების შესაძლებლობას. სამწუხაროდ, შანსი შანსად დარჩა და ექ-ვსივე ჩვენებურმა მინსკის რინგი დამარ-ცხებულმა დატოვა.

განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა 49 კილოგრამ წონით კატეგორიაში **და-ვით ნანავას** და აზერბაიჯანელი სალმან ალიზადას შეხვედრა. სამივე რაუნდი ერ-თნაირი ანგარიშით - 28:28 დასრულდა. ყველაფერი არბიტრების ხმამ გადაწყვი-ტა - ირლანდიელმა და პოლონელმა მსა-ჯებმა აზერბაიჯანელს დაუჭირეს მხარი, არგენტინელმა - ჩვენებურს, მაგ-რამ ეს ნახევარფინალში გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა. ალიზადამ ბრინჯაოს მედალი გაინაღდა.

52 კილოგრამ წონით კატეგორიაში **ავთანდილ ჭუბაბრია** ოვიკ ოჰანესიანს (რუსეთი) დაუპირისპირდა. მართალია, მინიმალური უპირატესობით, მაგრამ წარმატებას ოჰანესიანმა მიაღწია და მედლებისთვის ბრძოლასაც ის განაგრ-ძობს.

56 კილოში **გიორგი გოგატიშვილმა** რუს ვლადიმირ ნიკიტინთან პაექრობი-სას პირველი ორი პერიოდი დათმო, მარ-თალია, მესამე პერიოდში გააქტიურდა, მაგრამ ჩვენი მატარებელი უკვე ჩავლი-ლი აღმოჩნდა. 2:1 გაიმარჯვა ნიკიტინმა.

**ლევან გულედანმა** (91 კგ) უკრაი-ნელ დენის პოიატსიკას მხოლოდ ორი რაუნდი გაუძლო, მესამეში ტექნიკური ნოკაუტის გამო წინააღმდეგობა შეწყვი-ტა. მაყურებლებში გადაინაცვლა 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა **მიხეილ ბახტიძემ** (+91 კგ). გუშინ მან სამივე რაუნდი დათმო ჯო-ზეფ ჯოისთან (ინგლისი). სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს 8-კაციანი ნაკრები მინსკიდან უმედლოდ ბრუნდება. საქმე ის არის, წინა დღეს შე-ჯიბრებას ევროპის 2011 წლის პრიზიო-რი **ჯაბა ხოსიტაშვილი** (75) და **იაგო კიზირია** (81) გამოაკლდნენ.

ვაჟა დანელია





რეგიონი. მძლეოსნობა

# საქველმოქმედო გარბენი

ამ დღეებში გორის კულტურისა და დასვენების პარკის „ახალბალის“ ტერი-ტორიაზე, შიდსით დაავადებულთა სა-ერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქველმოქმედო გარბენი მოეწყო. მო-ნაწილეობდა რამდენიმე ათეული უმც-როსი მოხალისე. ვაჟებს შორის უმცროს ასაკში გამარჯვებული 10 წლის **ნოდარ ნიწიკაშვილი** იყო, უფროს ასაკში - 20 წლის **გიგა ახალკაცი**. გოგონებში კი ყველას 14 წლის **მანანა ნასყიდაშვილ-მა** აჯობა. გამარჯვებულები დასაჩუქრ-დნენ.

ვასილ ბალახაძე
გორიდან



სუმო

# დებიუტი მედლით



ამირან წიქორიძე

მოყვარულთა სუმომ კარგა ხანია უმცროსი ასაკის ჭაბუკთა პირველობე-ბიც მოიცვა. კადეტთა შორის (1998-1999 წლებში დაბადებულები) ევროპის 2013 წლის პირველობა უკრაინის ქალაქ ლუცკში ორი დღეა, რაც დასრულდა. იქ სამი ქართველი ნორჩი სუმოისტი პირ-ველად მონაწილეობდა არა მარტო ევ-როპის, საერთოდ, სუმოს შეჯიბრებაში. ერთმა მათგანმა ქუთაისელმა **ამირან წიქორიძემ** (+95 კგ), ევროპის პირვე-ლობის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. თბილისელი **დავით ჭინჭარაძე** და ქო-ბულეთელი **ლევან ხინიკაძე** კი მეხუთე ადგილზე დარჩნენ.

გაბრიელ ბარჯაძე
ავტორის ფოტო

სოჭი 2014. ახალი ამბების ესტაფეტა

SOCHI 2014

## ხარჯები

სოჭის ოლიმპიადისთვის მოსამზა-დებლად რუსეთის ფედერალური ბიუ-ჯეტიდან 99 მილიარდი რუბლი გამოიყო - ამის შესახებ ამას წინათ განაცხადა პუტინმა სახელმწიფო ტელე არხებისა და რადიოსადგურების ღია ეთერში. ხსენებულ თანხას ემატება დამატებით მოზიდული 144 მილიარდი რუბლი. ხარ-ჯები ოლიმპიური და ორი მედიასოფ-ლის, 14 სპორტული ობიექტისა და მომსახურების 22 ობიექტის მშენებლო-ბაზეა გათვლილი.

## ტრანსპორტი უფასოდ

სოჭის ოლიმპიადის ტრანსპორტის დირექციამ გამოაცხადა, რომ ოლიმპია-დის შეჯიბრებების ადგილამდე მისასვ-ლელად საქალაქო საზოგადოებრივი ტრანსპორტი მაყურებლებისთვის იმუ-შავებს უფასოდ. ეს თხოვნა უკვე გადა-ეგზავნა ფედერალურ მთავრობას. უფასო იქნება აგრეთვე ელექტრომატა-რებლებით მგზავრობა. ცნობილია, მა-ტარებლების მოძრაობის მარშრუტები და ინტერვალი: სოჭი - ოლიმპიური პარ-კი - 10 წუთი; სოჭი - კრასნაია პოლიანა - 20 წუთი; სოჭი - აეროპორტი, ოლიმპიუ-რი პარკი - კრასნაია პოლინა, ტუაფსე - სოჭი - 60 წუთი.

ოლიმპიადის დღეებში სოჭში შეიზღუ-დება საქალაქთაშორისო და სატრანზი-ტო მოძრაობა, სოჭელებს კი ურჩევენ არ გამოიყენონ საკუთარი ავტომობილები და გადასაადგილებლად ისარგებლონ სა-ქალაქო ტრანსპორტით.

## ლონდონი – სოჭი

„სოჭის ოლიმპიადისთვის მზადებამ, არნახულ სასურველ დონეზე აიყვანა დიდი ბრიტანეთისა და რუსეთის ურთი-ერთობა“, - ამას აცხადებს ბრიტანეთის სპორტისა და ტურიზმის მინისტრი **ჰიუ რობერტსონი**. ოლიმპიური თამაშების ჩატარების გამოცდილების გაზიარებაში ლონდონი მხარში უდგას რუსეთს. *„ჩვენ მჭიდრო კავშირი გვაქვს სოჭის ოლიმპი-ადის საორგანიზაციო კომიტეტთან. ბევრ ადამიანს პირადად ვიცნობ, რადგან არაერთხელ შევხვედრივარ. აღფრთო-ვანებული ვარ ყველაფრით, რასაც სოჭ-ში ვხედავ“* - ამბობს რობერტსონი.

ლელოზე
ხელმომწერთა საყურადღებოდ!
ხელმოწერის გამარტივებული პრო-ცესი, დროული და გარანტირებული მი-წოდება. დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

მეკლდეურობა



# ლენტეხსა და ქიათურაში

ხუთ დღეს გრძელდებოდა საქართველოს ჩემპიონატი მეკლდეურობაში. უფროსი ასაკის წარმომადგენლებმა ლენტეხში მოიყარეს თავი და ხელოვნურ კედელზე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს სწრაფ და რთულ ცოცვაში. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

**საქართველოს ჩემპიონატი (უფროსი ასაკი). ვაჟები. სწრაფი ცოცვა.** 1 გიგა ჯანხოთელი (ლენტეხი), 2. გოგი ჩართოლანი (მესტია), 3. გიორგი ჯაფარიძე (ორივე - მესტია). **რთული ცოცვა.** 1. გიორგი გაბულდანი (თბილისი), 2. ბექა ნავერიანი (მესტია), 3. ალმაძგირ გვიციანი (თბილისი). **გოგონები. სწრაფი ცოცვა.** 1. ნუცა ხუციშვილი (თბილისი), 2. დარო რატიანი (მესტია), 3. ფატი იოსელიანი (თბილისი). **რთული ცოცვა.** 1. თამარ მელაძე, 2. ანი დულარიძე, 3. ფატი იოსელიანი (სამივე - თბილისი).

გუნდური. 1. მესტია, 2. ლენტეხი, 3. თბილისი.

ახალგაზრდებმა ქიათურაში იასპარეზეს. აქ გუნდური პირველი ადგილი მესტიელებმა დაიკავეს, მეორე-მესამე ადგილები ლენტეხისა და სტეფანწმინდის გუნდებმა გაინაწილეს. პირად პირველობაში კი საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:

**სწრაფი ცოცვა**

**ვაჟები.** 1.ჯაბა ქურასბედიანი (ლენტეხი), 2.გოგი ჩართოლანი (მესტია), 3.მამუკა ხუციშვილი (სტეფანწმინდა), **გოგონები.** 1.მარი ქურდიანი (მესტია), 2.კესო იოსელიანი (მესტია), 3.ოლიკო სუჯაშვილი (თბილისი)

**რთული ცოცვა**

**ვაჟები.** 1.გოგი ჩართოლანი (მესტია), 2.ჯაბა ქურასბედიანი (ლენტეხი), 3.მამუკა ხუციშვილი (სტეფანწმინდა). **გოგონები.** 1.კესო იოსელიანი (მესტია), 2.მარი ქურდიანი (მესტია), 3.ოლიკო სუჯაშვილი (თბილისი).

ვაჟა დანელია

კალათბურთი. ქართველი თურქეთში

# მანუს პირველი მოგება ფინალში

**მანუჩარ მარკოიშვილმა** თურქეთის ჩემპიონობისკენ მორიგი ნაბიჯი გადადგა. მისმა „გალათასარაიმ" ფინალური სერიის პირველ მატჩში „ბანვითს" უმასპინძლა და მიუხედავად იმისა, რომ ცუდად დაიწყო, მაინც დამაჯერებლად გაიმარჯვა - 79:62.

მანუჩარი სასტარტო ხუთეულში იყო და პირველ მეოთხედში 7 ქულა ჩააგდო, თუმცა „გალას" კალათბურთელებმა ბანვითელებს 22:16 დაწინაურების უფლება მისცეს. მეორე მეოთხედის დასაწყისიც სტუმრებისა იყო, თუმცა პერიოდის დასრულებამდე 1:20 წუთით ადრე მარკოიშვილის სამქულიანის შემდეგ სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა (33:34), ხოლო დიდ შესვენებამდე სტამბოლელებმა გადასწრება მოახერხეს.

მესამე პერიოდში „გალათასარაის" პირველი ქულები მანუჩარმა მოუტანა, სამქულიანით თანაგუნდელები 43:37 დააწინაურა და მას მერე „ბანვითს" თამაშის შემოტრიალების შანსი არ გაჩენია.

მარკოიშვილმა 29 წუთში 13 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. მან 5 მცდელობიდან 3 სამქულიანი ჩააგდო.

მეორე ფინალური შეხვედრა 7 ივნისს ისევ „გალათასარაის" მოედანზე გაიმართება.

ვაჟა სიმონიშვილი



კალათბურთი. ქართველი იტალიაში

# ვარეზემ მაინც გაათანაბრა

იტალიის ჩემპიონატის ფინალში გასვლის მორიგი შანსი გაუშვა ხელიდან **ვიქტორ სანიკიძის** „მონტეპასკიმ". სიენელებმა „ვარეზეს" უმასპინძლეს და 80:82 დამარცხდნენ. ნახევარფინალურ სერიაში ანგარიში გათანაბრდა - 3:3. გადამწყვეტი, მეშვიდე თამაში ვარეზეში 7 ივნისს გაიმართება.

სანიკიძემ გუშინ 5 წუთი ითამაშა და 1 მოხსნას გამორჩა.

შეგახსენებთ, რომ მეოთხედფინალში სწორედ მეშვიდე თამაშში, თანაც სტუმრად მოიგო „მონტეპასკიმ" („მილანთან").

ვაჟა სიმონიშვილი

კალათბურთი. საქართველო და ევრობასკეტი



# 22-ე

ფიბა-ევროპის ოფიციალურ ვებ-საიტზე გამოქვეყნდა ევრობასკეტის მონაწილეთა რეიტინგი. ისევე როგორც გასულ თვეში, საქართველოს ნაკრები ამჯერადაც 22-ე პოზიციაზეა (24 გუნდს შორის).

მოკლე მიმოხილვაში წერია: *„ახალგაზრდა გუნდი „შსს აკადემია" საქართველოს ჩემპიონი პირველად გახდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ კლუბის რამდენიმე კალათბურთელი ეროვნულ გუნდს ევრობასკეტზე დაეხმარება. მით უმეტეს, რომ ქართველებს წამყვანი კალათბურთელი* ***(ზაზა ფაჩულია)*** *დააკლდებათ."*

ჩვენი ჯგუფის ფავორიტი ესპანეთი კვლავ მეორეა. ცნობილია, რომ ამ გუნდს ლეიკერსელი **პაუ გასოლი** ვერ დაეხმარება. სწორედ ამიტომ დაუთმეს ესპანელებმა პირველი ადგილი ფრანგებს.

სლოვენია მეხუთეა, რომლის ბარსელონელი ფორვარდის **ერაზემ ლორბეკის** ევრობასკეტზე თამაში კითხვის ნიშნის ქვეშაა.

ჩვენი ჯგუფის კიდევ ერთი წარმომადგენელი ხორვატია გასულ თვესთან შედარებით ერთი საფეხურით დაქვეითდა - მეთერთმეტე პოზიციაზეა. გასაკვირია, რეიტინგის შემდეგნლებმა მხოლოდ ერთი ადგილით რატომ ჩამოაქვეითეს, რადგან ხორვატებს ევროპის ჩემპიონატზე ორი წამყვანი უკანახაზელი დააკლდებათ, **ზორან პლანინიჩი** (რუსული „ხიმკი") და **მარკო პოპოვიჩი** (ლიტვური „ჟალგირისი").

პოლონეთის ნაკრები, რომელსაც ევროპის ჩემპიონატზე გახსნით მატჩში, 4 სექტემბერს ვხვდებით, სადღეისო რეიტინგში ჩვენზე გაცილებით წინაა - მე-16 პოზიციაზეა.

მხოლოდ ერთით გვისწრებს და 21-ე ადგილზეა ჩეხეთი.

რეიტინგის გაცნობა საინტერესოა, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია, უშუალოდ ევროპის ჩემპიონატის შეხვედრების შემდეგ რომელი გუნდი გაამართლებს გაცემულ ავანსს.

ვაჟა სიმონიშვილი

ცურვა

# რეკორდებით, მედლებით, მაგრამ ულიცენზიოდ



ირაკლი ბოლქვაძე

წლეულს ივლისში ბარსელონა მოცურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ჩვენებურთაგან ამ შეჯიბრების ლიცენზია შარშან ახალგაზრდების ევროპის პირველობაზე **ირაკლი ბოლქვაძემ** მოიპოვა, რითაც კატალონიის დედაქალაქში სამი მოცურავით გამგზავრების უფლებაც მივიღეთ. საგულისხმოა, რომ ქართველ სპორტსმენს მაშინ 200 მეტრზე ბრასით ცურვაში ბრინჯაოს მედალი ერგო და ლონდონის ოლიმპიადის საგზურიც დაიმსახურა. ბარსელონის მეორე ლიცენზიის მოპოვებას ჩვენი სპორტსმენები პრაღის საერთაშორისო ტურნირზე ცდილობდნენ. **ირინა მინჟულინას** ხელმძღვანელობით ჩეხეთის დედაქალაქში ოთხმა მოცურავემ იასპარეზა და შვიდი მედალი მოიხვეჭა, თუმცა იქ ნაჩვენები შედეგები ლიცენზიისთვის საკმარისი არ გამოდგა.

ირაკლი ბოლქვაძე 200 მეტრზე ბრასით (2.20,37) პირველი იყო ფინიშთან და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავიდა. მასვე 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (2.06,41) ვერცხლის მედალი ერგო. სპეციალისტები მსოფლიოს ჩემპიონატის ლიცენზიას **ირაკლი რევიშვილისგან** ელოდნენ. გამოცდილი სპორტსმენიც ახლოს იყო მიზანთან - 200 მეტრი თავისუფალი ყაიდით 1.53,49-ში დაფარა და მეორე ადგილი დაიკავა, მაგრამ ლიცენზიამდე 1,28 წამი დააკლდა. 400 მეტრზე ამავე ყაიდით მესამეზე გავიდა.

**დავით სიხარულიძემ** 100 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ამ დისტანციაზე 51,64 წამი საქართველოს ახალი მიღწევაა. სიხარულიძემ ათიოდე დღის წინათ დამყარებული ქვეყნის თავისივე რეკორდი 50 მეტრზეც გააუმჯობესა, მაგრამ ეს შედეგი (23,85) საპრიზო ადგილისთვის არ ეყო. საქართველოს დელეგაციას ორი ბრინჯაოს მედალი **თეიმურაზ კობახიძემ** შესძინა: 50 (25,54) და 200 (2.05,69) მეტრზე ბატერფლაით მან მესამე ადგილები დაიკავა.

რადგანაც მსოფლიოს ჩემპიონატის სალიცენზიო ტურნირების ლიმიტი ამოიწურა, უკვე ცნობილია, რომ ბარსელონაში გასამგზავრებლად ირაკლი ბოლქვაძე, ირაკლი რევიშვილი და დავით სიხარულიძე მოემზადებიან. რაც შეეხება თეიმურაზ კობახიძეს, მას 10 ივლისიდან ახალგაზრდებში კონტინენტის პირველობაზე უნდა ეასპარეზა, მაგრამ იმ პერიოდს ეროვნული გამოცდები ემთხვევა და კობახიძეც ევროპას გამოტოვებს.

ვაჟა დანელია

ტესტები



ფელიპე კონტეპომი

# კონტეპომი ისევ კაპიტანია

არგენტინის ნაკრები ამ უქმეებზე ივნისის ტესტების პირველ მატჩს ინგლისის ეროვნულ გუნდთან გამართავს. ისევე როგორც 2011 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში, „პუმებს" ბრძოლაში ვეტერანი შუამარბი **ფელიპე კონტეპომი** წარუძღვება.

არგენტინელთა ყველაზე გამოცდილმა მორაგბემ პროფესიული კარიერა წლევანდელი სეზონის დასრულებისთანავე დაამთავრა, თუმცა ნაკრებში თამაშს მაინც განაგრძობს. საგულისხმოა, რომ ზოგიერთი დიდი მორაგბე პირიქით ირჯება. მაგალითად, ინგლისელი მგეზავი **ჯონი ვილკინსონი** პროფესიულ კარიერას განაგრძობს, თუმცა ეროვნულ ნაკრებში თამაშზე 2011 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების შემდეგ თქვა უარი.

**ფელიპე კონტეპომი** „პუმებს" ნამდვილი კაპიტნის **ხუან მარტინ ფერნანდეს ლობეს** არყოფნაში წარუძღვება. არგენტინის ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **სანტიაგო ფელანმა** გადაწყვიტა - ძირითადი მოთამაშეების დიდი ნაწილი ოთხი ერის გათამაშების წინ დაასვენოს და თავის გამოჩენის საშუალება ახალგაზრდებს მისცეს.

„ინგლისის ნაკრებთან მომავალი თამაში შესანიშნავი შანსია არა მარტო ახალგაზრდა, არამედ გამოცდილი მოთამაშეებისთვისაც. იმისთვის, რომ „პუმების" წევრი იყო და ეროვნული ნაკრების მაისურა გეცვას, დიდი გარჯაა საჭირო. თითოეულმა მათგანმა უნდა დაამტკიცოს, რომ ამის ღირსია.

ინგლისის ნაკრები კარგი, თანაბრად დაბალანსებული გუნდია. ვიცით, რომ წინ დიდი ბრძოლა გველის. ამიტომ აუცილებელია, სათანადოდ მოვემზადოთ" - თქვა მან.

**არგენტინა:** 15. მარტინ ბუსტოს მოიანო, 14. მატიას ორლანდო, 13. გონსალო ტიესი, 12. ფელიპე კონტეპომი, 11. მანუელ მონტერო, 10. ბენიამინ ურდაპილეტა, 9. მარტინ ლანდახო. 1. პაბლო ჰენი, 2. მარტინ ვეიგა, 3. მაქსიმილიანო ბუსტოსი, 4. ესტებან ლოსადა, 5. მარიანო გალარსა, 6. ხულიო კებეჯო, 7. ბენიამინ მაკომე, 8. ტომას ლეონარდი.

16. მაურისიო გუიდონე, 17. გილერმო როანი, 18. ფრანსისკო გომეს კოდელა, 19. ტომას ველახოსი, 20. ტომას დე ლა ვეგა, 21. ნიკოლას ვერგაჯო, 22. გაბრიელ ასკარატე, 23. ბელისარიო აგუჯა.

# ხუთი დებიუტანტი სამხრეთ აფრიკაში

სამხრეთ აფრიკის ნაკრები შაბათს, დურბანში ოთხთა ტურნირზე პირველ მატჩს გამართავს. მეტოქე იტალიის ეროვნული გუნდი იქნება. „ბოკეში" ხუთი დებიუტანტი ითამაშებს.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ჰეინკე მეიერმა** ძირითად შემადგენლობაში ორი ახალბედა დააყენა, ფულბეკი **ვილი ლე რუ** და ცხრა ნომერი **იანო ვერმაკი**. კიდევ სამი სათადარიგოთა სკამზე იქნება. ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდნენ **ბრაიან ჰაბანა, პიერ სპისი** და **ტენდაი მთავარირა**, რომლებმაც ნოემბრის ტესტები ტრავმების გამო გამოტოვეს.

„მოხარული ვარ, რომ შევძელით შარშანდელი გუნდის ძირითადი ბირთვის შენარჩუნება. შერკინებაში რვა მოთამაშიდან ხუთი შევინარჩუნეთ. უკანა ხაზში კი ბრაიან ჰაბანაც დაგვემატა.

მეტოქეს, იტალიის ნაკრებს კარგად ვიცნობთ და პატივს ვცემთ. სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ, ეს გუნდი დიდ ძალას არ წარმოადგენდა. ახლა კი პირიქით, საკმაოდ კარგი, ერთ მუშტად შეკრული ნაკრებია. განსაკუთრებით სახიფათო „სკუადრა აძურას" შერკინებაა. ამ მატჩში ჩვენი მიზანი იქნება გარკვეული სათამაშო კომპონენტების დახვეწა. ექსპერიმენტებსაც მივმართავთ." - თქვა სამხრეთ აფრიკის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჰეინკე მეიერმა.

**სამხრეთ აფრიკა:** 15. ვილი დე რუ, 14. ბრაიან ჰაბანა, 13. ჯეი ჯეი ენგელბერხტი, 12. იან დე ფილიერსი, 11. ბიორნ ბესონი, 10. მორნი სტეინი, 9. იანო ვერმაკი. 1. ტენდაი მთავარირა, 2. ადრიან სტრაუსი, 3. იანი დუ პლესი, 4. ებენ ესტებესი, 5. ივანდერ კრუხერი, 6. ფრანსუა ლოუ, 7. ვილემ ალბერტსი, 8. პიერ სპისი.

16. ჩილიბოი რელეპელე, 17. ტრევორ ნიაკანე, 18. კოენ ოსტჰუიზენი, 19. ფლიპ ფან დერ მერვე, 20. არნო ბოთა, 21. რუან პინარი, 22. პატ ლამბიე, 23. აინ სერფონტეინი.

თბილისის თასი

# თბილისის თასი მრავალი წლის განმავლობაში გაიმართება

**ხვალ თბილისში, „ავჭალის სარაგბო სტადიონზე" ახალი საერთაშორისო ტურნირის, „თბილისის თასის" გათამაშების პირველი ტურის შეხვედრები გაიმართება. შეგახსენებთ, რომ „ბორჯღალოსნებთან" ერთად ამ შეჯიბრებაში ურუგვაის ეროვნული გუნდი, სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრები და მზარდი ირლანდია იასპარეზებენ. „შევარდენის საწვრთნელ ბაზაზე" გუნდების წარმომადგენლები შეიკრიბნენ და წინასატურნირო პრესკონფერენცია გამართეს.**


ირაკლი მაჩხანელი

**გიორგი ნიჟარაძე**, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი: „დიდი ხანია ასეთი მაღალი დონის ტურნირის ჩატარებაზე ვმუშაობთ. შარშან, ლას ვეგასში გამართულ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მეორე დონის ქვეყნებისთვის ტესტმატჩების და ტურნირების რაოდენობას გაზრდიდნენ. შედეგად, წლეულს პირველად ჩატარდება თბილისის თასი. რუმინეთის IRB-ის ერთა თასი ორ ნაწილად გაიყო და საქართველოში ოთხთა ტურნირი პირველად გაიმართება..

ამ შეჯიბრებებში ირლანდიის, იტალიის, სამხრეთ აფრიკის და არგენტინის A ნაკრებები ითამაშებენ. ისინი როტაციის პრინციპით იასპარეზებენ საქართველოსა და რუმინეთის არენებზე. თუ წელს სამხრეთ აფრიკის და ირლანდიის ნაკრებები გვეწვივნენ, გაისად არგენტინის და იტალიის გუნდები ჩამოვლენ. მართალია, ამჯერად სამხრეთ აფრიკა ისეთი ძლიერი გუნდით არ ჩამოსულა, რასაც ველოდით, მაგრამ, ვფიქრობ, მაინც საინტერესო თამაშები გველის. ერთი რამ შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ ეს ტურნირი ტრადიციული გახდება და კიდევ მრავალი წლის განმავლობაში გაიმართება.

ვფიქრობთ, „თბილისის თასის" გათამაშება რაგბის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს და ამავდროულად, საქართველოს ნაკრებისთვის მოსამზადებელი პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი იქნება. ჩვენი მიზანია, 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში შესარჩევი ეტაპიდან პირველი ადგილით გავიდეთ და მერე, იქაც ღირსეულად ვითამაშოთ. სწორედ ამ მიზნის მიღწევაში უნდა დაგვეხმაროს ეს ტურნირი. ამასთან ერთად, გვინდა თბილისის თასი ჩვენთან დავტოვოთ, რაც იოლი სულაც არ იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე გამოცდილი მოთამაშე გვაკლია, საქართველოს ნაკრები ნებისმიერ მეტოქესთან მოედანზე მხოლოდ მოსაგებად გავა. მაყურებელიც ლამაზ სანახაობას იხილავს. სამწუხაროდ, წლეულს ტურნირის ჩატარება "ავჭალის სარაგბო სტადიონზე" გვიწევს. ამის გამო, სტადიონზე ბევრი გულშემატკივარი ვერ მოხვდება.

სამწუხაროდ, „თბილისის თასის" გათამაშებაში ბევრი მორაგბე დაგვაკლდება. ამის მიზეზი ტრავმებია. განსაკუთრებით მინდა ვთქვა მამუკა გორგოძის თაობაზე. ძალიან მაღიზიანებს იმ გულშემატკივართა გამონათქვამები, რომლებიც მის არჩამოსვლაზე საუბრობენ. ამ ბიჭმა მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩემპიონატში სტატისტიკურად ყველაზე მეტი წუთი ითამაშა. მას ტრავმები აწუხებს, რესურსი აღარ აქვს, თორემ გორგოძეს არასდროს უღალატია საქართველოსთვის. ის იმსახურებს იმას, რომ მშვიდად დაისვენოს და ტრავმები მოიშუშოს".

**მილტონ ჰეიგი**, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „დღეს ეროვნულ გუნდში ისეთი მორაგბეებიც გვყავს, რომლებიც ნაკრების კვართს პირველად მოირგებენ, მნიშვნელოვანია, მათ ასეთ მატჩებში თავის გამოჩენის შესაძლებლობა მიეცეთ. ყველამ უნდა დაამტკიცოს, რომ ეროვნული ნაკრების მაისურის ტარების ღირსია".

ალენ კლარკი, მზარდი ირლანდიის მწვრთნელი: „ირლანდიელ მოთამაშეთა ნაწილი "ბრიტანელი ლომების" შემადგენლობაში გამოიძახეს. ნაწილი კი, ეროვნულ ნაკრებში ჩრდილოამერიკულ ტურნეში გაემგზავრა. თბილისში ის ახალგაზრდა მორაგბეები ჩამოვიყვანეთ, რომლებსაც 2015 წლის მსოფლიოს თასზე თამაშის შანსი აქვთ. ტურნირის ფავორიტის დასახელება გამიჭირდება. ამ შემადგენლობით ძალიან ცოტა ხანია რაც შევიკრიბეთ და მეტოქეებზე, ფაქტობრივად, არაფერი ვიცით. ყველა თამაშისთვის თანაბრად ვემზადებით და უახლოეს მატჩზე - საქართველოს ნაკრებთან დაპირისპირებაზე ვფიქრობთ".

ფაბიო მანიო, ურუგვაის ნაკრების მწვრთნელი: „სამწუხაროდ, ტრავმების გამო საქართველოში უძლიერესი შემადგენლობა ვერ ჩამოვიყვანეთ. თუმცა, მაინც კარგი გუნდი გვყავს. ამ ტურნირში მთავარ აქცენტს მორაგბეთა განვითარებაზე გავაკეთებთ."

ჯიმი სტოუნჰაუზი, სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრების მწვრთნელი: "სამხრეთ აფრიკაში რაგბის ორმოცი რეგიონალური კავშირია. პირველი დონის ჩემპიონატიდან ვერავინ წამოვიყვანეთ. შესაბამისად, ეს გუნდი სამხრეთ აფრიკის მეორე დივიზიონის ნაკრებია. მათ უნდა დაამტკიცონ, რომ უფრო მაღალ დონეზე თამაში შეუძლიათ".

ირაკლი მაჩხანელი, საქართველოს ნაკრების კაპიტანი: „უმნიშვნელოვანესი ტურნირი გველის. საქართველო პირველად მასპინძლობს ასეთი დონის შეჯიბრებას და ამიტომ, ორმაგად დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ. როცა მორაგბე თავისი ქვეყნის რომელიმე ნაკრებში ხვდება, ის მაქსიმალურად ცდილობს ეროვნულ გუნდში დაწინაურებას. ამიტომ, ყველა ეცდება საკუთარი მაქსიმუმის ჩვენებას. ვფიქრობ, მაყურებელი კარგი სანახაობის მომსწრე იქნება.

საქართველოს ნაკრებში არა მარტო ახალგაზრდებს, არამედ მეც დასამტკიცებელი მაქვს, რომ ეროვნული ნაკრების კვართის ტარების ღირსი ვარ და წარმატების მისაღწევად ბოლომდე დავიხარჯებით".

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1


ადრიან ნიუი

# რედ ბულს გენიოსი ტოვებს?

საინტერესო ჭორი გავრცელდა ამ დღეებში ფორმულა 1-ის სამყაროში. "ლოტუსის" ყოფილი დირექტორი **ჯეიმს ელისონი**, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ დატოვა მალაიზიური საჯინიბოს რიგები, შესაძლოა, "რედ ბულში" გადავიდეს კარიერის გასაგრძელებლად. იმასაც შეგახსენებთ, რომ "ლოტუსის" დატოვებისთანავე, ჟურნალისტები ელისონს ტექნიკური დირექტორის პოსტს უწინასწარმეტყველებნენ "ფერარიში".

აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით გერმანული გამოცემა Auto Motor und Sport: *"ძლიერდება ჭორები იმასთან დაკავშირებით, რომ ის, შესაძლოა, "რედ ბულში" გადავიდეს. ეს ვარაუდი მანამდე გავრცელებულმა ჭორმა წარმოქმნა: თითქოს "რედ ბულის" ტექნიკური შეფი ედრიან ნიუი 2014 წლის ბოლოს მიდის ავსტრიული საჯინიბოდან. დიზაინის გენიოსი სულ უფრო ხშირად გამოხატავს თავის იმედგაცრუებას წესებში ზედმეტი შეზღუდვების გამო და შიშობს, რომ ახალი რეგლამენტი ფორმულა 1-ს ძრავების შეჯიბრად გადააქცევს".*

■ ■ ■

"ფერარის" ბრაზილიელი პილოტი **ფელიპე მასა** უახლოეს უქმეებზე გასამართი კანადის გრანპრისთვის ახალ შასის მიიღებს.

მასას წინა ბოლიდი სერიოზულად დაზიანდა მას შემდეგ, რაც ბრაზილიელი ორჯერ მოხვდა ავარიაში მონაკოს გრანპრის დროს. შეგახსენებთ, რომ ორივე ინციდენტი ერთი და იმავე ადგილას ერთნაირი სცენარით მოხდა – ერთხელ თავისუფალი პრაქტიკის დროს და ერთხელაც რბოლის მიმდინარეობისას.

ჰოკეი. NHL პლეი ოფი

# კინგზმა ინტრიგა გააცოცხლა

წლევანდელ პლეი ოფში "ლოს ანჯელესს" ერთხელ უკვე მოუწია 0:2-დან სერიის გადარჩენაზე ზრუნვა - სტენლის თასის პირველ რაუნდში მან ეს "სენტ ლუისის" წინააღმდეგ მოახერხა, თუმცა "ბლუზსა" და "ჩიკაგოს" შორის უდიდესი განსხვავებაა და შესაბამისად, "კინგზი" ამჯერად გაცილებით რთულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდრე პლეი ოფის სტარტზე. ასეა თუ ისე, კალიფორნიელებს მესამე მატჩში მხოლოდ მოგებაზე უნდა ეფიქრათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ.


ლოს ანჯელესი-ჩიკაგო

მნიშვნელოვანი მომენტი იყო "ლოს ანჯელესის" საუკეთესო ბომბარდირის **მაიკ რიჩარდსის** ტრავმა, რის გამოც ამ ჰოკეისტმა სერიის მეორე მატჩი გამოტოვა. **დეივ ბოლანდთან** შეჯახებისას მიღებული ტვინის შერყევა მსუბუქი აღმოჩნდა და ფორვარდის მოედანზე გასვლის საკითხი უშუალოდ მატჩის წინ უნდა გარკვეულიყო. გარდა ამისა, გაჩნდა ინფორმაცია "ლოს ანჯელესის" კიდევ ერთი ლიდერის - **ანჟე კოპიტარის** ტრავმის შესახებ. ორი წამყვანი ცენტრ-ფორვარდის არყოფნას, შესაძლოა, ხაზი გადაესვა კალიფორნიელთა იმედებისთვის, მაგრამ ცუდი პროგნოზი არ გამართლდა: რიჩარდსი მოედანზე მაინც ვერ გავიდა, სამაგიეროდ, კოპიტარმა ითამაშა მეტად პროდუქტიულად.

"ლოს ანჯელესმა" პირველივე წუთებიდან შტურმი მოუწყო სტუმრებს და ძალიან მალე წაიყვანა ანგარიში. **ვიაჩესლავ ვოინოვმა** მარცხენა ფლანგზე გახსნილი **ჯასტინ უილიამსი** შეამჩნია, დიაგონალური პასი არ დაუგვიანა და ფორვარდისთვის პრობლემა არ აღმოჩნდა ახლო კუთხეში გატანა. "ჩიკაგომ" ვერ შეძლო გაშვებულ გოლზე დროული რეაგირება და მატჩის პირველი ნახევარი საკმაოდ დაღლილი გამოიყურებოდა.

მეორე ოცწუთეულის შუაში მასპინძლებმა ორამდე გაზარდეს სხვაობა და აქაც, პირველ პლანზე გამოვიდა "კინგზის" რუსი მცველი ვოინოვი. **ტაილერ ტოფოლიმ** დროული პასი მისცა ვოინოვს, რომელმაც ერთი შეხებით ძლიერი დარტყმა გადაწყვიტა, მაგრამ ყვანჯი გატყდა და შაიბა ნელი სიჩქარით გასრიალდა ყინულზე: რუსს გაუმართლა – "ჩიკაგოს" მეკარე **კორი კროუფორდმა** ხელმეორედ რეაგირება ვერ მოასწრო და კურიოზული გოლი გაუშვა.

სწორედ ვოინოვის გოლი გახდა გამარჯვების. ამ ჰოკეისტს წლევანდელ პლეი ოფში ხუთი შაიბა აქვს გატანილი აქედან ოთხმა "ლოს ანჯელესს" გამარჯვება მოუტანა.

მეორე გოლის შემდეგ მოხდა ეპიზოდი, რომელიც ცალკე აღნიშვნის ღირსია. "ბლეკჰოქსის" მცველი **დანკან კიტი** ყინულზე დავარდნილი ხელთათმანის აღებას ცდილობდა, როცა ხელში დაარტყმა მიიღო **ჯეფ კარტერისგან**. კიტმა იქვე უპასუხა მეტოქეს – სახეში ჯოხი ჩაარტყა. ამის გამო, "ჩიკაგოს" მცველმა თავისი გუნდი ოთხი წუთით დატოვა რიცხობრივ უმცირესობაში, ხოლო, როცა მოედანზე დაბრუნდა, კარტერთან მივიდა ბოდიშის მოსახდელად. პლეი ოფის ასეთ მაღალ ეტაპზე, როცა ფეარ პლეის პრინციპებს იშვიათად იცავენ, ეს მართლაც უნიკალური შემთხვევაა.

"ჩიკაგომ" მეორე პერიოდის ბოლოს გატანილი შაიბით შეუნარჩუნა შეხვედრას ინტრიგა, მაგრამ მესამე ოცწუთეულის ბოლოსკენ "კინგზის" მიერ ცარიელ კარში გატანილმა გოლმა მასპინძლებს ნერვული ფინალი ააცილა თავიდან.

წლევანდელ პლეი ოფში "ლოს ანჯელესს" ჯერ საკუთარ მოედანზე მატჩი არ წაუგია და თუ "მეფეები" მეოთხე შეხვედრაშიც გაიმეორებენ წარმატებას, სერიაში ყველაფრის თავიდან დაწყება გახდება საჭირო.

**ლოს ანჯელესი-ჩიკაგო 3:1**

1:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ჯასტინ უილიამსი-6 (ვოინოვი-6, სკუდერი-3), 2:0 ვოინოვი-5 (ტოფოლი-3, ჯ. კარტერი-4), 2:1 ბიკელი-7, 3:1 დ. კინგი-1 (ჯ. კარტერი-5, მეტ გრინ-2).

**სერია:** 1-2

კალათბურთი

# გასოლი ტრეიდისთვის მზად არის

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ხელმძღვანელობამ ჯერ ისევ ვერ მოიფიქრა გადაწყვეტილება ესპანელი **პაუ გასოლის** მომავალი კარიერის შესახებ.

ამ მომენტისთვის, "ლეიკერსი" ელოდება **დუაიტ ჰოვარდის** გადაწყვეტილებას. ეს კალათბურთელი ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტების ბაზარზე გასვლას აპირებს. სწორედ "სუპერმენის" გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული პაუ გასოლის ბედი.


პაუ გასოლი

თუ ჰოვარდი ახალ კონტრაქტს გააფორმებს "ლეიკერსთან", დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ გასოლს გაცვლის მეშვეობით სხვა გუნდში გაუშვებენ. მაგრამ ესპანელი სჭირდება კალიფორნიულ კლუბს იმ შემთხვევაში, თუ "ლეიკერსისა" და ჰოვარდის გზები გაიყრება.

*"ვფიქრობ, გუნდს არაერთხელ გამოუთქვამს ჩემი შენარჩუნების სურვილი. მაგრამ მე მესმის, რომ ჩემი მომავალი ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული და მათი გაუთვალისწინებლობა შეცდომა იქნება"*, - განაცხადა გასოლმა.

გასულ რეგულარულ ჩემპიონატში პაუმ 49 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ, 13.7 ქულასა და 8.6 მოხსნას აგროვებდა.

ჰოკეი

# განახლებული დალასი და მოდანოს ცხრიანი


„დალასის" ახალი მაისურა და ლოგო

"დალას სტარზის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ხმარებიდან ამოიღოს მე-9 ნომერი, რომლითაც "ვარსკვლავების" რიგებში ამერიკელი ფორვარდი **მაიკ მოდანო** თამაშობდა.

"დალასის" საშინაო არენის თაღზე მოდანოს მაისურის აღმართვის საზეიმო ცერემონია 2014 წლის 8 მარტს გაიმართება. მაიკი მეოთხე მოთამაშეა "დალასის" ისტორიაში, ვისაც ამგვარი პატივი ხვდა წილად. მანამდე, "სტარზმა" შემდეგი მოთამაშეები დააფასა: **ნილ ბროტენი** (მე-7 ნომერი), **ბილ გოლდსუორთი** (8) და **ბილ მასტერტონი** (19).

შეგახსენებთ, რომ მაიკ მოდანო "დალასის" ყველა დროის ლიდერია ჩატარებული მატჩების (1459), გატანილი გოლების (557), შედეგიანი გადაცემებისა (802) და ქულების (1359) რაოდენობით.

გარდა ამისა, გუშინ „სტარზმა" წარმოადგინა სათამაშო ფორმის განახლებული დიზაინი, აგრეთვე კლუბის ახალი ლოგო. ამ მაისურებით „დალასი" უკვე შემდეგ სეზონში გამოჩნდება მოედანზე.

ამბები

კალათბურთი

## კაზინსს ნაკრებში დაუძახეს

"საკრამენტო კინგზის" ცენტრმა **დემარკუს კაზინსმა** ამერიკის ნაკრების სამწვრთნელო შტაბის ყურადღება დაიმსახურა.

აშშ-ის ეროვნული გუნდის საწვრთნელი მინი-ბანაკი ივლისის მეორე ნახევარში შედგება. გუნდის მენეჯერმა **ჯერი კოლანჯელომ** განაცხადა, რომ კაზინსი მიწვეულია ამ შეკრებაზე. მან აგრეთვე კომენტარი გაუკეთა ამ გადაწყვეტილებას.

*"დროა ის საბოლოოდ გაიზარდოს და წარსული დაივიწყოს. კაზინსს დიდი ნიჭი აქვს და ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს"*, - ამბობს კოლანჯელო.

2012-13 წლების სეზონში, კაზინსი საშუალოდ 17.1 ქულასა და 9.9 მოხსნას აგროვებდა.

## ევროჩელენჯი იცოცხლებს

ორმა ევროპულმა საკალათბურთო ორგანიზაციამ - FIBA-ევროპამ და ULEB-მა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას რანგით მესამე ევროტურნირის - ევროჩელენჯის გაუქმების შესახებ. და საერთოდაც, ეს ორგანიზაციები ვერ მივიდნენ კონსენსუსამდე ახალ სეზონში ევროთასების ახალი ფორმატით ჩატარების თაობაზე.

შესაბამისად, შეიძლება იმის თქმა, რომ ევროჩელენჯს სიცოცხლე გაუხანგრძლივდა - ჯერჯერობით გადაიდო მისი შეერთება ევროთასის გათამაშებასთან. ასე რომ, 2013-14 წლების სეზონში ჩვენ ისევ გველის სამი ტურნირი: ევროლიგა (24 გუნდი), ევროთასი (48 გუნდი) და ევროჩელენჯი.

ერთადერთი საკითხი, რომელიც ამჟამად დღის წესრიგში დგას, შემდეგში მდგომარეობს: გადავლენ თუ არა ევროლიგის კვალიფიკაციაში წაგებული გუნდები ევროთასზე. ამ საკითხის გადაწყვეტაზე უფლებამოსილია ULEB და ის მალე გამოიტანს გადაწყვეტილებას.

კრივი

# დოპინგზე მოილაპარაკეს

უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკოსა** და რუსი **ალექსანდრ პოვეტკინის** გუნდებმა მოილაპარაკეს იმის შესახებ, თუ როგორ გაივლიან ეს სუპერმძიმეწონოსნები დოპინგ-კონტროლს საჩემპიონო ბრძოლის წინ და შემდეგ. ეს შეხვედრა 5 ოქტომბერს, მოსკოვში უნდა გაიმართოს.

პოვეტკინის მენეჯერის **ვლადიმერ ხრიუნოვის** სიტყვებით, კლიჩკო დოპინგ-ტესტს გერმანიის ანტისადოპინგო სააგენტოს (NADA) სპეციალისტებს ჩააბარებს, პოვეტკინს კი რუსეთის ანტისადოპინგო სააგენტო (RUSADA) შეამოწმებს.

ადრე დოპინგ-კონტროლის პრობლემა სერიოზულად უშლიდა ხელს კონტრაქტის ხელმოწერაზე მიმდინარე მოლაპარაკებებს. ხელშეკრულების გაფორმება ამ კვირას უნდა მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, 2013 წლის ერთ-ერთი მთავარი ორთაბრძოლა ჩაიშალოს.

*"კლიჩკოსთვის პოვეტკინთან ბრძოლა, ფინანსური მხარის გარდა, იმიჯის მხრივ არის ძალიან მნიშვნელოვანი. ეს ბრძოლა მთლიანად კრივისთვისაა აუცილებელი, - განაცხადა ხრიუნოვმა. - ხალხი დიდი ხანია ელის ამ შეხვედრას, ენერგია დაგროვდა და ახლა, დროა მას გზა მივცეთ".*

■ ■ ■

ამასობაში, ვლადიმერის უფროსი ძმის – **ვიტალი კლიჩკოს** მწვრთნელმა **ფრიც ზდუნეკმა** თავისი მოსაზრება გაგვაცნო კლიჩკო-პოვეტკინის მოსალოდნელ დაპირისპირებაზე, აგრეთვე ისაუბრა თავისი შეგირდის მომავალი კარიერის შესახებ.

*"ჩემთვის კლიჩკოსა და პოვეტკინის ბრძოლაში ფავორიტი - ვლადიმერია. ბრძოლის ბედს ტაქტიკა გადაწყვეტს, ვლადიმერი კი, ამ მხრივ, ძალიან ძლიერია. მან ეს პიანეტასთან ბრძოლაში დაამტკიცა. უმცროსი კლიჩკო შესანიშნავად იყენებს ჯებს, მას მაღალი ტემპი გააჩნია და კარგად მუშაობს ფეხებით.*

*თანაბარი ბრძოლა მას მხოლოდ ვიტალისთან ექნება, მაგრამ ასეთი შეხვედრა არ გაიმართება.*

*გააგრძელებს თუ არა კარიერას ვიტალი? ვფიქრობ, ეს სავსებით შესაძლებელია. მას ხანგრძლივი პაუზები ჰქონდა და თავს შესანიშნავად გრძნობს. მისთვის რინგზე გასვლა – ეს არის შვებულება პოლიტიკაში"*, - განცხადა ფრიც ზდუნეკმა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**


ვიტალი კლიჩკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფორმულა 1. კანადის გრანპრის წინ



მონრეალის ტრასა

# რას ვნახავთ მონრეალში

**მომავალ უქმეებზე კანადის ქალაქი მონრეალი ფორმულა 1-ში მსოფლიოს ჩემპიონატის მეშვიდე ეტაპს უმასპინძლებს. მონრეალში რბოლა, ტრადიციულად, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა ტაქტიკის მხრივ. იქ ძალიან მაღალია ტრასაზე უსაფრთხოების მანქანის გამოსვლის ალბათობა, ასფალტის საფარი ტრასასთან მოჭიდების ძალის დაბალ დონეს უზრუნველყოფს და არ არსებობს პრობლემა გასწრების მხრივ. ბრიტანელი ექსპერტი და კომენტატორი ჯეიმს ალენი თავის აზრს გვიზიარებს გუნდების მოსალოდნელ ტაქტიკაზე.**

ეს რბოლა ყოველთვის საინტერესოდ მიმდინარეობს და ყოველთვის არაპროგნოზირებადია. **ლუის ჰემილტონი**, რომელიც წლევანდლამდე "მაკლარენის" ბოლიდით გამოდიოდა, მონრეალში სამჯერ მივიდა ფინიშთან პირველი: შეძლებს თუ არა ის ამჯერად "მერსედესში" თავისი თანაგუნდელის **ნიკო როსბერგის** დამარცხებას, რომელმაც ცოტა ხნის წინათ, მონაკოს გრანპრის მოიგო.

მონრეალში კვალიფიკაცია არც ისე მნიშვნელოვანია, რადგან ამ ტრასაზე გასწრება საკმაოდ იოლია. ეს გავლენას ახდენს ტაქტიკის არჩევაზე, გუნდები უფრო მეტ პიტსტოპზე აკეთებენ ორიენტაციას... კანადურ ტრასაზე არის რამდენიმე სწორი მონაკვეთი, ნაკლებია სწრაფი მოსახვევები. ძალიან მნიშვნელოვანია ნელი მოსახვევებიდან გამოსვლისას ტრასაზე საბურავების მოჭიდების დონე. გარდა ამისა, მანქანას სჭირდება მაქსიმალური სიჩქარე სწორ მონაკვეთებზე.

ჟილ ვილნევის ავტოდრომი ჩვეულებრივი ტრასა არ არის, რადგან მისი დიდი ნაწილი კუნძულ ნოტრ-დამის ქუჩებზე გადის. უქმეების დასაწყისში ასფალტი ძალიან ჭუჭყიანია, მაგრამ საფარის მდგომარეობა ყოველდღიურად უმჯობესდება, თუმცა მოჭიდების დონე მაინც დაბალი რჩება. ამიტომაც, ტაქტიკოსებს იმის გამოცნობა უწევთ, როგორ მდგომარეობაში იქნება საბურავი რბოლის დროს.

### ტრასის მახასიათებლები

წრის სიგრძე: 4.36 კმ. რბოლის დისტანცია: 70 წრე - 305 კმ. სულ 12 მოსახვევი.

მაქსიმალური სიჩქარე გააქტიურებული DRS-ის სისტემით – 326 კმ/სთ და 316 კმ/სთ მის გარეშე.

აქსელერატორზე სრულად მიჭერილი ფეხით პილოტები წრის 60 პროცენტს გადიან, წრის გავლისას დამუხრუჭებაზე დროის 17 პროცენტი იხარჯება; აქ არის დამუხრუჭების 13 ზონა, მუხრუჭების ცვეთა – ძალიან მაღალია.

დისტანციის გასავლელად საჭიროა 142 კგ საწვავი. ერთ წრეზე მანქანა ხარჯავს 2.0 კგ. საწვავს. პიტსტოპზე დროის დანაკარგი - 11.2 წამია.

### ძალთა განლაგება

ბოლო სამი წელი კანადაში "მაკლარენი" იმარჯვებდა და წესით, ამ ტრასაზე უკეთ უნდა გამოვიდეს, ვიდრე ჩემპიონატის წინა ეტაპებზე. ბრიტანული საჯინიბო ბევრს მუშაობს სეზონის ცუდი სტარტის გამოსასწორებლად.

"ფერარი" ტრადიციულად დამაჯერებლად გამოდის მონრეალში, მაგრამ ამ გუნდს კანადაში 2004 წლის შემდეგ არ მოუგია. მონაკოში "სკუდერიას" პრობლემები შეექმნა მოსახვევებიდან გამოსვლისას ასფალტთან მოჭიდების მხრივ– კანადურ ტრასაზე ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ისტორიულად, "რედ ბული" ვერ აღწევს კანადაში მაღალ შედეგებს, რადგან მონრეალში მოჭიდების ძალა – მთავარი არ არის. შარშან, **სებასტიან ფეტელმა** პოულიდან აილო სტარტი, მაგრამ მხოლოდ მეოთხე ადგილზე გავიდა. მას კანადაში არასოდეს გაუმარჯვია, მაგრამ წელს ძალიან კარგად გამოდის და პირველ ექვს რბოლაში მეოთხე ადგილზე ქვემოთ არ ყოფილა.

თუ პილოტებზე ვილაპარაკებთ, მონრეალური ტრასის "მეფედ" ლუის ჰემილტონი უნდა მივიჩნიოთ, რომელსაც აქ სამჯერ გაუმარჯვია. თითოჯერ აქვთ მოგებული **ჯენსონ ბატონს, ფერნანდო ალონსოსა და კიმი რაიკონენს.**

### საბურავები და სხვა ფაქტორები

"პირელის" მონრეალში Medium-სა და SuperSoft-ის საბურავები ჩააქვს. თუმცა გასულ წელს კანადაში იყენებდნენ იმ შემადგენლობას, რაც წელს მონაკოში ვიხილეთ – Soft და SuperSoft.

იტალიელებმა უარი თქვეს თავდაპირველ გეგმაზე – მონრეალში რბოლის პირობებში გამოეცადათ ახალი უკანა საბურავები, რომლებიც კარკასის კონსტრუქციით განსხვავდებიან წინამორბედისგან. ამის ნაცვლად, გუნდები მიიღებენ ექსპერიმენტული საბურავების ორ დამატებით კომპლექტს, ოღონდ მათ მხოლოდ პარასკევის პრაქტიკისას გამოიყენებენ.

ასფალტის საფარი მეტად გლუვია, ხოლო გრძელი მოსახვევების არარსებობა იმას ნიშნავს, რომ საბურავებზე შედარებით ნაკლები დატვირთვა მოვა. საბურავების რესურსის გასაზრდელად ძალიან მნიშვნელოვანია უკანა საბურავების ზედმეტი ტრიალის შემცირება. ეს მაშინ ხდება, როცა პილოტი სიჩქარეს კრეფს ნელი მოსახვევიდან გამოსვლის დროს.

საბურავების ამ ორ შემადგენლობას შორის სიჩქარეში სხვაობა, სავარაუდოდ, წრეზე ერთი წამი იქნება. თუ უქმეების დროს მზიანი ამინდი იქნება, პილოტებს ხშირი პიტსტოპების შესრულება მოუწევთ.

### პიტსტოპების რაოდენობა და სავარაუდო დრო

მონრეალში წარმატებული ტაქტიკა ყოველთვის იმაში მდგომარეობდა, რომ გაგევლო დისტანცია მაქსიმალურად შესაძლებელი მაღალი სიჩქარით, ასევე გამოგეჩინა გონიერება იმ შემთხვევაში, თუ ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა გამოჩნდებოდა.

გასულ წელს, "რედ ბულმა" და "ფერარიმ" "მაკლარენთან" წააგეს იმის გამო, რომ მთელი დისტანციიის გავლას ერთი პიტსტოპით ცდილობდნენ. ამ დროს, ჰემილტონმა უფრო აგრესიული ტაქტიკა აირჩია ორი პიტსტოპით და გაიმარჯვა. ამ ტრასაზე იოლია გასწრება და რბოლის დროს პოზიცია ისეთი კრიტიკული არ არის, როგორც სხვა ავტოდრომებზე. ნებისმიერ შემთხვევაში, საჭიროა კვალიფიკაციის უკეთ ჩატარება, რბოლის მაქსიმალურად სწრაფად გავლა დაა უკვე ფინიშთან გამოჩნდება, ვინ რას მიაღწია, რადგან აქ გასწრება დიდ პრობლემას არ წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია დისტანციის მაქსიმალურად დიდი ნაწილის გავლა თავისუფალ ტრასაზე და რამდენიმე გუნდი, სავარაუდოდ, შეეცდება ამის გამოყენებას. თუ ვინმე ისე ვერ შეძლებს კვალიფიკაციის ჩატარებას, როგორც წინასწარ გეგმავდა, მაშინ მან შეიძლება გამოიყენოს აგრესიული ტაქტიკა გვიანი პიტსტოპით, რათა პილოტი დიდხანს დარჩეს თავისუფალ ტრასაზე. პიტლეინი მონრეალში მოკლეა, პიტსტოპები ძალიან სწრაფად ტარდება - დაახლოებით 18.7 წამში. ამის გამო, გუნდების ტაქტიკოსებმა, შესაძლოა, განიხილონ ტაქტიკური სქემა მეტოქეზე უფრო მეტი პიტსტოპით.

ისტორიულად, რბოლისადმი ამგვარი მიდგომა უფრო ამართლებს, ვიდრე ბოქსებში ერთი გაჩერება. მეორე პიტსტოპიდან გამოსული მანქანა, მართალია, იმ ბოლიდის უკან აღმოჩნდება, რომელიც მხოლოდ ერთხელ იყო ბოქსებში, მაგრამ ფინიშთან ახლოს, საბურავების ცვეთის მაღალი ხარისხის გამო, დაწინაურებულის გასწრება პრობლემას აღარ წარმოადგენს. მეორეს მხრივ, უსაფრთხოების მანქანის გამოჩენა იმას აწყობს, ვინც ერთ პიტსტოპზე მიდის, ამიტომაც, მონრეალში ბევრი რამ დამოკიდებულია იღბალზე.

### პეისკარის გამოჩენის ალბათობა

მონრეალში უსაფრთხოების მანქანის ტრასაზე გასვლის ალბათობა ძალიან მაღალია - დაახლოებით 67 პროცენტი. ბოლო 11 კანადური რბოლიდან შვიდში პეისკარის ჩარევა გახდა საჭირო. საქმე ისაა, რომ ტრასა მოქცეულია ბარიერებში, ცოტაა უსაფრთხოების ზონები და აქვეა „ბრმა" მოსახვევები, რის გამოც, ავარია ხშირი მოვლენა გახლავთ. რბოლის მომსახურე პერსონალს ტრასის წესრიგში მოსაყვანად მეტად სახიფათო პირობებში უწევს მუშაობა.

### სტარტი

მონრეალში პირველ მოსახვევამდე აჩქარები მეტად მოკლეა, ამიტომაც, სტარტზე ხშირად ხდება ავარიები. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტრასაზე პირველი მოსახვევის გავლა რამდენიმე ტრაექტორიით არის შესაძლებელი, შესაბამისად, არსებობს პოზიციების მოგების შანსი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **მუნდიალი 2014** | |
| მალავი-ნამიბია | 0:0 |
| კენია-ნიგერია | 0:1 |
| **ევრო 2013** | |
| **UNDER 21** | |
| ისრაელი-ნორვეგია | 2:2 |
| ინგლისი-იტალია | 0:1 |
| **ევრო 2013** | |
| **UNDER 21** | |
| ანდორა-ბულგარეთი | 0:3 |
| **ევრო 2013** | |
| **UNDER 19** | |
| საფრანგეთი-შვედეთი | 3:0 |
| ავსტრია-ბოსნია | 6:0 |
| ხორვატია-საბერძნეთი | 1:1 |
| ესპანეთი-პოლონეთი | 1:0 |
| გერმანია-კვიპროსი | 3:1 |
| ნორვეგია-ჰოლანდია | 1:2 |
| **ამხანაგური მატჩი** | |
| ურუგვაი-საფრანგეთი | 1:0 |
| **ტულონის ტურნირი** | |
| **UNDER 21** | |
| კორეა-აშშ | 1:0 |
| კოლუმბია-კონგო | 1:0 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰაკა-ილვესი | 3:0 |
| ოპს-კაიაანი | 3:3 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ოლიმპიაკოსი (ვ)-ნიკი ვოლუ | 1:1 |
| პანაიტოლიკოსი-ირაკლისი (ს) | 2:0 |
| **ჩეხეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბოჰემიანსი-ოპავა | 1:1 |
| ჩასლავი-ვიქტორია | 1:1 |
| ოლომოუცი-ვლაშიმი | 4:0 |
| მოსტი-სლოვანი | 4:2 |
| პარდუბიცე-ზნოიმო | 3:1 |
| სოკოლოვი-ბოჰემიანსი | 0:0 |
| უსტი-ტაბორსკო | 0:0 |
| ჟლინი-კარვინა | 2:1 |
| **ჩერნოგორია** | |
| **პლეი ოფი** | |
| ბოკელი-მორნარი | 1:0 |
| ზაბიელო-მოგრენი | 1:6 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **იტალია** | |
| მონტეპასკი-ვარეზე | 80:82 |
| **ესპანეთი** | |
| გრან კანარია-ბარსელონა | 62:84 |
| **თურქეთი** | |
| გალათასარაი-ბანვითი | 79:62 |

## TV პროგრამა

**6 ივნისი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ინგლისის ჩემპიონატი. საუთჰემპტონი-მანჩესტერ იუნ.
12:00 ევროპის ლიგა. ტვენტე-ჰანოვერი.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ვიტესი-ფეიენოორდი.
16:00 გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ჰამბურგი.
18:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
19:00 ევროპის ლიგა. ნაპოლი-აიკ.
21:00 არგენტინის ჩემპიონატი. XVI ტურის მიმოხილვა.
22:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შტუტგარტი.
00:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
01:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ალკმაარი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ფულჰემი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ინდიანა. VII მატჩი.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-არსენალი.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ლესტერი-ოსპრეი.
19:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები. ზინედინ ზიდანი.
20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-ტოტენჰემი.
22:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ბოსტონ სელტიქსი. I ნაწილი.
23:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ინდიანა. VII მატჩი.
01:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
05:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-სან ანტონიო. I მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. სტრასბური. საფრანგეთი.
12:20 საჩოგბურთო მიმოხილვა.
13:00 სპორტ-NEWS.
13:20 რაგბი. ჰაინეკენის თასი. სარასენი-ტულონი.
15:10 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მინესოტა-ლეიკერსი.
17:15 სპორტ-NEWS.
17:30 ჩოგბურთი. სეზონის ფინალები. ATP-ის ტური. ენდი მარეი-გრიგორ დიმიტროვი. ბრისბენი. ავსტრალია.
19:25 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ინდიანა.
21:15 ჩოგბურთი. სეზონის ფინალები. ATP-ის ტური. ბერნარდ ტომიჩი-კევინ ანდერსონი. სიდნეი. ავსტრალია.
23:50 საჩოგბურთო მიმოხილვა.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 17 | 27 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქუთაისი | 17 | 26 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბათუმი | 18 | 23 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქობულეთი | 16 | 23 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ფოთი | 15 | 25 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ზუგდიდი | 16 | 26 | (ხანმოკლე წვიმა) |
| გორი | 13 | 25 | (ხანმოკლე წვიმა) |
| თელავი | 16 | 27 | (ხანმოკლე წვიმა) |
| სიღნაღი | 17 | 26 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბაკურიანი | 7 | 19 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბორჯომი | 10 | 25 | (ხანმოკლე წვიმა) |
| მესტია | 6 | 19 | (ხანმოკლე წვიმა) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1756 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6651 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5564 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2064 |

# ფოტო-NEWS

## არდადეგები დაიწყო

### ტერი პორტუგალიაში

„ჩელსის“ კაპიტანი **ჯონ ტერი** თავისი იახტით პორტუგალიის სანაპიროზე ისვენებს. მისი „გემი“, რა თქმა უნდა, ახლოსაც ვერ მივა ლონდონური კლუბის მეპატრონის **რომან აბრამოვიჩის** 400-მილიონიან ხომალდთან, მაგრამ ტერი კმაყოფილია თავისი შენაძენით, რომელიც, თურმე 430 ათასი ფუნტი დაუჯდა.

ჯონს პორტუგალიაში მეუღლე **ტონი** ახლავს.





### გიოტცე იბიცაში

მიუნხენის „ბაიერნის“ ახალწვეული **მარიო გიოტცე** იბიცაში ატარებს კუთვნილ არდადეგებს. მას გვერდს უმშვენებს მომხიბვლელი შეყვარებული, მოდელი **ენ-კატრინ ვიდა,** რომელსაც მარიოს ყოფილი კლუბის - „დორტმუნდის“ ტრადიციული ფერის ბიკინი აცვია. შემთხვევით თუ..?





ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა



ჯოკოვიჩი და ნადალი

# მივიღეთ სუპერმატჩი: ნადალი vs ჯოკოვიჩი

როლან გაროსის გუშინდელი სათამაშო დღე ქალების ორი მეოთხედფინალით იხსნებოდა. ცენტრალური იყო მატჩი **მარია შარაპოვასა** და **ელენა იანკოვიჩს** შორის, რომელმაც ბოლო ერთი თვეა ძალიან მოუმატა და ისევ კონკურენტუნარიანი და ამბიციური ჩოგბურთელია. თავისი განწყობა იანკოვიჩმა პირველ სეტში კარგად გამოავლინა.

თამაშის სტარტი შარაპოვას არ გამოუვიდა. რუსი ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა და ვერაფერი დაუპირისპირა მეტოქის აქტიურ და აგრესიულ სტილს. შედეგად, პირველი პარტია შარაპოვამ „მშრალი“ ანგარიშით წააგო - მეექვსედ ბოლო ხუთ წელიწადში.

მეორე სეტის დასაწყისში იანკოვიჩი ოდნავ დაეხმარა მეტოქეს, როცა სასტარტო გეიმის ბოლო ნაწილი ცუდად ჩაატარა და ბრეიკ-პოინტზე ორმაგი შეცდომაც დაუშვა. ამ ბრეიკით მარიამ გონს მოსვლა მოახერხა და 5:1 წაიყვანა ანგარიში. და სწორედ ამ მომენტში, თამაშს იანკოვიჩმაც მოუმატა, მან სეტზე არ ჩააწოდებინა მეტოქეს და მინიმუმამდე დაიყვანა სხვაობა. თუმცა სეტზე მეორე ჩაწოდებისას მარიამ ძალიან კარგად ითამაშა და მატჩი მესამე სეტში გადაიყვანა.

გადამწყვეტ სეტში დაძაბული და თანაბარი ბრძოლა მიდიოდა. შარაპოვას მინიმალური სათამაშო უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ იანკოვიჩი მას გაქცევის საშუალებას არ აძლევდა. 3:3-ზე რუსმა ბოლო ძალები გამონახა თამაშის მომატებისთვის და ბრეიკი გააკეთა, შემდეგ კი უმნიშვნელოვანესი გეიმი მოიგო, სადაც იანკოვიჩმა მას სერიოზული ბრძოლა მოახვია თავს. ამის შემდეგ, მარიამ მხოლოდ ორი ქულა დათმო და ურთულესი გამარჯვება იზეიმა.

შარაპოვას მეტოქე პარალელურად მიმდინარე შეხვედრაში ირკვეოდა, რომელშიც **ვიქტორია აზარენკა** კიდევ ერთ მარიას - **კირილენკოს** ეთამაშებოდა. აქამდე ეს ჩოგბურთელები ერთხელ იყვნენ შეხვედრილნი - ლონდონის ოლიმპიადაზე მესამე ადგილისთვის მატჩი ბელარუსმა მოიგო.

პირველმა სეტმა ძალიან დაძაბულ და დრამატულ ბრძოლაში ჩაიარა. რუსს ერთი ნაბიჯი აკლდა სეტის მოგებამდე, მაგრამ 5:4-ზე ჯერ მეტოქის მოწოდება დათმო, შემდეგ საკუთარი გეიმიც წააგო, რითაც აზარენკას სეტზე ჩაწოდების უფლება მისცა, მაგრამ ბრეიკით გადაარჩინა პარტია. დაინიშნა ტაიბრეიკი, სადაც ბელარუსი გაცილებით აქტიურად გამოიყურებოდა და ამის გამო იოლად მოიგო მე-13 გეიმი.

მეორე სეტში კი ვიქტორიას უპირატესობა უკვე შესამჩნევი იყო. მან არც ერთი ბრეიკ-პოინტის შანსი არ მისცა რუსს, თავად კი ორი ბრეიკი გააკეთა - 7:6(3), 6:2.

ამ წაგების მიუხედავად, როლან გაროსის შემდეგ, კირილენკო კარიერაში პირველად შევა რეიტინგის საუკეთესო ათეულში.

■ ■ ■

ქალების მეოთხედფინალების შემდეგ, მამაკაცთა ჯერი დადგა. ცენტრალური კორტი **რაფაელ ნადალსა** და **სტანსილას ვავრინკას** დაეთმოთ. თითქმის არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ნახევარფინალის საგზური ნადალს დარჩებოდა. ესპანელმა ჩოგბურთელმა აშკარად აკრიფა ფორმა, რაც წინა წრეში **კეი ნიშიკორისთან** მატჩში გამოჩნდა, გარდა ამისა, რაფას ცხრიდან ცხრაჯერ ჰყავდა დამარცხებული ვავრინკა და ამას ემატებოდა ისიც, რომ შვეიცარიელმა ორი დღით ადრე, ხუთსეტიანი მარათონი გადაიტანა **რიშარ გასკეს** წინააღმდეგ.

წინასამატჩო პროგნოზი მთლიანად გამართლდა. ესპანელი ძალიან დამაჯერებლად თამაშობდა და მინიმალური წუნი ჰქონდა. ვავრინკა ბრძოლას ცდილობდა, მაგრამ შანსი პრაქტიკულად არ ჰქონია. სეტნახევარმა მთლიანად ნადალის დომინირებით ჩაიარა, რასაც მცირე ჩავარდნა მოჰყვა, როცა მეორე სეტში, 1:3-ზე ვავრინკამ დაკარგული ბრეიკი დაიბრუნა. მაგრამ შვეიცარიელის წარმატება დიდი ხანი არ გაგრძელებულა - იქვე რაფამ ზედიზედ სამი გეიმი აილო. მესამე პარტიის სტარტზე ესპანელს ბრეიკ-პოინტის მოგერიება მოუწია, რის შემდეგაც სწრაფად მიიყვანა თავისი უპირატესობა განადგურებამდე - მეტოქეს მხოლოდ პრესტიჟის გეიმის აღების საშუალება მისცა - 6:2, 6:3, 6:1.

პარალელურად მიმდინარეობდა **ნოვაკ ჯოკოვიჩისა** და **ტომი ჰაასის** შეხვედრა. გერმანელს სამჯერ ჰყავდა დამარცხებული სერბი, მათ შორის, ამ სეზონში, მაიამის მასტერსზე. წინა წრეში, ჰაასმა **მიხაილ იუჟნის** წინააღმდეგ ძალიან დამაჯერებელი თამაში აჩვენა, ამიტომაც ყველა ელოდა 35 წლის ვეტერანისგან მაქსიმალურ ბრძოლისუნარიანობას. და გერმანელმა, როგორც შეეძლო იბრძოლა.

ჯოკოვიჩი თავის მოწოდებაზე პრაქტიკულად იდეალურად თამაშობდა - პირველ პარტიაში მხოლოდ ერთი ქულა დათმო საკუთარ გეიმებში, მეორეში - ოთხი. საწყის სეტში მას გამარჯვება ორმა ბრეიკმა მოუტანა, მეორეში ერთადერთი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, რომელიც ვერ გამოიყენა და საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც ჰაასი ორჯერ იყო დაწინაურებული მინი-ბრეიკით, თუმცა ჯოკოვიჩმა გადამწყვეტ მომენტებში ზუსტად ითამაშა.

მესამე სეტის სტარტზე, ჯოკოვიჩმა ბრეიკი გააკეთა და ამით, თითქოს ყველაფერი დასრულებული იყო, მაგრამ ჰაასმა ორჯერ დაიბრუნა დაკარგული ბრეიკი. მეორედ ეს მაშინ გააკეთა, როცა 5:4-ზე ჯოკოვიჩი მატჩზე აწვდიდა. მაგრამ უფრო მეტისთვის ვეტერანს ძალები არ ეყო და 5:5-ზე წააგო ზედიზედ ორი გეიმი და მასთან ერთად მატჩი.

#### კაცები

##### 1/4 ფინალი

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-ტომი ჰაასი (გერ, 12) 6:3, 7:6, 7:5; **რაფაელ ნადალი (ესპ, 3)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 9) 6:2, 6:3, 6:1.

##### 1/2 ფინალი

ჯოკოვიჩი (1)-ნადალი (3); ფერერი (4)-ცონგა (6).

#### ქალები

##### 1/4 ფინალი

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 3)**-მარია კირილენკო (რუს, 12) 7:6(3), 6:2; **მარია შარაპოვა (რუს, 2)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 18) 0:6, 6:4, 6:3.

##### 1/2 ფინალი

ს. უილიამსი (1)-ერანი (5); აზარენკა (3)-შარაპოვა (2).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38);** მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);**
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**